

არჩევნები
შუა აზიაში

A3



უტოპია - ჭეშმარიტი
და ყალბი

B2



ოსკარის
გარშემო

B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 28 თებერვალი, 2005 წელი. №45 (905)

ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### საგადასახადო განმარტებები

გამოქვითვები და ზარალი

A4

### საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ღია საზოგადოება - საქართველო

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

გაზეთი "24 საათი"

B6

## პროექტი

### ენერგეტიკოსები დაბეგვრის ახალ რეჟიმს ცალსახად უარყოფითად აფასებენ

2004 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ახალი საგადასახადო კოდექსი დაამტკიცა. დოკუმენტის მიღების შემდეგ ერთ-ერთი დარგი, რომლის ყოფაც რადიკალურად გაუარესდა, ენერგეტიკაა. "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" შეეცადა, განეხილა აღნიშნული საგადასახადო ცვლილებების არსი და ის შედეგები, რომლებმაც, ამ ცვლილებებთან მიმართებაში, უკვე იჩინეს თავი.

A8

**იურიდიული ოფისი „გაპი"**
**და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A7

## ამინდი

| | 28/2 | 1/3 | 2/3 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 16 | 17 |
| ქუთაისი | 16 | 17 | 12 |
| ბათუმი | 16 | 15 | 11 |
| სოხუმი | 12 | 10 | 2 |
| ფოთი | 16 | 16 | 9 |
| თელავი | 13 | 14 | 13 |
| ზუგდიდი | 15 | 16 | 8 |
| გორი | 11 | 12 | 10 |
| ახმეტა | 14 | 14 | 12 |
| ჭიათურა | 12 | 14 | 9 |
| გაგრა | 9 | 6 | -2 |
| სამტრედია | 16 | 16 | 11 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8290 |
| ევრო | 2.4150 |
| ბირთანეთა სტერლ. | 3.4923 |
| რუბლი | 0.0659 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| რეკლამა | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | პროექტი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# მოუსმენელი ანგარიში ღია წერილის სახით

მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ნოღაიდელს

23 თებერვალს რუსთავის საქალაქო სასამართლოში გამართულმა მეტალურგიული კომბინატის კრედიტორთა კრებამ ძველი რეაბილიტაციის მმართველი ბენო ქაშაკაშვილი ახალი კანდიდატურით, მალხაზ ალბორიშვილით შეცვალა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კრედიტორებმა სასამართლოს წარუდგინეს მოვალის ანუ სააქციო საზოგადოება "რმკ"-ს დირექტორის მოადგილის იური გოგრიჭიანის ამავე შინაარსის შუამდგომლობა.

როგორც ქაშაკაშვილმა "24 საათს" განუცხადა, იური გოგრიჭიანი სს "რმკ"-ს არათუ დირექტორის მოადგილე, ჩვეულებრივი თანამშრომელიც კი არ არის და შესაბამისად, მას მოვალის სახელით სარგებლობა არ შეეძლო. ეს ფაქტი ეჭვქვეშ აყენებს რუსთავის სასამართლოს 23 თებერვლის გადაწყვეტილების სამართლიანობას. გთავაზობთ გოგრიჭიანის მიერ დაწერილ განცხადებას, სადაც ის აღიარებს საკუთარ არაუფლებამოსილებას და მასზე განხორციელებულ ზეწოლაზე საუბრობს და ღია წერილს საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრისადმი.

იხილეთ A3 გვერდი



# "თი ბი სი ბანკი" ასწლოვან შენობაში გადავიდა

ეთერ მამულაშვილი

*თბილისში ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა სიძველე და თანამედროვეობა ერთმანეთს გემოვნებით ერწყმის, როცა ისტორიული შენობა, თანამედროვე სტანდარტებით რეკონსტრუქციის შემდეგ, ქალაქის ღირსშესანიშნაობა ხდება. "თიბისი ბანკის" არჩევანმა - საკუთარი სათაო ოფისი სწორედ ამ შენობაში განეთავსებინა, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამ ბანკის სერიოზულობას და მის ერთგულებას მუდმივი ღირებულებებისადმი.*

უამრავი სტუმარი, ცნობილი სახეები, წითელი ლენტები, ცოცხალი ორკესტრი, კლასიკური მელოდიები, ნაციონალური ჰიმნი, სახელმწიფო დროშები და, რა თქმა უნდა, დიდი საზეიმო ტორტი... - ასეთი იყო შაბათი თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე, "თი ბი სი ბანკის" ახალი სათაო ოფისის გახსნაზე.

მარჯანიშვილის ქუჩაზე, თეატრის გვერდით მდებარე "თბილისის ცენტრალური უნივერმაღი" ალბათ ყველას კარგად ახსოვს. ალებ-მიცემობა აქ დაახლოებით ორი წლის წინ შეწყდა და შენობა მთლიანად ხარაჩოებში მოექცა.

მალევე "თი ბი სი ბანკის" სპეციალური მოწვევით თბილისში ცნობილი ჰოლანდიელი არქიტექტორი პიტერ ჰოენსი ჩამოვიდა. კომპანიამ ჰოენსი სწორედ იმიტომ შეარჩია, რომ ის თანამედროვე და ევროპული ტიპის საბანკო და საოფისე შენობების ინტერიერის დიზაინის სპეციალისტია.

გაგრძელება A4 გვერდზე






იხილეთ B3 გვერდზე

## აფიორა კრწანისში

ექვსმა ქალმა 400 კაცი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა

მაია მოსიაშვილი

*ამ საქმეს, როგორც ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობას, ამჟამად ფინანსური პოლიციის საგამოძიებო ნაწილი იძიებს. ეს არის ამბავი 6 ქალის მიერ მოტყუებულ 400 კაცზე; სადღაც გამქრალ ნახევარ მილიონ ლარზე; გულუხვ "ბი-პი"-ზე, რომელმაც ერთ ღამეში ამოზრდილ 2500 კაკლის ნარგავში კომპენსაციის სახით 1 მილიონ 400 ათასი ლარი გადაიხადა; "ქველმოქმედ "ნაციონალზე", რომელმაც საკომპენსაციო მიწა სოფლის ერთ ნაწილს ბუნდოვანი და დაუჯერებელი მიზეზით დაუთმო; სასამართლოზე, რომელმაც ამ აფიორის განხორციელებას, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელი შეუწყო. მასალა ქვემო ქართლის ფინანსურ პოლიციის გამომძიებლების მოკვლევის მასალებს და ჩვენ მიერ მოძიებულ ფაქტებს ეფუძნება. კარგი იქნება, თუ თხრობას ბოლომდე მიჰყვებით და ამ აფიორის დეტალების სიმრავლე არ დაგაბნევთ.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## საქართველო ეუთო-ს გააქტიურებას კატეგორიულად სთხოვს

თამარ ივანიძე

**"კატეგორიულად მოვითხოვთ, ეუთო დაგვეხმაროს საზღვრის მონიტორინგის ალტერნატიული გზების მოძებნაში. თუ არა ეს ორგანიზაცია, მათი დახმარებით ევროკავშირი ან სხვა საერთაშორისო ინსტიტუტები ჩაერთონ ახალი მისიის შემუშავების პროცესში. ეს არა მარტო საქართველოს, არამედ ეუთო-ს პრესტიჟიცაა,"** - ასეთი გახლდათ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ქართული დელეგაციის ხელმძღვანელის ნინო ბურჯანაძის მოწოდება ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეისადმი ზამთრის სესიაზე, რომელიც გასულ კვირას გაიხსნა.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე ორგანიზაციის 54 წევრი ქვეყნის დელეგაციების ყურადღება გამახვილდა რუსეთის როლზე BMO-სთან (საზღვრის დაცვის, მონიტორინგის მისია, დამკვირვებლები) დაკავშირებით, აღინიშნა, რომ სწორედ რუსეთის გამო შეწყდა ეუთო-ს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ოპერაცია, რომელსაც არაერთხელ დაუდასტურებია რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის წაყენებული ბრალდებების უსაფუძვლობა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტმა ნინო ბურჯანაძემ სესიაზე დეპუტატებსა და საპარლამენტო ასამბლეის მოქმედ თავმჯდომარეს, სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრს მოუწოდა, ხელი შეუწყონ BMO-ს აღდგენას უმოკლეს ვადაში.

ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ BMO-ს შეწყვეტა შეშფოთებას იწვევს და ქართულ-რუსულ მხარეს მოლაპარაკებისაკენ და პრობლემის მოგვარებისაკენ მოუწოდა. მანვე ქართულ მხარეს მესაზღვრეების მომზადების პროგრამის განხორცილება შესთავაზა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს დელეგაციამ დააფიქსირა პრინციპული პოზიცია: ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ საქართველოს არ სურს მხოლოდ ტრეინინგი, თუ ეს სწავლება არ იქნება გამყარებული პოლიტიკური მხარდაჭერით, ან არ დარჩება ეუთო-ს თუნდაც შემცირებული კომპონენტი და ეუთო-ს აღჭურვილობა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საქართველო ეუთო-ს გააქტიურებას კატეგორიულად სთხოვს

პირველი გვერდიდან

გაიმართა შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძესა და რუსეთის დუმის სპიკერს გრიზლოვს შორის. დუმის სპიკერის აზრით, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში და მიმდინარე მოლაპარაკებებში ჯერ კიდევ არსებობს გადაუჭრელი პრობლემები და პირველ რიგში ეს შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე მესამე სახელმწიფოთა სამხედრო ბაზების განთავსების საკითხს.

ქართული მხარე თვლის, რომ აღნიშნული საკითხი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ორმხრივი ხელშეკრულების საგანი - საქართველოს ხელისუფლებამ უკვე გააკეთა ამ მიმართულებით საკუთარი პოლიტიკური ნების დეკლარირება და მესამე სახელმწიფოთა ბაზების განთავსების საკითხი დარეგულირდება შიდა კანონმდებლობით. პრობლემას წარმოადგენს ის არარეალური პირობები, რომლებსაც რუსეთი აყენებს ბაზების გაყვანისათვის. საქართველოს ხელისუფლებას ესმის, რომ ეს პროცესი არ შეიძლება დასრულდეს ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ ბაზების გაყვანის პროცესი არ შეიძლება იყოს მხოლოდ მოლაპარაკებების საგანი და გაგრძელდეს უსასრულოდ - უნდა იყოს მკვეთრად განსაზღვრული კონკრეტული ვადები. საქართველო მზადაა, გააკეთოს მაქსიმუმი ამ მიმართულებით და სამხედრო ბაზებზე დასაქმებულ მოსახლეობასა თუ საქართველოში ცხოვრების სურვილის მქონე რუსეთის მოქალაქეებს აღმოუჩინოს სათანადო დახმარება. საკითხის გადასაჭრელად მთავარია იყოს რუსეთის პოლიტიკური ნება, ხოლო ბაზების გაყვანისათვის აუცილებელი დრო და ფინანსები უკვე ექსპერტთა დასკვნების მიხედვით დადგინდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული მხარე დააყენებს რუსეთის ბაზების საქართველოდან დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხს.

საქართველოსთვის გაუგებარია რუსეთის პოზიცია, შეწყვიტოს ეუთო-ს საზღვრის მონიტორინგის მისია და მეორე მხრივ, პერმანენტულად აკეთოს განცხადებები პანკისის ხეობაში ბოევიკთა არსებობის შესახებ.

ქართულმა მხარემ, აგრეთვე, აღნიშნა და მოუწოდა რუსეთის ხელისუფლებას, რათა მიიღოს ზომები და აღკვეთოს აფხაზეთში რუსეთის ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენელთა გაუმართლებელი ვიზიტები.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ეუთო-ს რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს, პრესისა და აზრის გამოხატვის, ეროვნული უმცირესობების, ადამიანებით ვაჭრობის საკითხებს. ეუთო-ს უმაღლესმა კომისარმა ხაზი გაუსვა და მაღალი შეფასება მისცა ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხებს საქართველოში.

საქართველოს დელეგაციამ გაავრცელა ინფორმაცია საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების, არსებული სირთულეების შესახებ.

ნინო ბურჯანაძემ მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომაზე, ეუთო-ს ეგიდით შექმნილი აფხაზეთის საკითხთა შემსწავლელი ჯგუფის ეფექტური მუშაობის მიზნით, ამ ჯგუფის მანდატისა და შემადგენლობის შეცვლა მოითხოვა. ეს საკითხი, სავარაუდოდ, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ზაფხულის სესიაზე განიხილება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ ავსტრიის დედაქალაქ ვენიდან გერმანიის დედაქალაქ ბერლინში გაემგზავრა, სადაც შეხვედრებს გამართავს გერმანიის პარლამენტის თავმჯდომარესთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღის" ეთერში FM 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გაესამართლეთ სხვადასხვა მოვლენები,ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი,რადგანაც 12 ნაფიცი მსაჯული იქნებით თქვენ.

### თბილისის მერი თბილისელებმა უნდა აირჩიონ და არა საკრებულომ

დავის საგანი — თბილისის მერის არჩევითობა და მისი ფორმები
მომრიგებელი — მოსამართლე მისი აღმატებულება გაგა [illegible]



ადვოკატი კოკა გუნცაძე,

საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი,ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე: თბილისელებს აქვთ უფლება თავიანთი ქალაქის მერი თავად აირჩიონ".

ადვოკატი ალეკო შალამბერიძე

პარლამენტის წევრი,უმრავლესობის წარმომადგენელი სასამართლოში არ გამოცხადდა,რის გამოც [illegible] ადვოკატის მოვალეობა იკისრა ვანო ხუხუნაიშვილმა – "ნაციონალი": "ჩვენი პროექტის მიხედვით, თბილისელები ირჩევენ კიდეც თავიანთ ხელისუფლებას, საკრებულოს,რომელიც მერს აირჩევს."

ვერდიქტი

12 ნაფიცი მსაჯულის გადაწყვეტილებით (10 ხმა 2-ის წინააღმდეგ) თბილისის მერი უნდა გამოვლინდეს პირდაპირი არჩევნებით

კითხვა: "თბილისის მერი უნდა აირჩიოს მოქალაქემ თუ მოქალაქის მიერ არჩეულმა საკრებულომ?"

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი სოლომონია | (მოქალაქემ) | 7 | [illegible] | (მოქალაქემ) |
| 2 | გია | (მოქალაქემ) | 8 | როლანდ მაღრაძე | (მოქალაქემ) |
| 3 | ლელა გონგლიაშვილი | (საკრებულომ) | 9 | [illegible] | (მოქალაქემ) |
| 4 | ვახტანგი | (მოქალაქემ) | 10 | ლელა მეგრელი | (მოქალაქემ) |
| 5 | რობერტ ურუშაძე | (საკრებულომ) | 11 | [illegible] | (მოქალაქემ) |
| 6 | [illegible] | (მოქალაქემ) | 12 | ლალი | (მოქალაქემ) |

# აფიორა კრწანისში

პირველი გვერდიდან

ფინანსური პოლიციის გამომძიებელი გია კოდოშვილი აცხადებს, რომ მიწა, რომელზე გაცემული კომპენსაციაც თაღლითობისა და სახალხო მღელვარების მიზეზად იქცა, წესით და კანონით სახელმწიფოს კუთვნილებაა. გარდაბნის რაიონის კრწანისის გამგეობამ ეს 121 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ჯერ კიდევ 1997 წელს გასცა იჯარით შპს "კომპლექზე", რომლის დირექტორიც ქვემო ქართლში ცნობილი "ნაციონალი" ბაკურ მგელაძეა. 2003 წელს "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" მილსადენის მშენებლობა დაიწყო და გაირკვა, რომ ნაკვეთს კომპენსაცია ეკუთვნოდა. ამის შემდეგ მგელაძემ სრულიად არალოგიკური რამ გაკეთა. მან და მისმა მეგობრებმა მიწა გამგეობას დაუბრუნეს და 2004 წლის თებერვალში რაიონულ სასამართლოს ასეთი განცხადებით მიმართეს - იჯარის ხელშეკრულებას ვაუქმებთ, მიწას უკან ვაბარებთ და გთხოვთ, ის 115 კრწანისელზე გადაანაწილოთო(?!).

ეს 115 კრწანისელი, იგივე კავშირი "კრწანისი", სოფლის ზემო უბნის მცხოვრებლები იყვნენ, რომლებიც პრეტენზიას უკვე აცხადებდნენ საკომპენსაციო მიწაზე.

ჯერ რაიონულმა, ხოლო შემდეგ საოლქო სასამართლომ "მოსარჩელე 115 კრწანისელს მიაკუთვნა მილსადენის ქვეშ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ის ნაკვეთები, რომლებზეც შემდგომში საკომპენსაციო თანხა უნდა გაცემულიყო." როგორც ჩანს, მადლიერების გამოსახატავად, მგელაძე და მისი ორი მეგობარი "115 კრწანისელის" სიაში ჩაწერეს. ამჟამად "ნაციონალი" ბაკურ მგელაძე დმანისის რაიონის გამგებელია და აცხადებს, რომ კომპენსაცია არ აუღია.

ეს ამბავი აქ დასრულდებოდა, რომ არა სოფლის ქვემო უბნის მცხოვრებლების, დაახლოებით 420 კაცის, რისხვა - "ჩვენც ამ სოფელში ვცხოვრობთ და ჩვენც გვეკუთვნის ფულიო".

იმ დღიდან სოფლის ერთი ნაწილი მეორეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა. ქვემო უბნელები აქციებს აწყობდნენ სამხარეო ადმინისტრაციის თუ სახელმწიფო კანცელარიის წინ, მილსადენის მშენებლობას ხელს უშლიდნენ და ტალახში ბულდოზერებს წინ უწვებოდნენ... ასე გაგრძელდა ლამის მთელი წელი... პიკეტებსა და აქციებს ორგანიზებას უკეთებდა კავშირი "ძირძველი კრწანისი", რომელიც ქვემო უბნელებმა ზემო უბნელების ჯინაზე და დასამარცხებლად შექმნეს. რა იცოდნენ, რომ სწორედ ეს კავშირი და მისი ორგანიზატორი 6 ქალბატონი კიდევ უფრო გაუმწარებდათ სიცოცხლეს...

კავშირმა "ძირძველმა კრწანისმა" კავშირ "კრწანისს" საოლქო სასამართლოში უჩივლა. პროცესი მხარეთა შორის მორიგებით დასრულდა და ასეთი შეთანხმება მოხდა - კომპენსაციის 60 პროცენტს წაიღებდა 115 კაცი, ხოლო 420 კაცი 40 პროცენტს დასჯერდებოდა, ანუ უკვე 115 კაცზე გაფორმებული მიწის 40 პროცენტი დანარჩენი 420-ისთვის კომპენსაციის მისაღებად ექვსმა ქალმა შეისყიდა და მათ თავის სახელზე გაიფორმეს მიწა.

სულ ჩარიცხული იქნა 2 მილიონ 154 ათასი ლარი - აქედან 1 მილიონ 400 ათასი იმ 2500 კაკლის ნარგავების საფასური იყო, რომელიც ლამის ერთ ღამეში გაჩნდა სადავო მიწაზე, ხოლო დანარჩენი თანხა – 9 ჰა მიწის კომპენსაცია. ამ თანხის 60 პროცენტი, დაახლოებით, 1 მილიონ 300 ათასი 115-მა კაცმა წაიღო, დარჩენილი 800 ათასი კი 6 ქალს - მერი ხიდაშელს, ეთერ ახვლედიანს, რუსუდან ხიზანიშვილს, ასმათ ჟღენტს, დარეჯან კვანჭიანს და რუსუდან ლეთოდიანს - ჩაურიცხეს.

ამ ქალებმა სოფელს უთხრეს, ყველაზე ცალ-ცალკე რომ გადავანაწილოთ და ისე ავიღოთ თანხა, ბევრი ხარჯი გვექნება, მოდი, ჩვენ ექვსნი გამოვიტანთ ამ ფულს და მერე გადაგინაწილებთო. ხალხი მათ ენდობოდა და დასთანხმდა.

თანხა რუსთავში, ერთ-ერთ ბანკში ჩაირიცხა და ამ ექვსმა ქალმა, თითოეულზე დაახლოებით 130 ათასი მოდიოდა, ის გამოიტანა. მერე დაიწყეს ხალხის კატეგორიებად დაყოფა, ვინც გვერდში გვედგა იმათ მეტი ეკუთვნით და ვინც არა - ნაკლებიო. მოსახლეობისთვის დარიგებული თანხის მაქსიმალური ულუფა 2700 ლარი იყო, ზოგმა 1500 ლარი მიიღო, ზოგმა 500, ხოლო ზოგმაც სულ რაღაც 150 ლარი. ასე დარიგდა მრავალთვიანი ბრძოლით მოპოვებული ფული. აღელდა ხალხი, ერთმანეთს დაუპირისპირდა მთელი დასახლება, კორპუსები, სადარბაზოები, კარის მეზობლები და აირია მონასტერი. მოტყუებულმა ადამიანებმა ერთმანეთს ჩამოუარეს და გაარკვიეს, რომ მათ, საერთო ჯამში, 800 ათასიდან მხოლოდ 300 ათასი ლარი მიიღეს. სასწრაფოდ დაწერეს საჩივრები ფინანსური პოლიციის, გენერალური პროკურატურის და სამხარეო პოლიციის უფროსების სახელებზე. საქმე მოკვლევისათვის ქვემო ქართლის ფინანსურ პოლიციას გადაეცა, სადაც ზემოთ ჩამოთვლილ 6 ქალბატონზე თაღლითობის მუხლით აღიძრა საქმე.

გაირკვა ასევე, რომ "ძირძველმა კავშირმა" ანუ ამ ექვსმა ქალმა, სოფელში დამატებით აკრიფა, დაახლოებით, 30 ათასი ლარი - პროცესზე სასიარულოდ, მიწის გასაფორმებლად, ნოტარიუსისა და ადვოკატისათვის გადასახდელად. საგადასახადომ ამ თანხის ხარჯვა ვერ შეამოწმა, რადგან არანაირი საბუთი მათ არ აღმოაჩნდათ.

მოკლედ, ხალხისთვის დასარიგებელი 800 ათასიდან 500 ათასი ლარი უკვალოდაა გამქრალი. თაღლითობაში ეჭვმიტანილთა უსაზღვრო ფანტაზიაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მათ, უკვე დარიგებული ფულიდან, ხალხს 100-100 ლარი კიდევ დაატოვებინეს. რატომ? წილში მჯდომი "შავებისთვის" და სხვებისთვის...

კრწანისის აფიორის გამოძიება ჯერ არ დასრულებულა. ეჭვმიტანილი ქალბატონები დაკავებულნი არ არიან, თუმცა არც გამოძიებასთან თანამშრომლობას ჩქარობენ. ამბობენ, რომ მოკვლევის პროცესში ისინი გამომძიებლებს ამ საქმეში გარეულ თანამდებობის პირებს უსახელებდნენ, თუმცა გვარებს არ აკონკრეტებდნენ.

ახლა კრწანისში ძალიან დიდი დაძაბულობაა და გამწარებულ-მოტყუებულ ხალხს გამოძიების დასრულებამდე, ჯერჯერობით, ძლივს აჩერებენ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 1-დან 4 მარტის ჩათვლით, საქართველოს პარლამენტში საკომიტეტო განხილვები გაიმართება. ამ საკითხთან დაკავშირებით 28 თებერვალს ბიუროს სხდომაზე კომიტეტებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები შეიკრიბებიან. სხდომას პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი გაუძღვება, ვინაიდან პარლამენტის თავმჯდომარე სამუშაო ვიზიტით გერმანიაში იმყოფება.

საკომიტეტო მოსმენებზე დეპუტატები რამდენიმე მნიშვნელოვან კანონპროექტზე იმუშავებენ, მათ შორისაა კანონპროექტი "დედაქალაქის შესახებ" და მთავრობის მიერ მომზადებული კანონპროექტი "თამბაქოს პროდუქციით ვაჭრობის შესახებ".

როგორც მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა განაცხადა, "თამბაქოს პროდუქციით ვაჭრობის შესახებ" კანონპროექტით ბაზრობებზე სიგარეტით ვაჭრობა იკრძალება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ექსპერტი ვახტანგ ხმალაძე სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის არსებობის აუცილებლობას ვერ ხედავს და მიიჩნევს, რომ როდესაც კონკრეტული საქმეა შესასრულებელი, უმჯობესი იქნება, ის პრეზიდენტის ან მთავრობის სპეციალურ წარმომადგენელს დაევალოს.

როგორც ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, სახელმწიფო მინისტრის თანამდებობები ხშირად "ზოგიერთების ამბიციების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება".

ამასთან, ექსპერტის თქმით, თუ პრეზიდენტი სახელმწიფო მინისტრის თანამდებობას გააუქმებს, ამისთვის არ არის აუცილებელი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, ვინაიდან კონსტიტუციაში წერია, რომ მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს სახელმწიფო მინისტრი ან სახელმწიფო მინისტრები. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას მალე ახალი თავმჯდომარე ეყოლება. დავით უსუფაშვილს ამ თანამდებობაზე პარტიის ყრილობაზე აირჩევენ, რომელიც გაზაფხულზე გაიმართება.

როგორც რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტარმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, გარდა პარტიის თავმჯდომარის არჩევისა, ყრილობაზე პარტიის წევრები მოისმენენ ამჟამინდელი თავმჯდომარის დავით ბერძენიშვილის ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

ლევან ბერძენიშვილის თქმით, პარტია მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის საკუთარ სტრატეგიას განსაზღვრავს, ვინაიდან ისინი დამოუკიდებლად სწორედ ამ არჩევნებში ცდიან ბედს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, წელიწადზე მეტია, ხელმძღვანელის გარეშე მუშაობს.

ახალი ხელმძღვანელის დანიშვნის პროცესის გაჭიანურებას ოფისის ყოფილი უფროსი, პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე თითქმის უკომენტაროდ ტოვებს. "ვეძებთ კარგ კანდიდატურას," - განაცხადა მან. **მედიანიუსი**

# საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრის პირველი ვიზიტი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ზურაბ ნოღაიდელი პირველი ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა უკრაინაში.

ეს ვიზიტი, დამკვირვებელთა აზრით, მრავალმხრივ ნიშანდობლივია. უპირველეს ყოვლისა, ზურაბ ნოღაიდელი პირველად მიემგზავრება ვიზიტით საზღვარგარეთ, პრემიერ-მინისტრის რანგში, მას შემდეგ, რაც ტრაგიკულად დაიღუპა ზურაბ ჟვანია.

გარდა ამისა, შემთხვევითი არ არის, რომ პირველი ვიზიტი შედგება უკრაინაში, რომელსაც საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა და უპრეცედენტო ხელშეკრულება ("მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ") აკავშირებდა ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციამდე.

მაგრამ პოსტსაბჭოური ნომენკლატურის წინააღმდეგ მიმართულმა რევოლუციებმა, რომლებიც, საქართველოშიც და უკრაინაშიც, უსისხლო, მშვიდობიანი გამარჯვებით დასრულდა - ორ ქვეყანას განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მნიშვნელობა შესძინა.

შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკის პრეზიდენტმა, სლოვაკეთში გამოსვლისას, საქართველო და უკრაინა ისეთივე მნიშვნელობის ქვეყნებად დაასახელა, როგორც "ახალი ერაყი". აქ იგულისხმება უპირველესად ამერიკის შეერთებული შტატების დაინტერესება, ხელი შეუწყოს დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებას ამ სახელმწიფოებში, ვინაიდან მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ნებისმიერი შელახვა მთელი დასავლეთისათვის გამოწვევად აღიქმება.

ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ მასპინძელთა წინადადებით, მას "ოფიციალურის" სტატუსი მიენიჭა. თუმცა, ზურაბ ნოღაიდელი მონაწილეობას მიიღებს, აგრეთვე, საქართველო-უკრაინის ერთობლივი სამთავრობათშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომაში.

"ნარინჯისფერი რევოლუციის" გამარჯვება ამ თვალსაზრისითაც დიდ შესაძლებლობებს ქმნის, ვინაიდან წინათ, უკრაინასთან ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში თანამშრომლობა მაინც კიევსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის კონტექსტში განიხილებოდა. ეს კონტექსტი კი, ყოველთვის როდი უწყობდა ხელს რთულ გადაწყვეტილებათა მიღებას.

ზურაბ ნოღაიდელს რამდენიმე შეხვედრა აქვს დაგეგმილი უკრაინის პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოსთან. მათ შორის, არაოფიციალურ გარემოში, როგორც ერთი-ერთზე, ასევე დელეგაციათა თანხლებით. საქართველოს პრემიერი შეხვდება უკრაინის პრეზიდენტს, ვიქტორ იუშენკოს.

პრემიერ-მინისტრს თან ახლავს ქართველ ბიზნესმენთა შთამბეჭდავი დელეგაცია. კიევში გაიმართება რამდენიმე პრეზენტაცია – მათ შორის უკრაინის პრემიერ-მინისტრის მონაწილეობით.

თუ გავითვალისწინებთ უკრაინის ბაზრის და ტექნოლოგიების შეთავსებადობას საქართველოს პროდუქციასთან - უეჭველია, რომ ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ვიზიტი არანაკლებ მნიშვნელოვანი შეიძლება გამოდგეს, ვიდრე გასულ წელს გამართული კონფერენციები, რომელთა ანალოგები უახლოეს მომავალში დაგეგმილია აგრეთვე იტალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

*24 საათი*




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## უცხოეთი

# არჩევნები შუა აზიაში

*ოპტიმისტური პროგნოზების მიუხედავად, შუააზიური არჩევნები პოსტსაბჭოთა სივრცეში "ხავერდოვანი რევოლუციების" ტალღის გაგრძელება ვერ გახდა. ამის დიდი იმედი, ალბათ, არც უნდა ყოფილიყო – არც ყირგიზეთში და, მით უმეტეს, არც ტაჯიკეთში ოპოზიცია სერიოზულ ძალას არ წარმოადგენს, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებულ ფორმებზე ლაპარაკიც ზედმეტია. მართალია, ხმის მიცემის დასრულებისთანავე ყირგიზეთის ოპოზიციის ლიდერები აცხადებდნენ, რომ ხელისუფლებამ მასობრივ გაყალბებას მიმართა, რაც "სახალხო რისხვას" გამოიწვევს, მაგრამ, როგორც ჩანს, ფართომასშტაბიან სახალხო მღელვარებამდე საქმე მაინც არ მივა.*

ყირგიზეთის საპარლამენტო არჩევნები ქვეყნის ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი გართულებების გარეშე დასრულდა. ადგილობრივი დროით 20.00 საათზე საარჩევნო უბნები ყველგან დაიხურა. ყირგიზეთის ერთპალატიანი პარლამენტის 75 ადგილისთვის 389 კანდიდატი იბრძოდა. შეგახსენებთ, ყირგიზეთის პარლამენტის წევრებს მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით ირჩევენ და ნებისმიერი აქტივობის შემთხვევაში არჩევნები ლეგიტიმურად ითვლება, თუ ყველას წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა კანდიდატების მხარდამჭერთა რაოდენობას არ აღემატება.

არჩევნებში მონაწილეობას მოქმედი პრეზიდენტის შვილი - ბერმეტი აკაევაც იღებდა. მისი თქმით, "ამჟამინდელი არჩევნების გაყალბება შეუძლებელი იყო, რადგან არჩევნები ღია ატმოსფეროში მიმდინარეობდა". ასეთივე "მშვიდ და უპრობლემო" ატმოსფეროში ჩაიარა ტაჯიკეთის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებმაც. "ტაჯიკეთის საპარლამენტო არჩევნები გამართულად ითვლება," – განაცხადა კვირას ტაჯიკეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მირზოალი ბოლტუევმა. მისივე თქმით, საარჩევნო ურნებთან ამომრჩეველთა 85 პროცენტამდე მივიდა.

სავარაუდოდ, ორივე ქვეყნის საპარლამენტო არჩევნების წინასწარი შედეგები დღეისთვის გახდება ცნობილი. თუმცა, საეჭვოა, მათ რაიმე მნიშვნელოვანი გადაადგილებები გამოიწვიონ ამ შუააზიური ქვეყნების ხელისუფლებებში.

ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის (ისევე როგორც შუა აზიის დანარჩენი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების) ლიდერებს არადემოკრატიული, კორუმპირებული რეჟიმების დამყარებაში ადანაშაულებენ. ამას გარდა, მათ "ბრალეულობას" ისიც ამძიმებს, რომ ორივე მათგანი უკვე საკმოა ხანია, მართავენ ქვეყანას, და არანაირი ნიშანი, რომ ხელისუფლების ნებით დათმობას აპირებდნენ, არ ჩანს.

## ორი სიტყვით

**ერაყი.** გუშინ ცნობილი გახდა ქვეყნის ყოფილი მმართველის სადამ ჰუსეინის ნახევარ-ძმის დაპატიმრების შესახებ. ერაყის მთავრობა გავლენიანი პატიმრის დაკავების დეტალებს, ჯერჯერობით, არ ახმაურებს. საბაუი იბრაჰიმ ალ-ჰასან ტიქრიტი აშშ-ს მიერ გამოქვეყნებულ ყველაზე საშიშ ერაყელთა სიაში 36-ე ადგილს იკავებდა. მანამდე ერაყის დროებითმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ იგი ანტისამთავრობო შეიარაღებულ ფორმირებებს სირიის ტერიტორიიდან უწევდა კოორდინაციას. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ესპანეთი.** როგორც ესპანეთის სახელმწიფო რადიო იუწყება, ვალენსიის პროვინციის ქალქ ლივია-ხორიოსაში გუშინ აფეთქება მოხდა. ბანკის პანსიონატის მიმდებარე პარკში აფეთქებულ ბომბს წინასწარი ინფორმაციით მსხვერპლი არ მოჰყოლია. აფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე ბასკურ გაზეთ "გარა"-ს რედაქციაში ტერორისტული ორგანიზაცია "ეტა"-ს გამაფრთხილებელი ზარი გაისმა. მიუხედვად ამისა, პოლიციამ ვერ შეძლო აფეთქების თავიდან აცილება. **რია-ნოვოსტი**

■ ■ ■

**ახლო აღმოსავლეთი.** პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის განცხადებით, ისრაელი პალესტინის ავტონომიასთან დიპლომატიურ ურთიერთობებს შეწყვეტს მანამდე, სანამ ეს უკანასკნელი ტერორიზმის წინააღმდეგ რეალურ ბრძოლას არ დაიწყებს. მისი თქმით, შაბათს თელ-ავივში განხორციელებული ტერაქტი თუ "ისლამური ჯიჰადის" ორგანიზებული იყო, პალესტინის ნაციონალურ ადმინისტრაციას პასუხისმგებლობისაგან მაინც არ ათავისუფლებს. თავდაცვის მინისტრის შაულ მოფაზის განცხადებით კი, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე 5 ქალაქის დაგეგმილი გადაცემა პალესტინელებისათვის განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. პალესტინის ავტონომიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ტერაქტთან დაკავშირებით მთლიანად "ისლამურ ჯიჰადს" დააკისრა და დაადანაშაულა ცეცხლის შეწყვეტისა და პოლიტიკური პროცესის შესახებ შეთანხმების ჩაშლის მცდელობაში. ასეთი ნაბიჯი პირდაპირაა მიმართული პალესტინის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ, აღნიშნა აბასმა. მან ასევე გასცა განკარგულება, პალესტინის უშიშროების სამსახურმა მოძებნოს და დააკავოს ტერაქტის ორგანიზატორები. **24 საათი**

# მოუსმენელი ანგარიში ღია წერილის სახით

**მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ნოღაიდელს**



ღრმად პატივცემულო ბატონებო,

მოგმართავთ ამ საგაზეთო მასალით, რადგან სხვა ყველა გზით, რომელიც თქვენამდე მოდის, ვერ მოგწვდით...

გვინდა მოგახსენოთ, რომ მარტში ერთი წელი ხდება, რაც სს "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" რეაბილიტაციის ახალი გუნდი შეუდგა საქმიანობას, რომლის ყველა წევრი მაღალი პროფესიული ნიშნით, შრომითი ბიოგრაფიით და ცხოვრების წესით წლების მანძილზე დაკავშირებულები ვართ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან. ამიტომ ჩვენი პასუხისმგებლობა, თქვენი ნდობისა და ახალი ქვეყნის შენების ფონზე, გაათკეცებულია.

კანონი უფლებას გვანიჭებს, განვკარგოთ და აგრეთვე პასუხისმგებელი ვიყოთ რეაბილიტაციის გეგმაში მოქცეულ ქონებაზე. სამწუხაროდ, სს "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" 77 მლნ. დოლარის საბალანსო ღირებულების ქონება უკანონოდ გადაცემული აღმოჩნდა შპს "რუსთავი არეს მეტალურგიულ კომბინატზე". ჯერ კიდევ ჩვენს მისვლამდე, ამ არაკანონიერ ქმედებაზე იმსჯელა აწ გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ზურაბ ჟვანიას მიერ შექმნილმა სახელმწიფო კომისიამ (N10, 03.02.04), რომელშიც ჩართული იყვნენ ქვეყნის პარლამენტის, იუსტიციის, ეკონომიკის, უშიშროების წარმომადგენლები. კომისიამ სწორი შეფასება მისცა სახელმწიფოსთვის მიყენებულ ზიანს. წარმოგიდგენთ აღნიშნული დასკვნის 10 პუნქტიდან 2 ციტატას.

"... 4. გაკოტრებისა და რეაბილიტაციის პროცესებში უგულვებელყოფილ იქნა ძირითადი კრედიტორების, განსაკუთრებით სახელმწიფოს ინტერესები, რითაც ამ უკანასკნელთ, განსაკუთრებით სახელმწიფოს, მიადგათ ზიანი (მიუხედავად 7-გზის გაფრთხილებისა ფინანსთა სამინისტრო არ იქნა ჩართული კრედიტორთა კომიტეტში);

5. რეაბილიტაციის გეგმის განხორციელების პროცესში არაერთგზის გაყალბებულ იქნა ოფიციალური დოკუმენტები, რომლებითაც, საბოლოო შედეგით, საზოგადოების ქონება უკანონოდ იქნა გასხვისებული."

არ არსებობს სახელმწიფო პირის ან თუნდაც კლერკის ხელმოწერა 80 მლნ. აშშ დოლარის სახელმწიფო ქონების გასხვისებაზე. რეალურად, ერთი ადამიანის, დროებითი რეაბილიტაციის მმართველის ხელმოწერით არის გასხვისებული სს "რმკ"-ს ქონება.

ანუ რეაბილიტაციის არსი თავშივე აბსურდული იყო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ინვესტორი ფულს მოიტანდა, ის ვერ ჩადებდა სს "რმკ"-ში, იმიტომ რომ მას ბალანსზე გააჩნდა მხოლოდ თეატრი და, თუ ჩადებდა შპს "რამკ"-ში, მას არანაირი რეაბილიტაცია არ სჭირდებოდა, რადგან ის დამოუკიდებელ იურიდიულ სუბიექტს წარმოადგენდა. ამიტომ ჩვენი მოღვაწეობის პირველივე დღეებში მივიღეთ შენიშვნა რუსულ-იტალიური კომპანიის წარმომადგენლებიდან: "Вы являетесь управляющими Руставского театра, должны сидеть там и погашать 130 млн. долл. задолженности."

ოფიციალური წერილების საფუძველზე ირკვევა, რომ რეაბილიტაციის გეგმის პროგრამა გათვლილი იყო 5-წლიან პერიოდზე, 132 მლნ. აშშ დოლარის ინვესტირებაზე და 107 მლნ. აშშ დოლარის დავალიანების დაფარვაზე. შემდგომში 5 წელი გადაიქცა 17 წლად, ხოლო 107 მლნ-იანმა ვალმა მოიმატა 20 მლნ. აშშ დოლარით. ორი წლის განმავლობაში ოთხი რუსულ-იტალიური ფირმა ფიგურირებს კომბინატის "გადარჩენაში": რეაბილიტაციაზე მოთხოვნა შეიტანა შპს "ARES Export-Import"-მა. კომბინატის 77 მლნ. დოლარის ქონება გადაეცა შპს "რუსთავი არეს მეტალურგიას". რეაბილიტაციის ინვესტორი გახდა შპს "ARES International"-ი, რომელმაც წილი გაყიდა 2.500.000 ევროდ შპს "METAL GEO"-ზე, რომლის საწესდებო კაპიტალი ოფიციალური მონაცემებით 20.000 ევროა, არ გააჩნია არანაირი ქონება და საბრუნავი სახსრები, სამაგიეროდ ყველაზე დიდი ამბიცია შესაბამისი ხელშეკრულებით გაფორმებული აქვს დღევანდელ სახელმწიფო ინსტიტუტებთან. არსებული კომპანიების ურთიერთდამოკიდებულებაზე მეტყველებს, თუნდაც ის ფაქტი, რომ ოთხივე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ერთი და იგივე ქალბატონია – ანჟელა კორნა.

რეაბილიტაციის გეგმით, ტექნიკური გადაიარაღების ღონისძიებებზე უნდა დახარჯულიყო 44.150.000 დოლარი. უკვე დღეისთვის აშენებული და წარმოებაში გაშვებული უნდა ყოფილიყო 500 ათასი ტონა წლიური წარმადობის ახალი ელექტრო-ფოლადსადნობი კომპლექსი, ღირებულებით 21 მლნ. ევრო - ეს არ გაკეთებულა. სამაგიეროდ, მუშამოსამსახურეების რიცხვი რამდენიმე ათასით შემცირდა, ხოლო რუსულ-იტალიური კომპანია საკმაოდ გამდიდრდა სხვადასხვა ქონების და დიდი ოდენობით ჯართის გაყიდვის ხარჯზე. ამის დამადასტურებელი ფაქტები ფინანსურ პოლიციას გააჩნია. დამატებით მათ ჯიბეში ხვდებოდა, სასაცილო საარენდო გარიგებითა და სხვა გადასახადების სახით, სახელმწიფოს კუთვნილი 500.000 ლარის წლიური შემოსავალი. მათ არ გადაუხდიათ ქონების აუცილებელი 2%-იანი გადასახადიც კი – 3 მლნ ლარი. არსებულ კანონდარღვევაზე საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის (გ. ბოკერია) და იუსტიციის სამინისტროს (ე. გურეშიძე) განმარტებებთან მხოლოდ ეკონომიკის სამინისტროს (კ. დამენია) წერილი მოდის წინააღმდეგობაში(?!).

ჩვენ, იმისათვის რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე შეგვენარჩუნებინა კოლექტივი და განგვემუხტა დაძაბული სოციალური ფონი კომბინატში, ავიღეთ კრედიტი ბანკიდან (რომელიც უკვე გასტუმრებულია) და მხოლოდ კომერციული ოპერაციით და თქვენი დახმარებით, ბატონო პრეზიდენტო, მუშაობის პირველი სამი თვის განმავლობაში შემოვიტანეთ 5 000 ტონაზე მეტი ლითონპროდუქცია უკრაინიდან. მისი რეალიზაციიდან 300 000 ლარამდე დავარიგეთ მხოლოდ სახელფასო და საპენსიო დავალიანებები, ხოლო 900 000 ლარზე მეტი შევიტანეთ ბიუჯეტში. ამავე პერიოდში იურისტების ჯგუფმა, კერძო კომპანიებზე უკანონოდ გასხვისებული ქონების მოკვლევის შედეგად, კომბინატს (ამჟამად ეკონომიკის სამინისტროს) დაუბრუნა რამდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების: ერთი 350 ადგილიანი სასტუმრო კომპლექსი, ორი სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებელი და წვრილსორტული გლინვის საამქრო, თვიური წარმადობით 5000 ტონა. ალოგიკურია, მაგრამ სწორედ ეს გახდა ჩვენი პირველი უთანხმოების მიზეზი ეკონომიკის ყოფილ მინისტრთან, ბ-ნ კახა ბენდუქიძესთან. ჩვენ ვართ მომსწრე, როდესაც მან, როგორც ეკონომიკის მინისტრმა, კაბინეტიდან გააძევა რუსულ-იტალიური კომპანიის წარმომადგენლები მისი ცნობილი ტერმინოლოგიით, ინვესტორებს "ბანდიტები" უწოდა და სახელმწიფო ქონების განიავებაში და სპეკულაციაში დაადანაშაულა.

სამწუხაროდ, მოკლე პერიოდში, საპირისპირო მოვლენები განვითარდა. ივლისიდან რეაბილიტაციის მმართველის გუნდს აღარ მიეცა საშუალება, გაეგრძელებინა მუშაობა საკუთარ სამუშაო ოთახებში, რადგან არ დავემორჩილეთ კომბინატის ახალი დაცვის სიტყვიერ ბრძანებას, დაგვეტოვებინა სამუშაო კაბინეტები. მათი თქმით, ისინი მომაგრებულნი იყვნენ ეკონომიკის მინისტრისგან და ბრძანების გამცემიც ეკონომიკის მინისტრი კ. ბენდუქიძე იყო. უფრო მეტიც, ოთახები იქნა გატეხილი და ჩვენ იმავე დაცვის წევრების მიერ აღარ ვიყავით დაშვებული კომბინატში. მათივე მითითებით შეწყვიტა მუშაობა კომბინატში ჩვენ მიერ მოწვეულმა ინვენტარიზაციის ჯგუფმა.

მოკლე ხანში, ბატონო პრეზიდენტო, ქართული მხარის მოთხოვნის საფუძველზე(?!), უკრაინის ეკონომიკის სამინისტრომ გაგვიუქმა თქვენი თხოვნით და უკრაინის პრეზიდენტის დავალებით მოცემული სპეციალური კვოტა მეტალოპროდუქციაზე. დაპირებისამებრ იქნა მოპარული სასამართლოს გზით დაბრუნებული სატრანსპორტო საშუალებაც. პოლიციაში გაკეთებული განაცხადის შემდეგ უკან ტომრით დაგვიბრუნეს ნივთები, მათ შორის დამსხვრეულ ჩარჩოში ნახევრად დაჭმუჭნული სიგელი "თბილისელთა სიამაყე", რომლითაც დაჯილდოებული იყო ბ. ქაშაკაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მ. სააკაშვილის მიერ, "ნაციონალური მოძრაობის დროშის მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალებზე აფრიალებისათვის" (2003 წლის მაისი). ამ ვანდალიზმისა და ცინიზმის პასუხად მათგან მხოლოდ ირონია მივიღეთ.

მიუხედავად წინააღმდეგობებისა, მოვასწარით მიგვეღო 4 ჰოლდინგის 6 მუშა-ჯგუფი, რომლებიც ჩამოსული იყვნენ კომბინატში მდგომარეობის შესასწავლად და დადებითი დასკვნების შემდგომ შევიდნენ საქართველოს მთავრობაში წერილობითი წინადადებებით, სადაც მზადყოფნას გამოთქვამდნენ მონაწილეობა მიეღოთ სს „რმკ"-ს პრივატიზაციის ტენდერში, ან გამხდარიყვნენ რეაბილიტაციის ინვესტორები. ეს კომპანიებია: უკრაინული „Интерпайп", რუსული "ЕвразХолдинг", უკრაინული "ИСД" და სხვა. ამ უკანასკნელის ოფიციალური განცხადებით, სასტარტო საპრივატიზაციო თანხა განისაზღვრა მინიმუმ 20 მლნ აშშ დოლარით და დაახლოებით იგივე კაპიტალის სწრაფი ინვესტირებით. შესაბამისი წერილი მე-5 თვეა უპასუხოდ დევს ეკონომიკის სამინისტროში. ყველა ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს ფინანსები ბიუჯეტთან, ქარხანასთან შეუხებლად იყო მოძიებული და 20.000 ლარზე მეტი სამივლინებო თანხა ჯერაც არ აგვიღია.

აღნიშნულ პერიოდში, ძირითად კრედიტორებთან მოლაპარაკების გზით თურქეთში, რუსეთში, ისრაელში კომპრომისებით და გარიგებით მივაღწიეთ მათი კრედიტორული დავალიანების შემცირებას 80%-ით.

ჩვენ რამდენჯერმე უშედეგოდ ვცადეთ, კომპრომისი გამოგვენახა არსებულ რუსულ-იტალიურ პარტნიორებთან, რათა კომერციული ოპერაციების წყალობით კი არ შეგვენახა კოლექტივი, არამედ მზა პროდუქციის ნაცვლად ჩამოგვეტანა მილნამზადი და გადაგვემუშავებინა კომბინატში. როდესაც განახლდა მათი მხრიდან სახელმწიფო ქონების და ჯართის დატაცების ფაქტები, მივმართეთ ფინანსურ პოლიციას, სადაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

იმავე დღეს, როცა თქვენ მოიკითხეთ მიმდინარე პროცესები კომბინატის ირგვლივ, შედგა შეხვედრა მინისტრთან და რუსულ-იტალიურ კომპანიასთან. მიუხედავად ამუშავების პირობისა, მათ მილნამზადიც კი გაიტანეს ქარხნიდან და გაყიდეს. მას შემდეგ ბ-ნ კახა ბენდუქიძეს ვერ შევხვდით მისი მოუცლელობის გამო, ხოლო მისი თქვენთან მოცემული პირობა, ჩვენ დავბრუნებულიყავით ჩვენს სამუშაო ოთახებში, აგრეთვე დაპირებად დარჩა. სამწუხაროდ, არც სხვა სახელმწიფო მოღვაწეებს, ვისაც ეს პრობლემა ეხება, დრო არ რჩებათ ამ საკითხის განსახილველად.

ღრმადპატივცემულო ბატონებო!

ჩვენმა გუნდმა დაიწყო მუშაობა კომბინატში იმ პროფესიონალ წესიერ ადამიანებთან, რომლებიც დღეს მრავლად არიან არსებულ წარმოებაში. მათთან ერთად ჩვენ შევძელით რამოდენიმე მილიონი დოლარის უკანონოდ გასხვისებული ქონების უკან დაბრუნება სახელმწიფოსთვის და, რაც მთავარია, 77 მილიონი აშშ დოლარის ქონება დაუბრუნდა ძირითად კრედიტორს – სახელმწოფოს.

შემაშფოთებელია, რომ ასეთი თავდადებული მუშაობის საპასუხოდ, იგივე სახელმწიფომ, ფინანსთა სამინისტროს სახით, ჩვენი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. სილა, რომელიც ყველა ჩვენთაგანს გაწნული გვქონდა წინა მთავრობაში, მეორედ, უფრო მწარედ, დღეს ახალმა მთავრობამ გაგვარტყა; სათანადო წესების გარეშე მოწვეულმა სასამართლომ და შესაბამისად არალეგიტიმურმა კრებამ კი, ძირითადი კრედიტორების დაუსწრებლად, სასამართლო განჩინებით დღის წესრიგში არარსებული საკითხი - რეაბილიტაციის მმართველის გათავისუფლება და ახლის დანიშვნა - განიხილა. კრებაზე რუსთავის მერის წარმომადგენელმა გაიმეორა კ. ბენდუქიძის მიერ პარლამენტში წარმოთქმული სიტყვები: "ქარხანა არ მუშაობს, ესე იგი რეაბილიტაციის მმართველი და მისი გუნდი არაკომპეტენტურია" (ლაპარაკია ქარხანაზე, სადაც, 2005 წლის 4 თებერვლის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამდე და მას შემდეგ, არ გვიშვებდნენ მისი დაცვის წევრები. მიზეზი მარტივია - გარკვეულ ძალებს ხელს არ აძლევთ ქარხნის მუშაობა). თუ დღესაც რუსთავის მერის შესაფასებელი ან გადასაწყვეტია მთავრობის კურსი და საკადრო პოლიტიკა, მაშინ ამ სიმართლით იაროს ამავე მთავრობამ; ლევან მამალაძის გარდა, ყველა ძველმა ხელმძღვანელმა უკვე ღიად აღიდგინა თავისი პოზიციები და ინტერესები კომბინატში ერთი განსხვავებით, რომ მათ რიცხვს ახალი ცნობილი სახეებიც დაემატა. ქარხნის რეაბილიტაციის ახალ მმართველად წარდგენილი იქნა პიროვნება, რომლის მიმართ პიროვნული არაფერი გვაპირისპირებს, გარდა ერთი ნიშანდობლივი ფაქტისა - ის იყო ადვოკატი კომბინატის ერთ-ერთი ხელმძღვანელისა, რომელიც კომბინატის ქონების დატაცებისთვის გასულ წელს ინტერპოლით იძებნებოდა.

შემაშფოთებელი და დაუშვებელია რუსულ-იტალიური კომპანიის წარმომადგენლების მცდელობა, სახელმწიფო ქონების რეალიზაციით მოახდინონ ამავე ქონების პრივატიზაცია.

ჩვენ, სასამართლოს უკანონო, უსაფუძვლო და პოლიტიკური გადაწყვეტილებით განწირულნი, მზად ვართ, ყველა აღნიშნულ ფაქტზე მოგაწოდოთ დოკუმენტური ინფორმაცია, თუ გნებავთ ძალოვანი სტრუქტურების თანდასწრებით, რადგან ამ თავდადებულ შრომაში არაფერი პირადული, სახელმწიფოებრივი ინტერესის გარდა, არ ჩაგვიდია.

შეხვედრას ვითხოვთ მხოლოდ იმიტომ, რომ გულწრფელად შეგვტკივა გული და დარწმუნებით ვიცით, რომ არ იყავით ინფორმირებული არსებულ გარიგებაზე; ხოლო თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ჩვენი აზრით, შეცდომაში იყავით შეყვანილი. დადგა საშიშროება, 10 თვის ნაბრძოლი, ხან გამზითვებული, ხან გაჩუქებული სახელმწიფო ქონება ისევ დაიკარგოს და პრივატიზაცია არ ჩატარდეს ისე, როგორც ეს იყო მითითებული ეკონომიკის სამინისტროს წერილში N12/1-482/6-4 22.07.2004: "სს "რუსთავის მეტალურგიული კომბინატი"-ს სპეციალისტები აქტიურად იქნებიან ჩართული აღნიშნულ პროცესში. კონკრეტული პირობების ჩამოყალიბების შემდეგ, განხორციელდება აქციათა პაკეტის საპრივატიზებოდ გამოტანა, რაც განხორციელდება გამჭვირვალედ და საჯაროდ, შესაბამისი ინფორმაცია (საპრივატიზებო პირობები) გავრცელდება სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის ინტერნეტითაც."

უღრმესი პატივისცემით,
**ბენო ქაშაკაშვილი,**
*სს "რმკ"-ს რეაბილიტაციის მმართველი,*
*ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,*
*ინჟინერ-მეტალურგი;*
**ომარ მიქაძე,**
*სს "რმკ"-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;*
*პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,*
*ინჟინერ-მეტალურგი;*
**ოლგა მეტრეველი,**
*სს "რმკ"-ს რეაბილიტაციის მმართველის მოადგილე,*
*ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,*
*ინჟინერ-მეტალურგი,*
*საქართველოში უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელი,*
*უკრაინის მოქალაქე.*

**P.S.** ჯერ სასამართლო განჩინება არ ჩაგვბარებია.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
საუბრობთ საზღვარგარეთ?
თუ თქვენ სარგებლობთ
საერთაშორისო კოდით
8-10
მაშინ თქვენ გელით სიურპრიზი...
საქართველოს ტელეკომი აწყობს ყოველთვიურ კონკურსს
"თვის ნომინანტები" და გამოავლენს ყველაზე აქტიურ და ერთგულ მომხმარებლებს.
გამარჯვებულები ყოველთვიურად დაჯილდოვდებიან უფასო სალაპარაკო დროით და სპეციალური პრიზებით.
ესაუბრეთ მსოფლიოს,
გადაიხადეთ დროულად,
დაელოდეთ ჩვენს ზარს და, რაც მთავარია, უამრავ სიურპრიზს!
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 44 18 10 www.telecom.ge

# საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი კვლავ რუსეთია

*2004 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, რომლებიც საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტმა ამ დღეებში გამოაქვეყნა, საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულში კვლავ რუსეთი ლიდერობს. გასულ წელს ამ ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვამ 362,4 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 2003 წელთან შედარებით 117,3 მილიონი დოლარითაა გაზრდილი. საქართველოს ექსპორტის ძირითად პროდუქციად კვლავაც შავი ლითონების ჯართი რჩება.*

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, შარშანდელთან შედარებით, 55,4 პროცენტით გაიზარდა და 2495,8 მილიონი დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 648,8 მილიონი დოლარია, ხოლო იმპორტი 1847,0 მილიონი დოლარი.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის თითქმის 40 პროცენტი დსთ ქვეყნებზე მოდის. რაც შეეხება რუსეთს, 2004 წელს ამ ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვა თითქმის 50 პროცენტით გაიზარდა და 362,4 მლნ დოლარი შეადგინა.

რუსეთის შემდეგ, თურქეთია, რომელთან სავაჭრო ბრუნვამ 321 მილიონი შეადგინა. ათეულში შედიან აგრეთვე გაერთიანებული სამეფო, აზერბაიჯანი, გერმანია, უკრაინა, თურქმენეთი, აშშ, საფრანგეთისა და შვეიცარიის ნაცვლად კი უკვე 2004 წელს ათეულში სომხეთი და იტალია შევიდნენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველო გასულ წლებთან შედარებით ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებს აფართოებს. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ევროკავშირის 25 ქვეყანასთან ბრუნვამ 2004 წელს 727,7 მლნ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 42,1 პროცენტით მეტია. საქართველოდან ექსპორტირებულმა პროდუქციამ კი ევროკავშირის ქვეყნებში მხოლოდ 111,6 მილიონი დოლარი შეადგინა. თუმცა ეს მაჩვენებელი 2003 წელთან შედარებით 37 პროცენტითაა გაზრდილი. ევროკავშირზე საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 29 პროცენტი მოდის.

ცნობისათვის, საქართველოს სავაჭრო ბალანსი კვლავ უარყოფითია და 1198,3 მლნ დოლარს შეადგენს.

როგორც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით გაირკვა, საქართველოს ექსპორტის ძირითად პროდუქციად კვლავ შავი ლითონების ჯართი რჩება. გასულ წელს ქვეყნიდან 96 მლნ დოლარის ჯართი გავიდა, რაც წინა წელთან შედარებით 36 მილიონი დოლარითაა გაზრდილი. პროდუქციის ექსპორტში მეორე ადგილზე საფრენი აპარატებია, რომელთა ღირებულებამ შარშან 83,7 მლნ დოლარი შეადგინა. მესამე ადგილზე კი ყურძნის ნატურალური ღვინოებია 48,7 მლნ დოლარის მოცულობის ექსპორტით.

რაც შეეხება იმპორტს, აქ პირველ ადგილზე კვლავ ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. 2004 წელს მთლიანობაში 186,5 მლნ დოლარის ნავთობია შემოტანილი, რაც 2003 წელთან შედარებით 81,6 მლნ დოლარით მეტია. იმპორტში დიდი წილი უკავია ასევე ელექტროენერგიას. 2004 წელს ქვეყანაში 32,3 მლნ დოლარის ელენერგიის იმპორტი განხორციელდა.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოპერატიული მონაცემებით, ქვეყნის მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების მიერ 2005 წლის იანვარში წარმოებული პროდუქციის მოცულობა 18,9 პროცენტით გაიზარდა და 139,5 მლნ. ლარი შეადგინა. სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზარდა დამამუშავებელ მრეწველობაში, შაქრის წარმოებაში, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებაში, დისტილირებული ალკოჰოლური სასმელების წარმოებაში და წიგნების გამოცემაში.

იმავე ინფორმაციით, ყველა სახის საერთო სარგებლობის ტრანსპორტით გადატანილი ტვირთის მოცულობა იანვარში 6,9 პროცენტით გაიზარდა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2005 წლის იანვარში გადატანილია 2,9 მლნ. ტონა ტვირთი და შესრულებულია 437,8 მლნ. ტონა-კილომეტრი ტვირთბრუნვა. 2004 წლის იანვართან შედარებით, გადატანილი ტვირთის მოცულობა 6,9 პროცენტით, ხოლო ტვირთბრუნვა 10,5 პროცენტით გაიზარდა. ამასთან, 2005 წლის იანვარში შემცირდა სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელებით გაგზავნილი და მიღებული ვაგონების რაოდენობა.

# "თი ბი სი ბანკი" ასწლოვან შენობაში გადავიდა

პირველი გვერდიდან

■ ■ ■

ვისაც კარგად ახსოვს თბილისის ცენტრალური უნივერმაღი და მისი თითოეული დეტალი, ხელოვნების ის ნიმუშებიც არ დაავიწყდებოდა, რომლებიც შენობის ასწლოვანი არსებობის მანძილზე მის განუყოფელ ნაწილებად აღიქმებოდა. გახსოვთ, ალბათ, სამი დიდი სარკე ხის მასიური ჩარჩოებით, ან კიდევ ნადირობის ქალღმერთ დიანას ბრინჯაოს ქანდაკება და უზარმაზარი ორი ჩინური ლარნაკი. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, თითოეული ლარნაკის სიმაღლე, არც მეტი, არც ნაკლები - 120 სანტიმეტრი ყოფილა. ამ ნივთებმა დღემდე დაზიანებული სახით მოაღწიეს, თუმცა ამჟამად მათი რესტრავრაცია "თიბისი ბანკის" დაფინანსებით აქტიურად მიმდინარეობს, რის შემდეგაც თითოეული მათგანი ისევ ძველ ადგილსამყოფელს დაუბრუნდება.

მნახველს შეუძლებელია, დავიწყებოდა ცენტრალური კიბე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ამ შენობის ერთ-ერთ ღირშესანიშნაობას წარმოადგენდა. თითქმის ასი წლის შემდეგაც კი დღეს ამ კიბის ნახვა პირვანდელი სახით ისევ შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ის რეკონსტრუქციამდე საკმაოდ ავარიულ მდგომარეობაში იყო.

კიდევ ერთი იშვიათი სანახაობა, რაც ამ შენობისა და ისტორიის კუთვნილება იყო, ეს პირველი სართულის იატაკია, რომელიც თავის დროზე სხმული მოზაიკით იყო მორთული. როგორც ამბობენ, ის იტალიელი ოსტატის ანჯელო ანდრეოლეტის მიერ იყო შესრულებული. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში თანამედროვე ტექნოლოგიები უძლური აღმოჩნდა. მოზაიკა იმდენად დაზიანებული იყო, რომ სპეციალისტების მცდელობის მიუხედავად, მისი რესტავრაცია ტექნიკურად ვერ მოხერხდა. ერთადერთი, რისი გაკეთებაც გახდა შესაძლებელი, ეს მოზაიკის კონსერვაცია იყო ლითონის ბადის ქვეშ, რომელსაც ზემოდან თეთრი გრანიტის საფარი დაეგო.

დეტალი, რომელიც შენობის პირვანდელი პროექტით გათვალისწინებული არ ყოფილა და რესტავრირებულ შენობას დაემატა - საათია. ის იმდენად ზუსტია, რომ მასზე საკუთარი საათის გასწორებაც კი თამამად შეიძლება. "თიბისი ბანკის" საათი, რომელიც შენობის გუმბათის ქვევით არის დამონტაჟებული, სატელიტზე სწორდება და, ორგანიზატორთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დედაქალაქში დღეს ანალოგიური სიზუსტის საათი არ არსებობს.

შენობის მესამე სართულზე თითქმის მთლიანად ბიბლიოთეკა განთავსდება, რომლითაც სარგებლობის უფლება "თიბისი ბანკის" თანამშრომლების გარდა, კლიენტებსაც ექნებათ.

■ ■ ■

მცირე რამ ამ შენობის ისტორიიდან: სანამ თბილისის ცენტრალური უნივერმაღი დაიდებდა ამ შენობაში ბინას, მანამ აქ კავკასიის ოფიცერთა ეკონომიკური საზოგადოება იყო განთავსებული. შენობის ესკიზურ პროექტზე ამ საზოგადოებამ კონკურსი 1910 წელს გამოაცხადა. კონკურსის პირობები კი სანქტ-პეტერბურგის არქიტექტორთა საზოგადოების ალმანახში გამოქვეყნდა. მშენებლობა 1911-1913 წლებში იმ დროს თბილისში მოღვაწე არქიტექტორის ალექსანდრ როგოისკის პროექტის მიხედვით წარიმართა. ერთ-ერთი ვერსიით, ამ შენობის შექმნა ცნობილი იტალიელი ოსტატის ანჯელო ანდრეოლეტის სახელსაც უკავშირდება, რომელსაც თბილისში საკუთარი ქვის დამამუშავებელი ქარხანა ჰქონდა. აქ წლების განმავლობაში იტალიელი ხელოსნების მიერ იტალიიდან ჩამოტანილი ნედლი მარმარილოს დამუშავება ხდებოდა. 1913 წლის 30 ივნისს შენობა საზეიმოდ აკურთხეს. მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდის 20-იან წლებში, შენობა კოოპერატივად გადაკეთდა და "ერკოპი" ეწოდა. "თბილისის ცენტრალური უნივერმაღი" კი ამ შენობაში 1934 წლის მაისში განთავსდა.




■ ■ ■

მართალია, "თიბისი ბანკი" ახალი ოფისის გახსნამდეც გეგმავდა მომსახურების ხარისხის ამაღლებას, თუმცა ახალი ოფისი ამის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა. სტრატეგიული სექტორისთვის, კოოპერატიული კლიენტებისა და იმ მსხვილი კომპანიებისთვის, რომლებმაც სტაბილური ადგილი დაიმკვიდრეს საქართველოს საფინანსო ბაზარზე, ახალი ოფისი უფრო მყუდრო და კომფორტული გარემოს შექმნის საშუალებას იძლევა.

ახალი ოფისის გახსნა ასევე უკავშირდება ფიზიკური პირებისთვის ეგრეთ წოდებული VIP მომსახურების დანერგვას. VIP მომსახურება - ეს არის მოქნილი სადეპოზიტო განაკვეთების სისტემა, რომელიც უფრო გამჭვირვალე იქნება და საბანკო ოპერაციებში მონაწილეობას მიიღებენ ბანკის რჩევებიდან გამომდინარე. ასეთი ბაზარი საქართველოში არ არსებობს.

ახალი სათაო ოფისის კიდევ ერთი უნიკალური შესაძლებლობა - "თიბისი ბანკი" კლიენტებისთვის სემინარებისა და ტრეინინგების გამართავს გეგმავს. ეს არის ბანკის ხელმძღვანელობის სურვილი - კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდეს საკუთარ კლიენტებს.

*საგადასახადო განმარტებები*

# გამოქვითვები და ზარალი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგების გადასახადში მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ და მკაფიოდ განვსაზღვროთ ერთობლივი შემოსავლის ცნება და მასში შესატანი შემოსავლები, გამოსაქვითი დანახარჯების ცნება და ყველა ის ხარჯი, რომელსაც კოდექსი გამოსაქვით ხარჯებში შესატან ხარჯებს უწოდებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა წარმოადგენს საწარმოს შემოსავალს და რომელი ხარჯების გამოკლების უფლებას გვაძლებს საგადასახადო კოდექსი.

წინა ორშაბათს ვისაუბრეთ ერთობლივ შემოსავლებზე, დღეს გამოსაქვითი ხარჯების შესახებ გარკვეული ინფორმაციის მოწოდებას შევეცდებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის თანახმად, ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, გარდა ძირითადი საშუალებების შეძენის, დადგმისა და სხვა კაპიტალიზებადი ხარჯებისა.

ძირითად საშუალებებში იგულისხმება ყველა ის საგანი რომელიც გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ეს შეიძლება იყოს ჩარხ-დანადგარები, სხვადასხვა ელექტრო მოწყობილობები, ავტომანქანები და ა.შ.

მართალია, საგადასახადო კოდექსში აღნიშნულია, რომ ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას ექვემდებარება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, მაგრამ აქვე იგი აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს.

მანამ, სანამ შეზღუდვებზე გადავალთ, მნიშვნელოვანია ერთ მომენტზე შეჩერება, კერძოდ: გამოიქვითება ყველა ის ხარჯი, რომელიც შემოსავალზეა მიბმული, რამაც შემოსავლის მიღება განაპირობა, გამოიქვითება ხარჯი, რომლის გაწევაც აუცილებელი იყო შემოსავლის მისაღებად და არა ხარჯი, რომელიც იმ პერიოდში გავწიეთ, როდესაც შემოსავალი მივიღეთ.

დავუშვათ, რომ საწარმოს 2004 წლის ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 100 000 ლარი, ხოლო ხარჯებმა 70 000 ლარი, ასეთ შემთხვევაში დასაბეგრი მოგება იქნებოდა 30 000 ლარი (100 000 - 70 000) რასაც დაერიცხება მოგების გადასახადი 20 პროცენტის ოდენობით.

ზემოაღნიშნული მაგალითიდან გამომდინარე, გაწეული ხარჯები 70 000 ლარის ოდენობით, მართალია, მართლაც გაწეულია საწარმოს მიერ, მაგრამ, როგორც წესი, საგადასახადო კოდექსი ამ დანახარჯების სრულად გამოქვითვის უფლებას არ იძლევა. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი შეზღუდვა ის არის, რომ გამოქვითვას ექვემდებარება მხოლოდ ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ერთობლივ შემოსავალთან და მის მიღებას განაპირობებს. ასევე არსებობს მთელი რიგი შეზღუდვები და ხარჯები, რომელთა გამოქვითვას საგადასახადო კოდექსი საერთოდ კრძალავს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად, ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება:

ა) ის ხარჯები, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან, გარდა საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შემოწირულობის თანხისა, მაგრამ არა უმეტეს ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვების შემდეგ დარჩენილი თანხის 8 პროცენტისა.

მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 100 000 ლარს, ხოლო გამოსაქვითი ხარჯები 70 000 ლარს, დასაბეგრი მოგება 30 000 ლარს (სადაც ჯერ გამოქვითული არ არის საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შემოწირულობის თანხა). ასეთ შემთხვევაში, საწარმოს შეუძლია ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს ხარჯის სახით 2400 ლარი (30 000-ის 8 პროცენტი). საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შემოწირულობის თანხის გაანგარიშებისა და ერთობლივი შემოსავლიდან მისი გამოკლების შემდეგ, მოგების გადასახადით დასაბეგრი მოგება იქნება 27 600 ლარი (100 000 - (70 000 +2 400)).

ბ) გართობაზე გაწეული ხარჯები, ეს არ ეხება იმ გადამხდელებს, რომლებიც ეწევიან გართობითი ხასიათის საქმიანობას;

გ) ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯები, ლატარიებიდან, კაზინოებიდან, აზარტული ნა სხვა მომგებიანი თამაშობებიდან მიღებულ მოგებებთან დაკავშირებული ხარჯები ან ხელფასის სახით შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები;

დ) მოგების გადასახადის ან საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებული შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 185 მუხლის თანახმად, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირებს უფლება აქვთ, გამოქვითონ წარმომადგენლობითი ხარჯები არა უმეტეს საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის 1 პროცენტის ოდენობით. 184-ე მუხლის თანახმად, სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებულ ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების გამოქვითვა დაიშვება ყოველწლიურად, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის 5 პროცენტის ოდენობით.

ხშირ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელები საქართველოს საგადასახადო კოდექსის შეზღუდვებს აღიქვამენ, როგორც გარკვეულ აკრძალვას ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების პროცესში, რაც არასწორია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი კრძალავს ან ზღუდავს გარკვეული ხარჯების გამოქვითვას ერთობლივი შემოსავლიდან, მხოლოდ საშემოსავლო და მოგების გადასახადების გაანგარიშების კუთხით, მხოლოდ საგადასახადო ვალდებულებების კუთხით. გადასახადის გადამხდელს შეუძლია, გასწიოს ნებისმიერი ხარჯი, ნებისმიერი ოდენობით.

მაგალითად, გადასახადის გადამხდელს შეუძლია, გასწიოს წარმომადგენლობითი ხარჯი შეხედულებისამებრ, მაგრამ მოგების გადასახადის დაანგარიშების დროს მას უფლება არა აქვს გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლის 1 პროცენტზე მეტი.

შემდეგ განმარტებაში ვისაუბრებთ გამოქვითვას დაქვემდებარებულ დანარჩენ ხარჯებზე.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

ახალი საგადასახადო კოდექსის დანერგვა

პროექტი

უფასო სატელეფონო კონსულტაციები ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით

საგადასახადო ცხელი ხაზი 93 64 75

ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 19 საათამდე.

პროექტის ფარგლებში გამოიცემა "კომენტარები ახალ საგადასახადო კოდექსზე"

საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი: ზ. ორბელიანის ქ. №35, თბილისი 0105; e-mail: office@economists.ge

IRIS პროექტი ხორციელდება „აირის საქართველოს" მხარდაჭერით

# პირველი თანასწორთა შორის

## აუდიტური და საკონსულტაციო კომპანია "თბილისის მენეჯერები და კონსულტანტები"

*აუდიტური და საკონსულტაციო კომპანია "თბილისის მენეჯერები და კონსულტანტები" საერთაშორისო აუდიტორულ-საკონსულტაციო ჯგუფის BDO Balance Alliance - ის წევრი გახდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართულ კომპანიას საერთაშორისო და ადგილობრივი კლიენტებისთვის BDO - ს ერთიანი სავაჭრო ნიშნით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების შეთავაზების შესაძლებლობა ექნება.*

მსოფლიოს ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანიები თამაშობენ. სწორედ ასეთი ტიპის კომპანიებში ხდება უახლესი ცოდნის და გამოცდილების აკუმულირება. დაგროვილი ცოდნის და გამოცდილების მეშვეობით პროფესიული მომსახურების კომპანიები სხვადასხვა ტიპის საწარმოებს ეხმარებიან სამეურნეო საქმიანობის ისეთი პარამეტრების გაუმჯობესებაში, როგორიცაა ბიზნესის ეფექტურობა, მდგრადობა, გამჭირვალობა, რისკების მინიმიზაცია, კონტროლის გარემოს სრულყოფა, სამართლებრივი უზრუნველყოფა და ა.შ.

აუდიტური და საკონსულტაციო კომპანია "თბილისის მენეჯერები და კონსულტანტები" ქართულ ბაზარზე ლიდერობისთვის და ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად შეიქმნა. იგი ხუთი წლის წინ ნულოვანი საწყისი კაპიტალით და დამფუძნებლების შემოქმედებით უნარზე დაყრდნობით დაფუძნდა და დღეს მისი პარტნიორების ზურაბ ლალაზაშვილის და ლევან მკლავიშვილის ხელმძღვანელობით პროფესიონალურ სფეროში უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ კომპანიის თანამშრომლების რიცხვმა 28-ს გადააჭარბა და ამჟამად ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ აუდიტურ-საკონსულტაციო გაერთიანებად ითვლება. აგრეთვე, კომპანიის წარმატების შთამბეჭდავი მაგალითია მისი "BDO Balance Alliance"-ში გაწევრიანება, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია დიდი ოთხეულის ალტერნატივად წოდებულ "BDO International"-ის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბებისკენ.

"BDO International" 1963 წელს ბრიტანეთის, გერმანიის, ჰოლანდიის, აშშ-ს და კანადის აუდიტორული ფირმების გაერთიანებით შეიქმნა და მის მიზანს საერთაშორისო ბიზნესში ჩართული კლიენტებისთვის მაღალი ხარისხის აუდიტორული მომსახურების გაწევა წარმოადგენდა. "BDO International" ამჟამად მსოფლიოში რიგით მეხუთე აუდიტორულ ორგანიზაციას წარმოადგენს. აღნიშნული ქსელი მთელ მსოფლიოში 105 ქვეყნის დამოუკიდებელ ეროვნულ კომპანიებს, 620 ოფისს და 25 ათასს თანამშრომელს აერთიანებს. მისი კლიენტურის სპექტრი ეკონომიკის ყველა სფეროს მოიცავს. შთამბეჭდავია, რომ 2004 წელს ორგანიზაციის წლიურმა შემოსავალმა 3 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

კორპორაციულ პრინციპზე აგებული აუდიტორული ორგანიზაციებისგან განსხვავებით "BDO International"-ის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი დამოუკიდებელი ნაციონალური კომპანიების გაერთიანებაა. ეს კი "თბილისის მენეჯერებს და კონსულტანტებ"-ს საშუალებას მისცემს, ერთი მხრივ, ადგილობრივ კლიენტებს მომსახურება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით გაუწიოს, ხოლო მეორე მხრივ ინდივიდუალობა და დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს.

**"BDO International" - ში სრულუფლებიან წევრებად ჩამოყალიბების პროცესი რთული და ხანგრძლივი პროცესია. წინ არის კომპანიის თანამშრომლების ტრეინინგების, სემინარების და საერთაშორისო სტანდარტების დაუფლების პერიოდი. თუმცა, წევრობა ახალი შესაძლებლობების გარდა დიდ პასუხისმგებლობას და დაუღალავ მრავალწლიან შრომას ნიშნავს.,"** - აღნიშნეს "თბილისის მენეჯერები და კონსულტანტები"-ის დამფუძნებელმა პარტნიორებმა.

ქართული აუდიტური და საკონსულტაციო კომპანიის პარტნიორების განცხადებით, მათ საერთაშორისო აუდიტორულ ორგანიზაციასთან უკვე ორი წელია, მჭიდრო ურთიერთობა აქვთ, თუმცა მხოლოდ წელს მიიღეს "BDO Balance Alliance"-ის ექსკლუზიური წევრობის უფლება. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე, აუდიტურ და საკონსულტაციო გაერთიანებაში გაწევრიანების მცდელობა რამოდენიმე ქართულ კომპანიას ჰქონდა, თუმცა საბოლოო არჩევანი კომპანია "თბილისის მენეჯერები და კონსულტანტებზე" შეჩერდა.

ნებისმიერი კომპანიის ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციაში გაერთიანება, როგორიც "BDO International"-ია, ლოგიკურად სვამს კითხვას, თუ რა შეიძლება მისცეს ამან კომპანიას და ზოგადად ქვეყანას. ამ თემაზე საუბრისას კომპანიის დამფუძნებლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბიზნესის განვითარებაზე, ხოლო ბიზნესის განვითარება და ეფექტურობის ამაღლება მათი საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს. ქართული კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორების აზრით, "BDO Balance Alliance"- ის წევრობით მიღებული საერთაშორისო ცოდნა და გამოცდილება "თბილისის მენეჯერები და კონსულტანტების" მეშვეობით ადგილობრივ კომპანიებს გადაეცემა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შეუწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ "BDO International"-ის მსგავს ორგანიზაციებში გაერთიანებას გარდა პირდაპირი ეფექტისა ირიბი ეფექტიც აქვს - იზრდება ქვეყნის ცნობადობა და უფრო მაღლა იწევა ქვეყნის რეიტინგი, რაც თავის მხრივ, ასევე დადებითი ფაქტორია ინვესტიციების მოზიდვის და ზოგადად ქვეყნის განვითარების საქმეში.

„პროქტერ ენდ გემბლი", მსოფლიოში ყველაზე მსხვილი და წარმატებული კომპანია საყოფაცხოვრებო მოხმარების პროდუქციის წარმოების დარგში, აცხადებს ვაკანსიას ახლად შექმნილ და დინამიური პოზიციისათვის

P&G

სამომხმარებლო ბიზნესის განვითარების (CBD) მენეჯერის თანამდებობაზე.

აღწერა:
CBD მენეჯერი [illegible]

კვალიფიკაცია:
[illegible]

რეზიუმეს გამოგზავნა:
გთხოვთ, ეწვიოთ ჩვენს ვებ-გვერდს მისამართზე www.pg-ca.com ან www.go2pg.com და განათავსეთ თქვენი პროფილი - CBD00002125 Sales/Customer Business DevelopmentAccount Manager, ან გამოგზავნეთ პირადი CV ელექტრონულ ფოსტაზე: muradova.n@pg.com ფაქსი - 995 32 94 18 94.
შეკითხვებით მოგვმართეთ ტელეფონის ნომერზე - +994 50 350 5855

BR ბანკი რესპუბლიკა




ბანკი "რესპუბლიკა"
ყველაზე ეფექტური
ფინანსური ინსტიტუტი

2004 წელი
აქტივები = 129 028 334
გაცემული გადასახადები = 2 917 950
წმინდა მოგება = 6 529 776

ბანკი "რესპუბლიკა", თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 294598 ფაქსი: 227566 www.republic.ge

# ჩეჩენი ლტოვილები ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს კორუფციაში ამხელენ



ორი წლის წინათ ჩეჩენი ლტოლვილები კმაყოფილები იყვნენ.

*პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩეჩენ მოსახლეობაში ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებულმა ვნებათაღელვამ პიკს მიაღწია. ჩეჩენი დევნილები არასწორად რეგისტრირებულ სიებში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ადანაშაულებენ. აღნიშნული დავის გასარკვევად ხეობაში მინისტრის მოადგილესთან ერთად სახალხო დამცველი სოზარ სუბარიც ჩავიდა. სოფელ დუისის კულტურის სახლში გამართულ შეხვედრაზე დაძაბული სიტუაცია უმართავი მას შემდეგ გახდა, როცა ერთ-ერთმა ლტოლვილმა ქალბატონმა ორი წლის ავადმყოფი შვილი სახალხო დამცველს მიუგდო და მიატოვა. ინციდენტის განსამუხტავად პატრულის გამოძახება გახდა საჭირო.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებული ვნებათაღელვა პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებში ჯერ კიდევ 2004 წლის აგვისტოდან დაიწყო, როდესაც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია მოითხოვა. მიუხედავად სარეგისტრაციო ნორმების სრული დაცვით ჩატარებული პროცედურისა, ლტოლვილის სტატუსის გარეშე ის ადამიანები აღმოჩნდნენ, რომელთაც ჩეჩნეთის მოქალაქეობა აქვთ და სიებში მათი კუთვნილი ადგილი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაიკავეს. **"მე ჩეჩნეთის მოქალაქე ვარ, ამის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტიც წესრიგში მაქვს, ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ კი ლტოლვილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი სამინისტრომ მოულოდნელად გამიუქმა. მიზეზად კი მეუბნებიან, რომ რეგისტრირებულ სიებში არ ვწერივარ და შესაბამისად ლტოლვილის საბუთიც არ მეკუთვნის. რის საფუძველზე შეადგინეს სიები, რომელშიც თვითონ ჩეჩნები არ ჩაგვწერეს, ჩვენი კუთვნილი სტატუსი კი მოულოდნელად ადგილობრივებმა მიიღეს? სამინისტრომ ეს რეგისტრაცია პირადი გამორჩენისთვის გამოიყენა,"** - ამბობს ჩეჩენი ლტოლვილი მზია მუსაევა.

ჩეჩენმა დევნილებმა სტატუსთან დაკავშირებით არსებული დარღვევების გამო, გაერო-ს ოფისს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაციებს არაერთხელ მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ, ბოლოს კი ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციებიც გაიმართა, მაგრამ მაინც უშედეგოდ. ამ ყველაფერში კი ბრალს ჩეჩენი დევნილები ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს ჯამბულ ხოზრევანიძეს სდებენ და მას კორუმპირებულ ადამიანს უწოდებენ. **"ყველაფრის თავი და თავი მინისტრის მოადგილე ჯამბულ ხოზრევანიძეა, მან შეადგინე არასწორი სიები და რეგისტრაცია პირადი გამორჩენისთვის გამოიყენა. ეს, ჩვენი მხრიდან ახირებული და უსაფუძვლო ბრალდება არ არის, მის კორუმპირებულობას ყველანი დავამტკიცებთ,"** - აცხადებს ჩეჩნეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, სულეიმან გემაშვილი, რომელიც თავადაც ლტოლვილის სტატუსის გარეშე დარჩა.

ჩეჩნების პრობლემების გასაცნობად სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ჩავიდა, რომელსაც თან ჩეჩენი მოსახლეობისგან ბრალდებული მინისტრის მოადგილე ჯამბულ ხოზრევანიძეც ახლდა. სოფელ დუისის კულტურის სახლში გამართულ შეხვედრაზე, სადაც ხეობაში მცხოვრებმა დევნილებმა მოიყარეს თავი, მდგომარეობა მას შემდეგ დაიძაბა, როცა ერთ-ერთმა ლტოლვილმა საკუთარი ორი წლის ავადმყოფი შვილი მიატოვა. 25 წლის ლია გაურგაშვილმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილისგან, მიუხედავად მისი შვილის ჩეჩნური წარმომავლობისა, ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე უარი მიიღო. **"ჩემი ქმარი დედის დაკრძალვაზე წავიდა გროზნოში და ამის შემდეგ აღარც მკვდარი მინახავს და აღარც ცოცხალი. ერთი ავადმყოფი ბავში დამრჩა, რომელსაც თანდაყოლილი მენჯის ამოვარდნილობა აქვს. ექიმთან წაყვანის საშუალებას ვინ ჩივის, უკიდურესი გაჭირვების გამო ხშირად საჭმლის ფულიც არ მაქვს, რომ გამოვკვებო. ლტოლვილის სტატუსით შეიძლებოდა თავის სარჩენად ცოტაოდენი დახმარება მაინც მიგვეღო, მაგრამ მის მიღებაზე უარს მეუბნებიან, არ გეკუთვნისო. თუ ჩემს შვილს, ჩეჩნური წარმომავლობის მიუხედავად, ლტოლვილის სტატუსი არ ეკუთვნის, მე მისი შენახვა უკვე აღარ შემიძლია. მის საცოდაობას როდემდე ვუყურო. აქვე დავტოვებ და ვისაც უნდა, იმან მოხედოს,"** - აცხადებდა ისტერიაში მყოფი ლია გაურგაშვილი.

ინციდენტის განსამუხტავად შეხვედრაზე პატრული გამოიძახეს, თუმცა, ლტოლვილებსა და მინისტრის მოადგილეს შორის დავა ამით არ დასრულებულა. დევნილი ჩეჩნები სამინისტროს ლტოლვილის სტატუსის უკანონო ვაჭრობაში ადანაშაულებდნენ და აღნიშნულ ინციდენტშიც პასუხისმგებლობას ხოზრევანიძეს აკისრებდნენ. მიუხედავად ლტოლვილების მხრიდან დასახელებული კანოდარღვევის არაერთი ფაქტისა, მინისტრის მოადგილე მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევდა. ლია გაურგაშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯის მიუხედავად კი, ხოზრევანიძე ამტკიცებდა, რომ ორი წლის ავადმყოფ ბავშვს ლტოლვილის სტატუსი და შესაბამისად დახმარება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არ ეკუთვნოდა, რომ დედამისი ადგილობრივი მცხოვრები იყო. **"ამ ხალხის მიერ ჩემ მიმართ წაყენებული ბრალდება უსაფუძვლოა, რეგისტრირებულთა სიებში დარღვევა შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ეს მხოლოდ ტექნიკური მიზეზის გამო იქნება და ისიც მცირე პროცენტი. სამინისტრო სიებს კიდევ ერთხელ გადაამოწმებს და შესაბამისად ამ ტექნიკურ შეცდომებსაც გამოასწორებს. რაც შეეხება ქალბატონს, რომელმაც შვილი მიატოვა, ლტოლვილის სტატუსი იმიტომ არ ეკუთვნის, რომ ადგილობრივი მკვიდრია,"** - აცხადებდა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის პირველი მოადგილე ჯამბულ ხოზრევანიძე.

დუისის კულტურის სახლში ჩეჩენ დევნილებთან სახალხო დამცველის და სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრაზე გადაწყდა, რომ რამდენიმე დღეში სახალხო დამცველის ხელმძღვანელობით შეიქმნება კომისია, რომელშიც პანკისის ხეობის ყველა სოფლის წარმომადგენლები გაერთიანდებიან და სამინისტროს მიერ უკვე დარეგისტრირებულ სიებს გადაამოწმებენ. **"ჩვენ ამ ხალხთან ერთად იმ სიებს გადავამოწმებთ, რომლის მიხედვითაც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ლტოლვილის სტატუსის გაცემას აწარმოებს. დარღვევების შემთხვევაში კი შესაბამის ინსტანციებს დაუყოვნებლივ მივმართავთ. რათა ასეთ კანონდარღვევებს ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს და ხალხმაც მტყუან-მართალი გაარჩიოს,"** - განაცხადა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ჩატარებული დევნილთა ეს უკვე მესამე რეგისტრაციაა. ჩეჩნების თქმით, კანონდარღვევები ყველა რეგისტრაციას ახლდა, მაგრამ ამჯერად ლტოლვილის სტატუსის გარეშე უკვე 400-მდე ჩეჩნური ოჯახი დარჩა.

ინტელექტბანკი
INTELLECTBANK

# მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა "ინტელექტბანკი"-ს პრიორიტეტია



"ინტელექტბანკი" მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი კრედიტების გაცემას აგრძელებს. უკვე ერთი წელია მცირე და საშუალო მეწარმეთა ფინანსური პრობლემების მოგვარება "ინტელექტბანკმა" თავისი საქამიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად აღიარა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბანკს ამგვარი პროექტების განხორციელების თითქმის 10 წლიანი გამოცდილება გააჩნია. შესაბამისად საკმაოდ მრავალფეროვანია იმ კომპანიათა ჩამონათვალი და საქმიანობის სფეროები, რომლებმაც თავიანთი ბიზნესის განვითარება "ინტელექტბანკის" ფინანსური მხარდაჭერით მოახერხეს.

*"ძალიან ახალგაზრდა მობილური ჯგუფი, გონებაგახსნილი და განათლებული - აი ასეთი კადრებით არის დაკომპლექტებული ინტელექტბანკი, მათ იციან დროის და კარგი კლიენტის ფასი. ნდობის ფაქტორი ძალიან დიდია. 8 წელია, რაც ჩვენი ორგანიზაცია ინტელექტბანკთან თანამშრომლობს და ეს ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება" - დალი ბიწაძე, ორგანიზაციის "ბიოენერგია" აღმასრულებელი დირექტორი.*

*"ჩვენს კომპანიას დაარსების დღიდან ინტელექტბანკთან აქვს ურთიერთობა. საიუველირო ბიზნესის მიმართ ინტელექტბანკმა დაიტერესება თავიდანვე გამოიჩინა და ჩვენთვის მისაღები საკრედიტო პირობები შემოგვთავაზა. საქმიანი ურთიერთობა 6 წლის წინ დაიწყო და დღემდე გრძელდება" - თემურ კუცია, "გოა და კომპანია"-ს გენერალური დირექტორი.*

*"ინტელექტბანკი კარგ პირობებს გვთავაზობს. მომსახურება კარგია, დრო უქმად არ იხარჯება, დროულად ხდება კრედიტის გაცემა. ინტელექტბანკთან 8 წლიანი წარმატებული საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებს" - ზურა ხერედინაშვილი, კომპიუტერული კომპანია "უნიტექი"-ს დირექტორი.*

*"რომ არა ინტელექტბანკის საკრედიტო მხარდაჭერა, თელეთის მეფრინველეობის ფაბრიკა დღევანდელ ბაზარზე ადგილის დამკვიდრებას ვერ მოახერხებდა" - რეზო რობაქიძე, "თელეთის" მეფრინველეობის ფაბრიკის გენერალური დირექტორი.*

"ინტელექტბანკის" სტატისტიკა ცხადყოფს, რომ მიკრობიზნეს კრედიტებითა და მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებით სულ უფრო მეტი ადამიანი სარგებლობს. მითუმეტეს როცა სესხის გაცემის პროცედურები სხვა ბანკებთან შედარებით გამარტივებულია. "ინტელექტბანკი" კლიენტებს სთავაზობს: მიკროკრედიტებს (500-10000 ა.შ.შ დოლარი), საშუალო და მცირე სესხებს (10 000-100000 ა.შ.შ დოლარი) და დიდ სესხებს, რომელიც 100000 ა.შ.შ დოლარიდან იწყება. ბანკი, გარდა ერთწლიანი ბიზნესს სესხებისა, გასცემს სამწლიან კრედიტებსაც შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთით.

"ინტელექტბანკი" კლიენტებს მოქნილ საკრედიტო მომსახურეობას სთავაზობს. სულ რამდენიმე დღეა საჭირო იმისთვის, რომ საკრედიტო ოფიცერმა სესხის გაცემაზე გადაწყვეტილება მიიღოს. მანამდე კი ის სწავლობს რამდენად მზარდია კომპანია, როგორია მისი მენეჯმენტი, რამდენად გამჭირვალე იქნება პროექტი და გააჩნია თუ არა კომპანიას კრედიტით გამოყოფილი თანხის მიზნობრივად განკარგვის რესურსი. უარის შემთხვევაში კლიენტი საკრედიტო ოფიცრისგან გარკვეულ კონსულტაციებსაც იღებს. რისკ ფაქტორების შემცირების შემთხვევაში კლიენტს ხელმეორედ შეუძლია მიმართოს ბანკს. ამასთან "ინტელექტბანკში" არსებობს კლიენტთა საინფორმაციო ბაზა, რაც მსესხებელს მეორეჯერ კრედიტის აღებას უადვილებს. საერთოდ კი "ინტელექტბანკი" მუდმივად მუშაობს საკრედიტო ტექნოლოგიების დახვეწაზე, ამ კუთხით მიმდინარეობს კონსულტაციები ექსპერტებთან და ასევე მუდმივად ხდება საერთაშორისო ორგანიზიების გამოცდილების გაზიარება. "ინტელექტბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილის კახა ამაღლობელის განცხადებით ბანკი ყოველთვის მზადაა ფინანსური დახმარება გაუწიოს ნებისმიერ ჭეშმარიტ და პროფესიონალ მეწარმეს.

"ინტელექტბანკი" ფილიალების ქსელის გაფართოებასაც გეგმავს. ამჟამად ბანკის 14 ფილიალიდან 11 საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშია: ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, სენაკი, ქუთაისი, ზესტაფონი, ჭიათურა, ხაშური, რუსთავი ახალციხე, ყვარელი. ფილიალების ქსელის გაფართოება კი თავისთავად უფრო მეტ რეგიონში მისცემს შესაძლებლობას მცირე და საშუალო მეწარმეებს "ინტელექტბანკის" საკრედიტო მომსახურებით ისარგებლონ.

## შპს " აჭარის ენერგოკომპანია" აცხადებს ღია ტენდერს სადენების შეძენაზე.

| # | საქონლის ტექნიკური მაჩვენებლები | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | AC150 | 2 ტონა |
| 2 | AC120 | 2 ტონა |
| 3 | AC35 | 1 ტონა |
| 4 | A25 | 1 ტონა |
| 5 | ალუმინის იზოლირებული სადენი კვეთით 10 მმ² ([illegible]) | 107 000 მეტრი |

მომწოდებლის შერჩევის კრიტერიუმები:
1. ტექნიკური შესაბამისობა
2. საქონლის ღირებულება
3. გადახდის პირობები
4. მომწოდებლის გამოცდილება მსგავსი შეკვეთების შესრულებაში

გთხოვთ თქვენი წინადადებები მოგვაწოდოთ ა.წ. 11 მარტამდე
**შემდეგ მისამართზე:**
ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N 103,
მობილური: 877 419733
ფაქსი: 888222 76345, 76346
ელ. ფოსტა: vasili.trofimov@aec.ge

## შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები: თეორია და პრაქტიკა".

კურსი ჩატარდება 2005 წლის 2 მაისიდან 15 მაისამდე ერევანში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 6 აპრილი. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე:

**http://hei.unige.ch/psio/outreachactivities/capacitybuilding.html**

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ ჟენევის საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის, საერთაშორისო ორგანიზაციების სწავლების პროგრამის კოორდინატორს ახიმ ვენმანს ელექტრონული ფოსტით: cabirapplications@yahoo.com

## აკადემიური წელი აშშ-ში უფროსკლასელებისთვის

**სამეცნიერო-საგანმანათლებლო ასოციაცია "მსოფლიო ლაბორატორიამ"" განაახლა საერთაშორისო სასწავლო პროგრამები მოზარდებისთვის.**

**ინგლისური ენის მცოდნე უფროსკლასელებს (დაბადებულთ 3.03.1987-დან 1.08.1990-მდე) ვთავაზობთ**
**ა.წ. 9 აგვისტოდან ისწავლონ აშშ-ს სკოლებში და იცხოვრონ ოჯახებში.**

**ათთვიანი სასწავლო პროგრამის ღირებულებაა 6000 აშშ დოლარი (J-1 ვიზა, მგზავრობა, ცხოვრება, კვება, სწავლება, სამედიცინო დაზღვევა ამერიკულ კომპანიაში, საორიენტაციო კურსი ნიუ-იორკში).**

**კონკურსი ჩატარდება ა/წლის 26-27 მარტს:**
*1.ტესტირება ინგლისურ ენაში,*
*2. უნარ-ჩვევების შემფასებელი ტესტი.*

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ა/წ. 15 მარტამდე უნდა წარმოადგინონ** *მშობლების განცხადება (ფინანსური გარანტიებით), ცნობა სასწავლო დაწესებულებიდან, ჯანმრთელობის ცნობა, ორი ფოტოსურათი 3X4,* **"მსოფლიო ლაბორატორიის" ოფისში, დ.უზნაძის ქ. N 2, 11-დან 16 საათამდე. ტელ: 95-63-36. ელ-ფოსტა: wolabge@yahoo.com**

## BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტი

საქართველოში "ბი-პი"-ს საქმიანობის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს **BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტის** თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა:**
BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტის მოვალეობას შეადგენს BP-ს გენერალური მენეჯერის საქართველოს ოფისის ადმინისტრირება და კომპანიის შიდა და საგარეო კავშირების მართვის უზრუნველყოფა.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**
აღმასრულებელი ასისტენტის მოვალეობები მოიცავს (არ შემოიფარგლება რა ამით):
- უზრუნველყოფს გენერალური მენეჯერის შეხვედრების, საქმიანი მიღებების და სხვა საქმიანობის, მათ შორის, მივლინებების დაგეგმვას, ორგანიზებას და კოორდინირებას;
- ამზადებს გენერალური მენეჯერის სამუშაო პროცესში საჭირო წერილებს, დოკუმენტებს, პრეზენტაციებს;
- ადმინისტრაციულ დახმარებას უწევს გენერალურ მენეჯერს და უზრუნველყოფს ყველა საოფისე ფუნქციის - მათ შორის როგორიცაა სატელეფონო ზარების მიღება, კორესპონდენციის და დოკუმენტაციის მომზადება, აღრიცხვის სისტემის წარმოება - ეფექტურად წარმართვას;
- ასრულებს გენერალური მენეჯერის თარჯიმნის მოვალეობას საქართველოს სამთავრობო უწყებებთან და სამინისტროებთან, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციასთან და სხვა მხარეებთან გამართულ შეხვედრებზე, აგრეთვე პრეს-კონფერენციებსა და სხვა საჯარო ღონისძიებებზე.
- საჭიროებისამებრ ასრულებს სხვა მოვალეობებს.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:
- უფროს სამდივნო ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- კომპიუტერულ პროგრამებთან (MS Word, Excel, PowerPoint) მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 9 მარტი, ოთხშაბათი.**

**ყველა შემოსული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მილსადენების პროექტი
BP ჯორჯია
საქართველო, თბილისი
საბურთალოს ქუჩა N38



## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა ქალაქის ცენტრში სპეციალური რეიდი ჩაატარეს და რამდენიმე დამნაშავე ფაქტზე დააკავეს. 23 წლის მირზა ხურციძე და 27 წლის თორნიკე მინდაძე პოლიციამ იმ დროს აიყვანა, როცა ისინი რუსთაველის გამზირზე მოძრავ სამარშრუტო ავტობუსში ე.წ. ჯიბის ქურდობას ეწეოდნენ. ორივე პიროვნება სამართალდამცველებმა ნარკოლოგიურ დისპანსერში გადაიყვანეს, სადაც დადგინდა, რომ ისინი ნარკოტიკული საშუალების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. პოლიციამ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან სამი პიროვნება დააკავა, რომლებმაც ძალადობისა და მუქარის გამოყენებით რამდენიმე სტუდენტს მობილური ტელეფონები და ფულადი თანხა გამოსძალეს. დაკავებულები ქუთაისის წინასწარი დაკავების საკანში მოათავსეს **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 28 თებერვალს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება მრგვალი მაგიდა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების ძირითადი მიმართულებების განხილვას მიეძღვნება. ეუთო-ს მისიის ექსპერტები წარმოადგენენ კონცეფციას შემდეგ მიმართულებებზე: საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ჩამოყალიბების მნიშვნელობა საქართველოში პოლიციის რეფორმირებისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და პოლიციელთა საბაზო განათლების კონცეფცია. მრგვალ მაგიდაში მონაწილეობას მიიღებენ შს მინისტრის მოადგილე ბიძინა ბრეგაძე, პოლიციის აკადემიის რექტორი ლევან იზორია, ეუთო-ს ელჩი საქართველოში როი რივი, ევროკავშირის კანონის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელი სილვია პანიცი, საერთაშორისო ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**გორი.** შიდა ქართლის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა რაზმის თანამშრომლებმა გორის რაიონის სოფელ ტყვიავის ბლოკ-საგუშაგოზე დააკავეს სამგზავრო ავტობუსი "ნეოპლანი", რომლითაც მძღოლს, ზუგდიდში მცხოვრებ 56 წლის ვალერი გაბისონიას ცხინვალიდან გორის მიმართულებით გადაჰქონდა 5000 ლარის ღირებულების უსაბუთო კომპიუტერული და საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

ავტომანქანა ტვირთიანად გადაეცა საფინანსო პოლიციას. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ბორჯომი.** ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბასთან დააკავეს ავტომანქანა "კამაზი", რომლითაც მძღოლს, ბორჯომის რაიონის დაბა წაღვერში მცხოვრებ ხვიჩა სიდამონიძეს ბორჯომიდან საჩხერეში გადაჰქონდა 800 ლარის ღირებულების 8 კუბური მეტრი უსაბუთო დახერხილი ხის მასალა. მიმდინარეობს მოკვლევა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**საგარეჯო.** სოფელ გიორგიწმინდასთან ავტომანქანა "კამაზი", რომელსაც მართავდა გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში მცხოვრები, 44 წლის გიორგი ბეჟაშვილი, შეეჯახა ავტომანქანას "უაზი"-469, რომელსაც მართავდა საგარეჯოში მცხოვრები, 55 წლის თემურ მასურაშვილი. შეჯახების შედეგად მასურაშვილი ადგილზე გარდაიცვალა, ბეჟაშვილი დაკავებულია. **მედიანიუსი.**

■ ■ ■

**წალკა.** ავტომატური ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით შეიარაღებული 5-8 დაუდგენელი პირი თავს დაესხა წალკაში მცხოვრებ, 61 წლის მიხეილ ჩამურლიევის ოჯახს, მას და მეუღლეს, 57 წლის ჯულიეტა ჩამურლიევას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და გაიტაცეს 3000 ევრო, 2000 დოლარი, ოქროს სამკაულები, სანადირო თოფი "სილვერი" და ავტომანქანა. მიხეილ ჩამურლიევი მიღებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

■ ■ ■

**თერჯოლა.** თერჯოლის რაიონის სოფელ სიქთარვასთან, ცენტრალურ ავტომაგისტრალზე, ორი პირი ყაჩაღურად თავს დაესხა ზესტაფონში მცხოვრებ, 43 წლის მურმან თუთბერიძეს და დანის მუქარით მოსტაცა მართვის ქვეშ მყოფი მიკროავტობუსი "ფორდი". **მედიანიუსი**

■ ■ ■

**გარდაბანი.** შსს სამმართველოსა და ქვემო ქართლის სამხარეო განყოფილების თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" განსაკუთრებით დიდი ოდენობის რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალაში მცხოვრები, 29 წლის დავით ჯაფარიევი, რომლისგანაც ამოიღეს 2 ე.წ. "ბაშად" დაფასოებული 1,239 გრ ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი". **მედიანიუსი**

# ადვოკატთა ასოციაციამ მუშაობა დაიწყო

*ახლად დაფუძნებულ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე 1200-ზე მეტი ადვოკატი გაწევრიანდა. ასოციაციის პირველმა საერთო დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ორი დღის მანძილზე მიმდინარეობდა, აირჩია აღმასრულებელი საბჭო, ეთიკისა და სარეზერვო კომისიები, მიიღო ასოციაციის წესდება. ერთი სიტყვით, ადვოკატთა ასოციაციამ მუშაობა დაიწყო, გამოცდაჩაბარებულმა ადვოკატებმა კი, ვინც ასოციაციის წევრობის სურვილი განაცხადეს, ფიცი დადეს.*

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცვაძემ გახსნა. ადვოკატთა ახლად დაფუძნებული გაერთიანება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის, იუსტიციის მინისტრის კოტე კემულარიას, საქართველოში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენლის იგორ გაონისა და აშშ-ს იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტის მაიკლ გრეკოს დაინტერესების ობიექტიც გახდა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებმა ორდღიანი დაძაბული კრება ასოციაციის თავმჯდომარის არჩევით დახურეს. თავმჯდომარის თანამდებობაზე 13 კანდიდატი იყო წარდგენილი, რომელთაგან რვამ კოლეგების სასარგებლოდ კენჭისყრიდან საკუთარი კანდიდატურები მოხსნა. ეკა ბესელიამ საკუთარი კანდიდატურა ზვიად კორძაძის სასარგებლოდ მოხსნა, ხოლო დავით ლანჩავამ - კახა ასლანიშვილის სასარგებლოდ. ადვოკატმა დავით ლანჩავამ განაცხადა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მან შაბათს მიიღო, მას შემდეგ, რაც ასოციაციის წევრებმა, მისი გუნდის მიერ დაწერილ წესდებას მიანიჭეს უპირატესობა, რომლის თანახმად, ასოციაციის საწევროს გადასახადი შემოსავლების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის თანამდებობაზე ხუთი ადვოკატი იბრძოდა - ზვიად კორძაძე, კახა ასლანიშვილი, ზურაბ ტაბიძე, როინ მიგრიაული და რომან ფეიქრიშვილი. თუმცა, გუშინ კრებას ასოციაციის თავმჯდომარე არ აურჩევია. საბოლოო არჩევანი ასოციაციის თავმჯდომარის კანდიდატურაზე ადვოკატებმა ზვიად კორძაძესა და კახა ასლანიშვილს შორის ორი კვირის შემდეგ უნდა გააკეთონ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ჩააბარა ადვოკატთა ტესტირება, აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება და დადო ადვოკატის ფიცი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2003-2004 წლებში ადვოკატებისთვის ორი ტესტირება ჩაატარა - სისხლის, სამოქალაქო და საერთო სპეციალიზაციაში. ტესტირებები 2061-მა იურისტმა გაიარა. მათგან შერჩეულია 1200 ადვოკატი, რომლებიც აკმაყოფილებენ ადვოკატის პროფესიულ მოთხოვნებს. ყველა დანარჩენ ადვოკატს თავისი საქმიანობის გაგრძელების საშუალება 2006 წლის ივნისამდე ექნება, იმის მიუხედავად, არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი თუ არა. 2006 წლის ივნისიდან კი ტესტირებაგავლილი ადვოკატებისთვის ასოციაციის წევრობა სავალდებულო გახდება.

**24 საათი**

# ახალგაზრდა ცოლ-ქმრის მკვლელობის მოტივი, ჯერჯერობით, დაუდგენელია

ვაკის საცურაო აუზის მიმდებარე ტერიტორიაზე გუშინწინ, საღამოს შვიდ საათზე მომხდარი საზარელი მკვლელობა ჯერ კიდევ გაუხსნელია. ახალგაზრდა ცოლ-ქმრის - 23 წლის დავით ზირაქაშვილისა და 18 წლის ნათია მთავრიშვილის მკვლელობის სავარაუდო მოტივიც, ჯერჯერობით, დაუდგენელია. შესაბამისად, გამოძიებას არ ჰყავს დანაშაულში ეჭვმიტანილები. საქმეს ართულებს ის გარემოებაც, რომ გამოძიებას არ ჰყავს თვითმხილველი მოწმეები, რომლებიც მკვლელობისას შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ. დაკითხულ მოწმეთაგან ყველა მათგანი ამბობს, რომ მხოლოდ გასროლის ხმა გაიგო. რამდენი იყვნენ თავთავდამსხმელები, მოძრაობდნენ თუ არა ისინი ავტომანქანით, გამოძიებას არც ამის შესახებ აქვს დაზუსტებული ინფორმაცია.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ჯერჯერობით, ვერ მოხერხდა მოკლულთა ოჯახის წევრების დაკითხვა. მათ ჩვენებებზე სამართალდამცველები დიდ იმედებს ამყარებენ.

ჩვენივე ინფორმაციით, ცხედრებისთვის ჩატარებული ექსპერტიზის პასუხი, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, თუმცა, როგორც ირკვევა, პირველადი დათვალიერებით დადგინდა, რომ ცოლსაც და ქმარსაც ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მიყენებული თითო-თითო ჭრილობა აქვთ გულმკერდის არეში.

მკვლელობის დღესვე გავრცელდა ინფოერმაცია, რომ დავით ზირაქიშვილი ბიზნესით იყო დაკავებული და შესაძლოა, მკვლელობა სწორედ ამ ბიზნესს უკავშირდებოდეს, თუმცა, გამოძიება, როგორც უკვე გითხარით, რაიმე გამოკვეთილ ვერსიასა და მოტივზე, ჯერჯერობით, ვერ საუბრობს.

**"ყველა მიმართულებით და ყველა შესაძლო ვერსიაზე აქტიურად ვმუშაობთ. იმედი გვაქვს, რომ ეს საზარელი მკვლელობა უახლოეს ხანში გაიხსნება,"** - განგვიცხადეს ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურაში.

მომხდართან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

**24 საათი**




# სამჯერ "სიკვდილმისჯილი" ავადმყოფის მშობლები სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ



*ფლორიდას შტატის სასამართლომ ნება დართო უიმედო ავადმყოფის ქმარს, ხელოვნურად მაცოცხლებელი აპარატურიდან გამორთოს მეუღლე. მართალია, სასამართლომ მსგავსი გადაწყვეტილება უკვე მესამედ მიიღო, მაგრამ ავადმყოფი ქალის მშობლები კვლავ აპირებენ ზედა ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრებას.*

ფლორიდას შტატის სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, უიმედო ავდმყოფის მეუღლეს ნება დაერთო, განაჩენის გამოქვეყნებიდან სამი კვირის შემდეგ გამორთოს აპარატურა, რომლითაც მისი მეუღლის სასიცოცხლო ფუნქციებს ხელოვნურად ინარჩუნებენ.

ტერი შიავო, რომლის სიცოცხლის გამოც რამდენიმე წელია, სასამართლო დავა მიმდინარეობს, უკვე 15 წელია, უგონოდაა. ასეთ მდგომარეობაში ის გულის შეტევის შემდეგ ჩავარდა და ექიმებს არავითარი იმედი არ აქვთ, რომ ის, არა თუ როდესმე გამოჯანმრთელდება, არამედ საერთოდ გონს მოვა.

სასამართლო დავა მისი ევტანაციის შესახებ უკვე შვიდი წელია, მიმდინარეობს. ამ დროის მანძილზე საქმეში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ადვოკატების გარდა, მონაწილეობა მიიღეს როგორც შტატის, ასევე ფედერალური დონის სასამართლო ინსტანციებმა, ფლორიდის შტატის საკანონმდებლო ორგანომ და შტატის გუბერნატორმა ჯებ ბუშმა. საქმეში ორჯერ ჩაერია შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო. შესაბამისად, იყო ბევრი წინააღმდეგობაც, მათ შორის, სასამართლომ რამდენჯერმე მიიღო გადაწყვეტილება ავადმყოფის ტანჯვის შეწყვეტის შესახებ.

პირველად ტერი შიავოს ევთანაზიის შესახებ გადაწყვეტილება 2001 წელს იქნა მიღებული, თუმცა, ამას მალევე მოჰყვა სასამართლოს სხვა გადაწყვეტილება და ხელოვნური კვების შეწყვეტა ვერ მოასწრეს. 2003 წლის ოქტომბერში კიდევ ერთხელ იყო მცდელობა, გამოერთოთ აპარატურა, მაგრამ კვლავ წარუმატებლად. მაშინ ამას ფლორიდის შტატის გუბერნატორი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის უმცროსი ძმა ჯებ ბუში შეეწინააღმდეგა. ფაქტობრივი მკვლელობა რომ არ დაეშვა, მან ხელი მოაწერა სპეციალურ საკანონმდებლო აქტს, რომლითაც ეს იკრძალებოდა.

სასამართლოს უკანასკნელი გადაწყვეტილების თანახმად კი, პაციენტისთვის საკვებისა და წყლის ხელოვნურად მიწოდება 18 მარტის 1 საათზე უნდა შეწყდეს. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ამ თარიღამდე დარჩენილი დრო საკმარისია, როგორც ახლობლების განწირულთან გამომშვიდობების ცერემონიის ჩასატარებლად, ასევე სხვადასხვა იურიდიულ საკითხთა მოსაგვარებლად, რომლებიც, სავარაუდოდ, აუცილებლად წამოიჭრება.

საქმე ის გახლავთ, რომ ტერი შიავოს ახლობლების აზრი იმის შესახებ, უნდა გამოასალმონ თუ არა ის სიცოცხლეს, წინააღმდეგობრივია. ევტანაზიის ინიციატორი მისი მეუღლე მაიკლ შიავო გახლავთ. მან შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო, რომ მის ცოლს არ ენდომებოდა მსგავს მდგომარეობაში სიცოცხლის გაგრძელება და ამით ევტანაზიაზე თანხმობასაც მიაღწია.

**"მოხარული ვარ, რომ სასამართლომ ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, წერტილი დაუსვას ამ წამებას**, - განაცხადა მაიკლ შიავომ სასამართლო პროცესის შემდეგ, - **თუ გავითვალისწინებთ, რომ თავად ტერის სურვილია, აღარ აწვალონ მისი სხეული, იმედი მაქვს, რომ საკასაციო სასამართლოც იმავე აზრის იქნება."**

სამაგიეროდ, მაცოცხლებელი აპარატურის გამორთვის წინააღმდეგნი არიან ავადმყოფი ქალის მშობლები - რობერტ და მერი შინდლერები. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ მათ შვილს შენარჩუნებული აქვს ცნობიერება და მისი მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია სწორად შერჩეული მკურნალობის კურსის ჩატარების შედეგად.

სწორედ მათი პოზიციის გათვალისწინებით გადაწია სასამართლომ აპარატურის გამორთვის ვადა სამი კვირით. აქედან გამომდინარე, ნათესავებს საშუალება აქვთ, გაასაჩივრონ გადაწყვეტილება ზედა ინსტანციებში. შინდლერების ადვოკატმა ჯეიმს ჯიბსმა განაცხადა, რომ ასეც მოიქცევა. მისივე თქმით, რობერტ და მერი შინდლერები ყველაფერზე მზად არიან, ოღონდ კი სიცოცხლე შეუნარჩუნონ თავიანთ ქალიშვილს. არ არის გამორიცხული, რომ მათ კიდევ ერთხელ მიმართონ უზენეს სასამართლოს.

**"ბედნიერები ვართ, რომ გვაქვს სამი კვირა მანამდე, სანამ ტერის მოკვლას შეეცდებიან,"** - განაცხადა შვილის პალატის კარებთან რობერტ შინდლერმა.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**.............................................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**.............................................................

**საკონტაქტო ტელეფონი**.............................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხზე. დარგის სპეციალისტებს და დაინტერესებულ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

# ელექტროენერგეტიკული ბაზარი ახალი საგადასახადო კოდექსის პირობებში

## ენერგეტიკოსები დაბეგვრის ახალ რეჟიმს ცალსახად უარყოფითად აფასებენ

*2004 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ახალი საგადასახადო კოდექსი დაამტკიცა. დოკუმენტის მიღების შემდეგ ერთ-ერთი დარგი, რომლის ყოფაც რადიკალურად გაუარესდა, ენერგეტიკაა. "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" შეეცადა, განეხილა აღნიშნული საგადასახადო ცვლილებების არსი და ის შედეგები, რომლებმაც, ამ ცვლილებებთან მიმართებაში, უკვე იჩინეს თავი.*

### საგადასახადო ცვლილებების ანატომია

მთავრობამ ქართულ ენერგეტიკაში არსებული მდგომარეობის გამოსწორება საგადასახადო რეჟიმების გამკაცრებით" სცადა".

ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედების შემდეგ გაუქმდა ის შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი, რომლითაც ენერგოორგანიზაციები 2005 წლამდე მუშაობდნენ და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახდენდნენ.

2005 წლის 1 იანვრამდე სადისტრიბუციო ენერგოკომპანიები დამატებული ღირებულების გადასახადს ელექტროენერგიის ამოღებული საფასურის მიხედვით იხდიდნენ, 1 იანვრიდან კი დღგ-ს გადახდა დარიცხული ელექტროენერგიის ღირებულების მიხედვით უწევთ. ეს რეჟიმი ევროპული სტანდარტების შესაბამისია, თუმცა, ექსპერტთა აზრით, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლები არც ისე ევროპულია.

### პრობლემის სათავე

მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიის საფაურის გადახდის საერთო მაჩვენებელი 30-35 პროცენტს არ აღემატება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს, რომლებსაც ჯერ მომხმარებლის გამრიცხველიანებაც კი არ დაუმთავრებიათ, შეიძლება ელექტროენერგიის ამოღებულ საფასურზე მეტი გადასახადის გადახდა მოუხდეთ.

### სახელისუფლებო ლოგიკა

ახალი კოდექსის განხილვისას მაშინდელი ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აცხადებდა, რომ ენერგოსექტორისათვის შეღავათების დაწესება გაუმართლებელია. ნოღაიდელი მიიჩნევდა, რომ დაბეგვრის რეჟიმის შეცვლა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებისათვის "დამატებითი სტიმული" იქნებოდა და ისინი ამ ცვლილების შემდეგ ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლების გაზრდით დაინტერესდებოდნენ.

დაახლოებით იგივე არგუმენტები აქვთ ენერგეტიკის სამინისტროშიც. ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ხეთაგურის აზრით, დაბეგვრის ახალი რეჟიმი გამართლებული და დროულია, რადგან ეს კიდევ უფრო დააჩქარებს თანხის ამოღების მაჩნებლების გაუმჯობესებას და სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს უფრო მეტად აამუშავებს.

**"დამატებული ღირებულების გადასახადს სადისტრიბუციო ენერგოკომპანია კი არა მომხმარებელი იხდის. როცა მომხმარებელი ელექტროენერგიის საფასურს გადაიხდის, კომპანია აქედან დღგ-ს ბიუჯეტში მიმართავს. ამ შემთხვევაში ბიუჯეტი თავის გადასახადს მიიღებს, კომპანია კი ტარიფში კუთვნილ წილს. სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, რაც უფრო მეტ ელექტროენერგიის საფასურს ამოიღებს, მით მეტ თანხებს მიიღებს. თუ მომხმარებელი ელექტროენერგიის საფასურს არ იხდის, მას კომპანიამ ელექტროენერგიის მიწოდება უნდა შეუწყვიტოს, კომპანიებს, შესაბამისად, აღარც დღგ ექნებათ გადასახდელი,"** - განაცხადა ხეთაგურმა.

ცენტრის ექსპერტთა აზრით, ამ მოსაზრებაში უდაოდ არის ლოგიკა, რადგან წლების განმავლობაში მოუწესრიგებელი აღრიცხვიანობა მნიშვნელოვნად სწორედ ენერგობაზრის მოთამაშეების არაეფექტური მუშაობის ბრალიც გახლავთ. თუმცა, არსებობს ობიექტური პრობლემებიც, რომლებიც სადისტრიბუციო კომპანიებისადმი საგადასახადო რეჟიმის გამკაცრებამ აშკარად გაამწვავა.

### პასუხგაუცემელი კითხვა

სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების აქვთ ერთი პასუხგაუცემელი კითხვა, რომელსაც ისინი ახალი კოდექის შემოღების შემდეგ კიდევ უფრო აქტიურად სვამენ: შეუწყვიტონ თუ არა ელექტროენერგიის მიწოდება სოციალურად დაუცველ ფენებს?

მთავრობაში ხშირად აცხადებენ, რომ სოციალურად დაუცველი ფენების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს ბიუჯეტი ფარავს. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა მძიმე ყოფაში მყოფი მომხმარებელი მისთვის გამოყოფილ ლიმიტზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს.

### მსოფლიო ბანკის პოზიცია

ერთი არც თუ ისე უმნიშვნელო დეტალი. მსოფლიო ბანკი, რომელიც საქართველოს ენერგოსისტემაში რამდენიმემილიონიან პროექტებს ახორციელებს, დაბეგვრის რეჟიმის შეცვლის წინააღმდეგ გამოვიდა. ახალი კოდექსის მიღებამდე, ბანკის რეგიონულმა დირექტორმა დონა დოუსეთ ქოიროლომ საქართველოს მთავრობის სახელზე წერილი გამოაგზავნა და ამგვარ საკითხებში მთავრობას მეტი სიფრთხილის გამოჩენა ურჩია.

**საგადასახადო განაკვეთები ელექტროენერგეტიკულ სექტორში**

| გადასახადის დასახელება | გადამხდელი | გადასახადი განაკვეთი ძველი კოდექსით | გადასახადის განაკვეთი ახალი კოდექსით | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1.საბაჟო გადასახადი | იმპორტიორი | გათავისუფლებულია 2006 წლის 1 იანვრამდე | გათავისუფლებულია 2006 წლის 1 იანვრამდე | |
| 2.საბაჟომოსაკრებელი | იმპორტიორი | 0,2% | 0,2% | |
| 3. დღგ | 1.წარმოება | ნულოვანი განაკვეთი | ნულოვანი განაკვეთი | 2007წ.1 იანვრამდე |
| | 2.გადაცემა | -"- | -"- | -"- |
| | 3.გადაცემა | -"- | -"- | -"- |
| | 4.განაწილება | -"- | -"- | -"- |
| | 5.იმპორტი | გათავისუფლებულია | 18% (2005წ.1 ივლისიდან) | 20% (2005წ.1 ივლისამდე) |
| | 6.ექსპორტიორი | ნულოვანი განაკვეთი | ნულოვანი განაკვეთი | |
| 4.საშემოსავლო გადასახადი | ფიზიკური პირი | 200 ლარამდე-12% 201-350 ლარი-15% 351-600 ლარი-17% 601 ლარის ზევით-20% (ნაზარდი ჯამით) | 12% | |
| 5.მოგების გადასახადი | იურიდიული პირი | 20% | 20% | |
| 6.სოციალური გადასახადი | იურიდული პირი | 31% | 20% | |
| | ფიზიკური პირი | 2% | 0% | |
| 7.ქონების გადასახადი | იურიდიული პირი | 1% | 1% | |
| 8.ეკოლოგიის გადასახადი | | სხვადასხვა მავნე ნივთიერებათა მიხედვით | გაუქმდა | |
| 9.საგზაო ფონდში გადასახადი | მომსახურების სფერო | 0,1% | გაუქმდა | |
| | წარმოების სფერო | 1% | გაუქმდა | |

### საბითუმო ბაზარი

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ოპერაციების მენეჯერი ჯონ სვინსკოუ მიიჩნევს, რომ დაბეგვრის ახალი რეჟიმით ენერგოსექტორმა სერიოზული თანხები დაკარგა. განსაკუთრებით მაშინ, როცა რთული ვითარებაა და სექტორს დეფიციტის პირობებში უწევს ფუნქციონირება.

**"საბითუმო ბაზარს 2005 წლის იანვარ-თებერვალში დღგ-ს სახით სამჯერ უფრო მეტი თანხის გადახდა მოუწევს. მაშინ როცა, ფაქტიურად ამოღებული თანხები არ გაზრდილა, შეიძლება ვთავათ, რომ ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხები გენერაციის ჯიბიდან წავიდა, რადგან ეს სახსრები სწორედ გენერაციის ობიექტებს უნდა მიეღოთ. გამანაწილებელი ენერგოკომპანიები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თუ ადრე დღგ-ს მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობის მიხედვით იხდიდნენ, ახლა დარიცხულის მიხედვით უნდა გადაიხადონ. ამას ემატება ელექტროენერგიის იმპორტის დროს მასზე დარიცხული დღგ-ც, რომელსაც კომპანიები ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე იხდიან. ხშირად ხდება, რომ იმპორტირებული ელექტროენერგია 15 რიცხვამდე დარიცხულიც არ არის, მაგრამ კომპანიას დღგ-ს წინასწარ გადახდა უხდება. ეს სისტემაში საერთო ჯამში თანხების არსებობის უზარმაზარ პრობლემას გამოიწვევს,"** - განაცხადა სვინსკოუმ.

### "თელასი"

ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედების გამო, "თელასს" 2005 წელს დამატებით დაახლოვებით 15 მილიონი ლარის გადახდა მოუწევს. **"სავსებით შესაძლებელი იყო, ეს თანხები ინვესტიციებზე წასულიყო, გაზრდილიყო თანხების ამოღების მაჩვენებელი და შემცირებულიყო კომერციული დანაკარგები. ეს მომავალში აუცილებლად გაზრდიდა ბიუჯეტში გადახდილ გადასახადებს და ქალაქის ელექტრომომარაგებაც საიმედო იქნებოდა,"** - განაცხადა "თელასის" ფინანსურმა დირექტორი ოლეგ უტიომოვმა.

"თელასმა" 2004 წლის იანვარში დღგ-ს სახით ბიუჯეტში 1,750 მილიონი ლარი გადაიხადა, 2005 წლის იანვარში, დაბეგვრის ახალი რეჟიმის პირობებში გადახდილმა გადასახადმა 4,850 მილიონი ლარი შეადგინა. ე.ი. სამჯერ მეტი. თებერვლის მაჩვენებლები "თელასში" ჯერ არ გააჩნიათ.

### "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია"

"თელასზე" გაცილებით მძიმე მდგომარეობაშია "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", სადაც მთავარ პრობლემად ჯერ კიდევ რჩება მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის აღიცხვა. კომპანიის ფინანსური მენეჯერის თორნიკე გოგიჩაიშილის თქმით, ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედების შემდეგ "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" დღგ-ს სახით თვეში სულ ცოტა ერთი მილიონი ლარით მეტის გადახდა მოუწევს, გააჩნია მიღებული ელექტროენერგიის ოდენობას.

**"ძველიდან ახალ საგადასახადო კოდექსზე გადასვლამ კაზუსი წარმოშვა. დარჩენილია დაუდეკლარირებელი ელექტროენერგიის ნაწილი, რომლის ღირებულებაც 38 მილიონ ლარს შეადგენს. ეს გასულ წლებში დარიცხული და ამოღებული ელექტროენერგიის საფასურს შორის სხვაობაა, რომლის დეკლარირებასაც ახალი საგადასახადო კოდექსი გვავალდებულებს. ჩვენი ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტრო ახალ ინსტრუქციაზე მუშაობს, სადაც ამ დაუდეკლარირელებლი დღგ-ს გადახდის მექანიზმი იქნება გაწერილი,"** - განაცხადა გოგიჩაიშვილმა.

### სუბსიდიები ენერგოკომპანიებისთვის

**"დაბეგვრის ახალი რეჟიმის შემოღების გამო სადისტრიბუციო ენერგოკომპანიები ერთი წლის განმავლობაში სუბსიდიებს მიიღებენ. 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ენერგეტიკის სუბსიდიიდან 22,5 მილიონი ლარი სწორედ ამას მოხმარდება,"** - ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების შემდეგ აცხადებდა ენერგეტიკის მინისტრ ნიკა გილაური.

**"კერძო კომპანიებს გამრიცხველიანების და დანაკარგების შემცირების ვალდებულება აქვთ აღებული, ამიტომ სუბსიდიებს მხოლოდ სახელმწიფო კომპანიები მიიღებენ,"** - განაცხადა ალექსანდრე ხეთაგურმა და დასძინა, რომ უახლოეს რამდენიმე კვირაში 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების განხილვის დროს სამინისტრო პარლამენტს სთხოვს, სუბსიდიისთვის საჭირო თანხები ბიუჯეტში გაითვალისწინოს. გილაურის მიერ დაპირებული 22,5 მილიონი ლარი, ალბათ, ენერგოსისტემაში არსებული სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე დაიხარჯება.

სუბსიდიების შესახებ მთავრობის დაპირება კარგად ახსოვს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ნიკო ლეკიშვილს. **"როდესაც კოდექსს განვიხილავდით ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ სახელმწიფოს შესაძლებლობა ჰქონდა კომპანიებისთვის სუბსიდია გამოეყო, ოღონდ კოდექსში შეღავათი არ უნდა ყოფილიყო. კომიტეტი ამჟამად ვითარებას აკვირდება. ცოტას კიდევ დავიცდით, ხოლო შემდეგ შესაბამის ზომებს მივიღებთ. კომპანიები ელექტროენერგიის საფასურს ვერ იღებენ, ამიტომ ჰქონდათ შეღავათები. როცა პირობები იცვლება, საჭიროა სახელმწიფომ ამაზე იზრუნოს."** - განაცხადა ლეკიშვილმა. მისი კომიტეტი კოდექსის განხილვის დროს ენერგოსექტორისთვის ძველი კოდექსით მოქმედი შეღავათაინი რეჟიმის დატოვებას მოითხოვდა, თუმცა განხილვისას ფინანსთა სამინისტრომ კომიტეტის ეს შენიშვნა არ გაითვალისწინა.

ფინანსთა სამინისტრო დაბეგვრის რეჟიმის შეცვლას ელექტროენერგიის გენერაციის, გადაცემისა და განაწილების (დისპეტჩერიზაციის) სექტორისთვისაც აპირებდა, თუმცა ამ მხრივ, ენერგეტიკოსთა მოსაზრება გაითვალისწინა და ამ სექტორებისათვის დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრის რეჟიმი 2007 წლამდე ძალაში დატოვა. ექსპერტები ფიქრობენ, რომ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებისათვის დაბეგვრის რეჟიმის გამკაცრების პირობებში, სხვა სექტორებისათვის შენარჩუნებული შეღავათი ნაკლებეფექტურია. **"აქამდე ფინანსური ტვირთი სექტორებს შორის თანაბრად ნაწილდებოდა, ახლა ერთი იხდის ყველასათვის,"** - მიაჩნია სემეკ-ის ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორს ივერი შალამბერიძეს.

გამოდის, რომ ენერგოსისტემაში თანხების ამოღებაზე პასუხისმგებლობა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს ეკისრებათ, ამიტომ დაბეგვრის ახალმა რეჟიმმა მათ თანხების ამოღების მაჩვენებლების გაზრდის სტიმული უნდა გაუჩინოს. მაგრამ, ენერგოსისტემაში შექმნილი რთული ვითარების პირობებში, როცა დაბალია ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლები, დაბეგვრის რეჟიმის ამ ეტაპზე შეცვლა ენერგოსისტემაზე უარყოფითად აისახება.

# საბითუმო ბაზარს რეორგანიზებას უპირებენ

*პარასკევს მთავრობამ საზოგადოებას, როგორც იქნა, ენერგოსექტორის განვითარების კონკრეტული გეგმა შესთავაზა. დარგის განვითარების ორწლიანი პროგრამა, რომელსაც ენერგეტიკის სამინისტროში უკვე წელიწადზე მეტია, რაც ამუშავებენ, საკმაოდ შთამბეჭდავია. მის დაწვრილებით ანალიზს და სამთავრობო "ენერგოგეგმების" შესახებ ექსპერტთა მოსაზრებებს "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" მომავალ ორშაბათს შემოგთავაზებთ. დღეს კი თქვენს ყურადღებას მხოლოდ იმაზე გავამახვილებთ, რომ სამინისტრო საკმაოდ თამამი ნაბიჯის გადადგმას აპირებს. კერძოდ კი - დარგის მთავარი ფინანსური "ქვაბის" - საბითუმო ბაზრის რეორგანიზებას გეგმავს.*

ენერგოსექტორის განვითარების ორწლიანი პროგრამა, რომელიც ამ სფეროს რეგულირებისთვის ახალი კანონმდებლობის შექმნას ითვალისწინებს, საბითუმო ბაზრის რეორგანიზაციასაც გულისხმობს. ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა განაცხადა.

ხეთაგურის განმარტებით, საბითუმო ბაზრის ფუნქცია ენერგეტიკული ბაზრის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა უნდა იქცეს. კერძოდ, რეორგანიზების შემდეგ, საბითუმო ბაზრის ფუნქცია ელექტროენერგიის მოთხოვნა-მიწოდების ხელშეკრულებით დარეგულირებული ბალანსირება უნდა გახდეს.

შეგახსენებთ, რომ საბითუმო ბაზრის მოდელის თაობაზე ექსპერტებს რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება აქვთ. კერძოდ, ნაწილი მიიჩნევს, რომ საბითუმო ბაზრის მიერ აპრობირებულმა ე.წ. "პირდაპირი ხელშეკრულებების" პრაქტიკამ არ გაამართლა, მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ პირიქით: ეს ყველაზე მისაღები პრაქტიკა იქნება, თუ ეს ხელშეკრულებები სავალდებულო წესით გაფორმდება.

განმარტებისთვის: პირდაპირი ხელშეკრულების სავალდებულო წესით გაფორმების შემთხვევაში, ენერგოგენერაციის ყოველ ობიექტს თავისი გამომუშავებული დენის გარანტირებული დისტრიბუტორი ჰყავს, რომელთანაც ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, ხოლო დენის გატარების, დისპეტჩერიზაციისა და რეგულირების საფასურს, გაყიდული დენის რაოდენობიდან, საბითუმო ბაზარს ურიცხავენ, საიდანაც გატარების ფული "ელექტროსისტემის", ხოლო რეგულირების მარჟა - სემეკ-ის ანგარიშზე შედის.

პირდაპირი ხელშეკრულებების აკრძალვის შემთხვევაში კი ხელშეკრულებები გაფორმდება პირდაპირ საბითუმო ბაზართან, რომელიც თავად დააბალანსებს მოთხოვნა-მიწოდებას.

დღეს ენერგეტიკის სამინისტროში მიიჩნევენ, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ გენერაციის ობიექტებსა და გამანაწილებელ კომპანიებს შორის პირდაპირი ხელშეკრულებები გაფორმდება, რომელსაც პერიოდულად გააკონტროლებს საბითუმო ბაზარი. "სავარაუდოდ, დაწესდება ელექტროენერგიის ტარიფის ზედა ზღვარი და, ამის გარდა, ყველა სხვა შეზღუდვა მოიხსნება," - აცხადებს ხეთაგური.

მისივე განმარტებით, "ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა განპირობებულია საქართველოში ელექტროენერგიის საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებლებით. მისი განმარტებით, მოქმედი კანონი, რომელიც უცხოელმა ექსპერტებმა მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით 1999 წელს ჩამოაყალიბეს, გათვლილი იყო 100 პროცენტიან ამოღებაზე, რამაც არ გაამართლა.

"ენერგეტიკის შესახებ" მოქმედი კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე და "ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" კანონში ცვლილებების კანონპროექტები პარლამენტმა მიმდინარე სასესიო კვირას პირველი მოსმენით მიიღო.

# გახდება თუ არა საქართველო რუსეთის ენერგეტიკული სატელიტი

*საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის მომავალი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თბორესურსების ფასზე, რადგან საქართველოში ენერგოდეფიციტის აღმოფხვრის ერთ-ერთი ყველაზე რეალური გზა - ენერგოგენერაციის შიდა წყაროების თბოენერგიის ხარჯზე გაზრდაა. ამ ვითარებაში, როგორც "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ექსპერტები მიიჩნევენ, საქართველოსთვის ენერგომატარებლების იაფი წყაროების გამოძებნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მოსაზრებას იზიარებს ხელისუფლებაც, თუმცა რეალურად, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციის ის გზები, რომელთა შესახებაც ხელისუფლება ბოლო დროს საუბრობდა, ექსპერტთა სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა. ამ ეტაპზე, "გაზპრომთან" მაგისტრალური გაზსადენების გადაცემის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებები ხელისუფლებამ შეაჩერა, მხოლოდ - დროებით. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს მოლაპარაკებები მაისში უნდა განახლდეს. სავარაუდოდ, ამ დროისთვის უკვე ის კონკრეტული სამოქმედო გეგმა დაიდება, რომლის შესაბამისადაც ხელისუფლება რუსულ ენერგოგიგანტთან ურთიერთობის სამომავლო ფორმას შეარჩევს. "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" დღეს კიდევ ერთხელ უთმობს ადგილს ამ საჭირბოროტო თემას.*

საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობა, ამ ეტაპზე, მეტად მერყევია. ამის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ ქვეყანას ენერგოდეფიციტის პირობებში ენერგომატარებლების შემოტანა მეზობელი ქვეყნებიდან, უმეტესწილად კი - რუსეთიდან უწევს (სხვათა შორის, დენის სომხეთიდან შემოტანაც რუსული ენერგოგიგანტი კომპანიის "რაო ეეს როსიის" მიერ კონტროლდება).

იმპორტის აუცილებლობას ქვეყანაში ამ ეტაპზე ელექტროენერგიის გენერირების შეზღუდული შესაძლებლობები იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას დადგმული სიმძლავრეების საკმარისი მარაგი გააჩნია, მუშა მდგომარეობაში მყოფი ელექტროსადგურების საერთო გამომუშავება დღეს ქვეყნის შიდა მოხმარებაზე დაბალია.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავების გაზრდის ერთ-ერთი რეალური შესაძლებლობა - თბოენერგიის წარმოება - გარკვეულ პრობლემებთან, კერძოდ კი - ამ ენერგიის წარმოებისთვის აუცილებელი სათბობის მოწოდებასა და ამ სათბობის სიძვირესთანაა დაკავშირებული.

სწორედ ამიტომ, ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სექტორის მომავალი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გაზის სექტორში მიმდინარე პროცესებთან. კერძოდ კი, ხელისუფლების არჩევანთან - ვისგან, რა პირობებითა და რის ფასად შეისყიდოს გაზი.

საზოგადოებისთვის უკვე კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოს ენერგეტიკული კომპლექსით რუსეთი, კერძოდ კი - ელექტროგიგანტი "რაო ეეს როსიი" და გაზის გიგანტი "გაზპრომი" არიან დაინტერესებული.

რუსული მედია "გაზპრომის" "პოლიტიკურ მისიაზე" საქართველოში უკვე ღიად ალაპარაკდა. რუსულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ "გაზპრომი" საქართველოში საკუთარ პოზიციებს აძლიერებს. რუსული მედიის ცნობით, გაზის მონოპოლისტის "გაზპრომის" წარმომადგენლები საქართველოს გაზის ობიექტების პრივატიზებასთან დაკავშირებით ქართულ მხარესთან მოლაპარაკებებს ინტენსიურად აწარმოებენ.

რუსული მედია ყურადღებას იმაზეც ამახვილებს, რომ რუსეთის კომპანია ეკონომიკური დივიდენდების მიღებას არცთუ ისე მალე უნდა ელოდოს, რადგან, ჯერჯერობით, იგი, როგორც ჩანს, "ხელისუფლების პოლიტიკურ დავალებებს ასრულებს."

"გაზპრომის" ხელმძღვანელობა, როგორც მინიმუმ, საქართველოს გაზის ათი ობიექტით დაინტერესდა. მათ შორის "თბილისრესით", "თბილგაზით", ასევე რესპუბლიკის მაგისტრალური გაზსადენებით. რუსეთის დელეგაცია ამ საწარმოთა გაყიდვის პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობის თაობაზე ეკონომიკური რეფორმების დარგში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან კახა ბენდუქიძესთან და ეკონომიკური ბლოკის სხვა მინისტრებთან ერთად დახურულ კარს მიღმა ბჭობდა.

ოფიციალური ინფორმაციის გარდა, გაზის კომპანია, ჯერჯერობით, მოლაპარაკების დეტალებსა და სხვა ყველა დამატებით ინფორმაციას ასაიდუმლოებს. რუსული მედიის ვარაუდით, შესაძლოა, ეს დაკავშირებული იყოს იმ გარემოებასთან, რომ "გაზპრომი" არა მხოლოდ ეკონომიკური გარიგებისთვის ემზადება, არამედ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ფორმირებაში "პოლიტიკური აგენტის" როლს კისრულობს...

რუსეთში მიიჩნევენ, რომ "რუსეთის მთავრობა, როგორც კომპანიის მთავარი აქციონერი, ცდილობს, საკუთარი გავლენა გააძლიეროს დსთ-ს ქვეყნებში, უპირველესად, უკრაინასა და საქართველოში." ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებს საინვესიტიციო სამმართველოს "ნავთობგაზის აქტივების" ხელმძღვანელი ვლადიმერ ისლენტევი. ანუ, არსებობს ვარაუდი, რომ "ვარდების რესპუბლიკაში" შესაძლოა ისეთი ვითარების შექმნა, როგორც ეს ახლა ბელორუსშია, რომლისთვისაც დაწესებულია გაზზე სპეციალური ფასები, რაც პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტას ემსახურება. მათ შორის, არაფორმალურ დონეზე.

რასაკვირველია, გაზის კრიზისის პირობებში, ეს თემა ერთობ ხელსაყრელია ხელისუფლებისთვის, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯერჯერობით, შაჰდენიზის მილსადენის ამოქმედებამდე, საქართველოს, "გაზპრომის" გარდა, სხვა სერიოზული ალტერნატივა არ აქვს. გაზზე თავისი მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებას საქართველო ამ მილსადენის ამოქმედების შემდეგაც ვერ მოახერხებს, რადგან პროექტში კვოტით განსაზღვრული გაზის ოდენობა ქვეყნის გაზმომარაგებისთვის საკმარისი ვერ იქნება.

გაზის პირდაპირი კონტრაქტით მოწოდება თურქმენეთიდანაც გამორიცხულია. ამ ცოტა ხნის წინ "გაზპრომმა" თურქმენეთის ხელმძღვანელობასთან მსხვილი კონტრაქტი დადო, რითაც მან ამ რეგიონიდან გაზის ექსპორტზე სრული კონტროლი დააწესა.

მიუხედავად იმისა, რომ "გაზპრომის" პოლიტიკას თავად რუსეთშივე, რუსი ანალიტიკოსები საკმაოდ მკვეთრ წინააღმდეგობას უწევენ, "გაზპრომის" კავკასიურ პროექტებს აშკარა აპოლოგეტებიც ჰყავს.

თუ საინვესტიციო კომპანია "ფინამის" ანალიტიკოსის მარია რადინას აზრით, "კომპანიისთვის უკეთესი იქნებოდა, საკუთარი საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტებისათვის გადაეხედა," სხვები ასე არ ფიქრობენ.

რადინა აცხადებს, რომ კარგი იქნებოდა, "გაზპრომს" მეტი ყურადღება არა ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის, არამედ დაზვერვისა და მოპოვებისათვის დაეთმო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ნახშირწყალბადის მოპოვებაში სტაგნაციამ და ცენტრალური აზიის მეზობელი ქვეყნებისაგან გაზის შესყიდვამ, შესაძლოა, გამოიწვიოს სერიოზული უარყოფითი შედეგები "გაზპრომისა" და, მთლიანად, რუსული ეკონომიკისათვის.

ამავე დროს, ექსპერტთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ "გაზპრომის" 15 მილიარდი დოლარის დავალიანების პირობებშიც (რომელიც სერიოზულ საფრთხეს შეიცავს მსოფლიო ბაზარზე სათბობის ფასის მკვეთრი ცვლილებებისას), არსებობს სესხის არცთუ ურიგო სამ მილიარდდოლარიანი ლიმიტი, რომელიც ძირითად საქმიანობას არ ავნებს. რუსი ექსპერტის დიმიტრი მანგილევის თქმით, ქართული გაზის აქტივების შესაძენად, საკმარისი იქნება, მაქსიმუმ, 100 მილიონი დოლარი, ან შესაძლოა, ნაკლებიც...

ამასთან, რუსი ექსპერტი არც პოლიტიკას ივიწყებს: "თუკი "გაზპრომი" საქართველოს გაზის აქტივებს შეიძენს, ეს სახელმწიფო რუსეთთან ზურგით დადგომას ვერ შეძლებს," - აცხადებს ის.

"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ექსპერტთა ვარაუდით, რუსული ენერგოგიგანტების დაინტერესებას საფუძვლად ეკონომიკური მოტივაცია არ უდევს და საქართველოსთან მიმართებაში რუსეთისთვის მთავარი უფრო გეოსტრატეგიული ინტერესებია: საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ენერგომატარებლების რეზერვუარის - კასპიის აუზის კარიბჭეა, ეს რეგიონი კი უაღრესად მდიდარია არა ერთი სახეობის, მსოფლიოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულით. შესაბამისად, საქართველოს გეოსტრატეგიული ორიენტაცია განსაზღვრავს: დარჩება კასპიის აუზის უმდიდრესი რეგიონი რუსეთის ექსკლუზიური გავლენის სფეროში, თუ მას თავისუფალი არჩევანის საშუალება ექნება.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ რუსეთი სწორედ ენერგეტიკული ვალების ხარჯზე ცდილობს მიიღოს ამ ქვეყნების სტრატეგიული ობიექტები, მათ შორის კი - ელექტროენერგეტიკული სექტორები და გაზგამანაწილებელი ქსელები, აგრეთვე, მაგისტრალური გაზსადენებიც.

ანუ, რუსეთი თავის გეოსტრატეგიულ მისწრაფებებს არ მალავს.

ამ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხელისუფლების პოზიცია - რა პირობებით, როგორ და რა ფასად დააკმაყოფილებენ დიდძალი კაპიტალისა და საქართველოს გაზსადენების რეაბილიტაციის მსურველი გავლენიანი კომპანიების ინტერესებს საქართველოში.

აქედან გამომდინარე, ის, რომ ხელისუფლება გაზის საწარმოებთან დაკავშირებული გეგმების თაობაზე ინფორმაციას არ ახმოვანებს, განსაკუთრებით შემაშფოთებელია. მით უმეტეს, რომ გაზის საწარმოების მომავალზე საუბარი საქართველოს სამთავრობო წრეებში ინტენსიურად მიმდინარეობს.

ბუნებრივია, ამ საკითხის გადაწყვეტაზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული საქართველოს ელექტროენერგეტიკული კომპლექსის, როგორც გაზის სექტორის ერთ-ერთი უმთავრესი მომხმარებლის, მომავალიც.

Guess Who?



B2

უტოპია ჭეშმარიტი და ყალბი



B2

ხელები შორს სალიერისგან!



B8

# მომავალ ორშაბათამდე!

ნოდარ ლადარია

დღეს ერთი გრძელი ციტირებით მსურს დავიწყო: ნესტან კვინიკაძის 21 თებერვლის სვეტი ამას ნამდვილად იმსახურებს. აქ ვკითხულობთ: "**დღეს "ფარენჰაიტი 9/11"-დან, პოპკორნით ხელში კინოთეატრიდან გამოსულ ბავშვებს, რომლებიც საინფორმაციო საშუალებებით ეთნოკონფლიქტებისა თუ სამურაების შესახებ ყველაფერი იციან ... ესმით, რომ სექსი სირცხვილი კი არა,** **თურმე ჯანმრთელობა ყოფილა ... ამ თაობას მაინც ნუ ვაიძულებთ, რომ "ოთარაანთ ქვრივში" ხიდჩატეხილობის პრობლემის შესახებ წეროს თემა, რადგან თანამედროვე მოსწავლე ფეხზე წამოდგება და აუცილებლად იტყვის: მათ შორის ხიდი რანაირად ჩატყდებოდა, როცა არც არასოდეს ყოფილაო**".



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



იმათ საყურადღებოდ, ვინც შობადობის რეგულირებასა და გენოციდს შორის განსხვავებას ვერ ხედავს: ის, რითაც თქვენ ხალხის დაშინება გსურთ, დიდი ხანია მომხდარია. მომავალმა უკვე შეაბიჯა ჩვენს ქვეყანაში და მას წინ ვეღარაფერი დაუდგება. აი, ხიდჩატეხილობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები კი დარჩა, ოღონდ სულ სხვა სიბრტყეში. რა თქმა უნდა, ხელისუფლებასა და მედიას შორის "ხიდჩატეხილობას" ვგულისხმობ, რომელიც გასული კვირის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული თემა იყო. გახსოვთ, ჟურნალისტები რომ სახელმწიფო კანცელარიის მესამე სართულზე გამოკეტეს?..

ერთი წუთით გავიხსენოთ რამდენიმე დღის წინ დაკარგული მედია-სამოთხე.

ტელეეკრანზე ახალგაზრდა მიკროფონიანი გოგონებით გარშემორტყმული კაცი ელვის სისწრაფით მიიწევს დერეფნის გასწვრივ ლიფტისკენ. ამ კადრის "საუნდ-ტრეკიც" არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით: "ბატონო კახა!.. ბატონო კახა!". ვარიანტი: "ბატონო ვანო!.. ბატონო ვანო!". შესაძლებელია "ბატონო ზურაბ!" და "ბატონო ირაკლი!". გოგონები საკმაოდ მომზადებულნი ჩანან იმისთვის, რომ საკმაო სისწრაფით აირჩიონ შესაფერისი ვარიანტი. მედია-თავდასხმის ობიექტი აღწევს ლიფტს, ავტომატური კარი იხურება და სიუჟეტიც დასრულებულია. შეიძლება თუ არა ამას ეწოდოს ინფორმაცია?

ზედაპირული განხილვა გვიჩვენებს, რომ არა. ამ დონეზე შეჩერდა, მაგალითად, **ქეთევან იგნატოვა**, რომელმაც 26 თებერვლის ნომერში გვაუწყა, რომ ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას ეთანხმება. კაცმა რომ თქვას, ამგვარი არჩევანის გარკვეული საფუძველი არსებობს.

მაგრამ სანამ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ დაყენებულ საკითხს, თვით ხელისუფლებას მოვუსმინოთ — როგორ განმარტავს საკუთარ გადაწყვეტილებას? ფარმაცევტულ ცენტრში ვიზიტის დროს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** განაცხადა, რომ ასეა ყველა "ცივილიზებულ ქვეყანაში", ასეა, მაგალითად, საფრანგეთსა და გერმანიაში...

**კომენტარი N1**: თავისთავად, ასეთი ახსნა შემოწმებას საჭიროებს. შესაძლოა, ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთობა მართლაც უფრო რეგლამენტირებულია, ვიდრე ცოტა ხნის წინათ საქართველოში, მაგრამ გაუთვალისწინებელია აქცენტები, დეტალები და საერთო კონტექსტი. ამან კი ვითარება შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს.

**კომენტარი N2**: რატომ ხდება, რომ ცივილიზებულ ქვეყნებს მაინცდამაინც მაშინ გვჩრიან ცხვირში, როცა საქმე რაღაცის შეზღუდვას ეხება? იქნებ დროა რაღაც პარიტეტული პირობები შემოვიღოთ ხელისუფლებასთან ჩვენს ურთიერთობაში. მაგალითად, ჟურნალიტთა რეგლამენტირების გერმანული თუ ფრანგული მოდელი მინიმალური ხელფასის გერმანული თუ ფრანგული ოდენობის სანაცვლოდ. ცუდი არ იქნება...

**კომენტარი N3**: უკვე ნამდვილად ამოვიდა ყელში ეს გაუთავებელი პლებეური მითითებები: "ასეა საფრანგეთში, ასეა გერმანიაში!" იქნებ დროა რაღაც უფრო რაციონალური მოვისმინოთ, ან თუ ჯერ ამის ძალა არ შეგვწევს — რაღაც უფრო დალაგებული მაინც?!

განა ამისთვის ეკვეთა ცხრა აპრილის სისხლიან ღამეს ჯოხით შეიარაღებული **ემზარ ჯგერენაია** რუსულ ბე-ემ-პეს, ან იქნებ ამისთვის ათევდა ღამეებს ვარდების რევოლუციის დროს ქარსა და წვიმაში **დათო ტურაშვილი**? ამ უკანასკნელს მივცეთ სიტყვა: "**ახალი ხელისუფლებით უკმაყოფილო ადამიანების რიცხვი საქართველოში იზრდება და ეს მოსალოდნელიც იყო. პირადად მე, არცთუ იშვიათად, სწორედ იმ ადამიანებთან მიწევს ურთიერთობა, ვინც რევოლუციას გულწრფელად, უანგაროდ დაუჭირა მხარი და ვისაც ყველაზე მეტად სურს, რომ ახალი ხელისუფლება წარმატებული იყოს, მაგრამ სწორედ მათ შორის ყველაზე მეტად იგრძნობა იმედგაცრუება**". ამას გვეუბნება დათო ტურაშვილი 22 თებერვლის ნომერში და მეც შემიძლია დავეთანხმო: ერთი წინადადება უკვე დიდი რამაა, უკვე ნაპერწკალია. მაგრამ განა ერთი წინადადებით შემოიფარგლა ამ უანგარო ადამიანების ერთსულოვნება?! — მარტო 22 თებერვალს ამასვე იმეორებენ სხვადასხვა ხმაზე **თამარ ხორბალაძე, ეკა კვესიტაძე, ნატო ამონაშვილი-თევზაძე**. მაგრამ მივყვეთ ჩვენი პირველადი მსჯელობის ძაფს და დავუბრუნდეთ დაკარგული მედია-სამოთხის ძიებას.

მაყურებელი ეკრანზე ხედავს მოყიყინე გოგონების კორტეჟში ჩაჭედილ მდუმარე მინისტრს. ინფორმაცია ნულოვანია. მაყურებელი ეკრანზე ხედავს რაღაცის სხარტად მორაკრაკე **ალანა გაგლოევას** (თუ აზრზე მოვა და აღარ ჩაბჟირდება კამერის დანახვაზე). ინფორმაცია ნულოვანია. და მაინც, არის განსხვავება: პირველ შემთხვევაში მაყურებელი ხედავს აუდიო-ვიზუალურ ხატს — ხელისუფალი თავს არიდებს სათქმელს, ან არაადეკვატურ პასუხს იძლევა. დასკვნა ადვილია და, თუ ჩვენი მინისტრების ზოგად დონეს გავითვალისწინებთ, საკმაოდ დაახლოებული სიმართლეს. მეორე შემთხვევაში მაყურებელს გაცილებით უფრო მეტი შრომა ადგება: მან სრულიად აბსტრაქტული ტექსტი უნდა გააანალიზოს, სიტყვებს შორის დიდი დაძაბვის შედეგად უნდა წაიკითხოს იგივე მარტივი აზრი: ვის დაჰკარგვიხარ?

მაგრამ აქ თითქოს ჟურნალისტებს ეხსნებათ ახალი ასპარეზი, ეძლევათ თავიანთი პროფესიული ღირსების გამოჩენის საბაბი.

აი, თამარ ხორბალაძემ იგრძნო ეს შესაძლებლობა და სტატიაში აკადემიური სათაურით — *ერთი გადაწყვეტილების გამო* (22 თებერვალი) — ნამდვილი აკადემიური რიტორიკის ნიმუშები გვიჩვენა (ამ ხერხს ანაფორა ჰქვია, როცა ტექსტის ზედიზედ რამდენიმე პერიოდი ერთნაირად იწყება). ჩვენ ამ ანაფორულ კლაუზულას სიმოკლისთვის გარეთ გამოვიტანთ და შინაარსს ასე გადმოვცემთ. თავის ოდნავ მაინც პატივისმცემელმა მედიამ:

"**... უნდა ცადოს ღირებული თემების პოვნა კანცელარიის პირველ სართულზე ... მიმსვლელ-მომსვლელისთვის ჩასაფრების გარეშე**".

"**... უნდა დაძლიოს ჩინოვნიკთა "ამალაში" ყოფნისა და ხელისუფლების მიერ დაგეგმილი პიარ-აქციების უნებური მონაწილის უკვე საფუძვლიანად მორგებული როლი**".

კეთილი და პატიოსანი. მაგრამ მედიის მიერ საკუთარი თავის პატივისცემაზე ერთი ამბავი გამახსენდა: რამდენიმე წლის წინ, როცა **ეკა ბერიძე** ჯერ კიდევ "რუსთავი 2"-ში მსახურობდა, რაღაც ტექნიკური გაუმართაობის გამო დანიშნულების ადგილზე ტაქსით მოუწია მისვლა. მანქანა საკმაო მანძილზე გააჩერებინა, რადგან არავის დაენახა, როგორ ჩამოდიოდა შეფერთხილი საბჭოთა "ჟიგულიდან". არა მგონია, საშუალო ტელეჟურნალისტის ღირებულებათა სისტემა ამისგან ბევრად განსხვავებული იყოს. მაგრამ სხვა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მიზეზებიც მოიპოვება...

არსებობს თუ არა საქართველოში საინფორმაციო ბაზარი? — შეიძლება სწორად ვერ შევარჩიე ტერმინი, მაგრამ ახლავე ავხსნი, რისი თქმა მსურს. ოდესღაც რუსეთში ერთ მაღალ სახელმწიფო მოხელეს (თუ არ ვცდები, გენერალურ პროკურორს) მედია-აღსასრული მოუწყვეს: საინფორმაციო გამოშვებაში იგი ორ შიშველ მეძავთან ერთად აჩვენეს. საქართველოში ასეთი რამ შეუძლებელია. ძნელად წარმოვიდგენ, რისთვის შეიძლება ჩაატაროს ჟურნალისტმა გამოძიება — ალბათ მხოლოდ იმისთვის, რომ ოდესღაც ვინმე უშიშროების კომიტეტის უფროსად დანიშნავს. მაგრამ ამაზე იშვიათად თუ ფიქრობს ვინმე...

არა, მაინც აკლია დამაჯერებლობა ამ ბოლო აბზაცს. ისევ ჯობია, იმას მოვუსმინოთ, ვინც საქმეში უფრო ღრმადაა ჩახედული. 25 თებერვალი, **ნინია კაკაბაძის** სვეტი: თურმე ხელისუფლება მედიაზე ზეწოლისთვის ორ ხერხს მიმართავს — ერთი ძველია ("**ზარი სტუდიაში წინასწარ, რეპორტაჟის გასვლამდე და ... კიდევ უფრო მარტივი, როგორც ამბობენ, რამდენიმე წამყვანს და საინფორმაციოს შეფს აკრძალული რესპონდენტების გამზადებულ სიას უგზავნიან**"), მეორე კი ახალი ("**ჩინოვნიკთა მეგობრული ურთიერთობა ჟურნალისტებთან და შემდეგ მეგობრული რჩევის თუ თხოვნის სახით დელიკატური შენიშვნები თუ მითითებები, კეთილგანწყობილი თანამოაზრის სტატუსით, მომავალ სიუჟეტთან თუ რეპორტაჟთან დაკავშირებით**").

და კიდევ: "**თვეში ერთხელ მედია პირდაპირ ეთერში მოიწვევს შალვა ნათელაშვილს და კრიტიკულობის ილუზიაც შექმნილია. ხელისუფლება კი ერთ მშვენიერ დღეს, რიგით ასმეჩვიდმეტე ბრიფინგზე სახალხოდ უპასუხებს ოპოზიციის წარმომადგენელს და ამით დააფიქსირებს, რომ კრიტიკა ჩვენს ქვეყანაში არსებობს**". ნამდვილად სწორადაა დახასიათებული ნათელაშვილის ფუნქცია არჩევნებს შორის პერიოდში. მაგრამ თუ ასეა, რა იქნება არჩევნების დროს?

მაგრამ მაინც ზედმეტად ოპტიმისტია ნინია კაკაბაძე: ფიქრობს, რომ ქართველი ჟურნალისტების გაბრაზება ჯერ კიდევ შეიძლება. ნაწილობრივ ვეთანხმები: ჟურნალისტის გაბრაზება შეიძლება, ჟურნალისტებისა — არა. პროფესიულ ერთიანობას ჯერ კიდევ სუსტად გრძნობენ ჩვენში. ყოველ შემთხვევაში, კარიერას მისთვის არავინ დააყენებს რისკის ქვეშ. აი, რისკენ მოუწოდებს ჟურნალისტებს ჩვენი მშვენიერი მესვეტე: "**ერთ-ერთ მორიგ ბრიფინგს ბოიკოტი გამოუცხადეთ და მათი PR-ყბედობა გაუშუქებლად დატოვეთ. ხელისუფლებას მედიის მაშინ შეეშინდება, როცა ჩვენს ერთიანობას დაინახავს**". ჰმ, წარმოსადგენია თუ არა დღევანდელ საქართველოში ჟურნალისტების გაფიცვა?

არა, გაფიცვა რომ საერთოდ წარმოუდგენელია, ეს გასაგებია: გაფიცვისთვის, სულ მცირე, დასაქმებულთა რიცხვი ოდნავ მაინც უნდა სჭარბობდეს უმუშევართა რაოდენობას. მაგრამ თუნდაც ჟურნალისტების გაფიცვა, განა წარმოსადგენია? — ამაზე ჩვენი მესვეტის ერთი თითქოს შეუმჩნეველი წინადადება პასუხობს: თურმე ხელისუფლება და მედია "**არა მხოლოდ იდეოლოგიურად გადაეჯაჭვნენ ერთმანეთს**". რას ნიშნავს "არა მხოლოდ იდეოლოგიურად"? — ახლა კი დავფიქრდეთ: ვინმე ოდესმე გამოაქვეყნებს და საჯაროდ განიხილავს, თუ რა კონკრეტული ინტერესები აქვთ კონკრეტულ ხელისუფალთ მედიის კონკრეტულ საშუალებებში? სამგზის გამეორებული ზედსართავი "კონკრეტული" აქ, რა თქმა უნდა, ერთსა და იმავე არსებით სახელს — "ფულს" გულისხმობს.

თუმცა ფულს ვინ ჩივის: "**ნდობის დევალვაცია და ცნებების ინფლაცია არის ის, რაც დღეს ფასების ინფლაციის ფონზეც კი უფრო საგრძნობია**" — ამბობს ეკა კვესიტაძე 22 თებერვლის ნომერში. მართალია, ტერმინოლოგიური სიმკაცრე რომ გამოვიჩინოთ, ინფლაციას ფასები კი არა, ფული განიცდის, მაგრამ ფრაზის ჭეშმარიტებას ეს ოდნავი ეკონომიკური უზუსტობა ვერ დაჩრდილავს: ჩვენი გმირული პოლიტიკა საოცარი სისწრაფით ფლანგავს ხალხის ნდობას...

ნდობა კი მალფუჭებადი საქონელია. გაფრთხილება სჭირდება. ჩვენში კი ამის მაგიერ არ იშლიან საჭირბოროტო თემების ტაბუირებას. სრულიად სპობენ გაჯანსაღების ბუნებრივ პოტენციალს. საყოველთაო ანტიდასავლურობას ვინ ჩივის, ისიც კი არ ვიცით, რა ხდება მართლმადიდებელ საბერძნეთში, სადაც პარლამენტმა და მედიამ ერთხმად აღიმაღლეს ხმა სასამართლო სისტემისა და საეკლესიო იერარქიის ერთობლივი გახრწნის წინააღმდეგ. შედეგად, აპატიმრებენ ქურდბაცაცა არქიმანდრიტებს, ქონებას ართმევენ მილიონიანი საბანკო ანგარიშების, იახტებისა და ოფშორული კომპანიების მფლობელ მიტროპოლიტებს, ამხელენ ნარკოტიკებით მოვაჭრე და გარყვნილებაში ჩაფლულ მღვდლებს. აღმოჩნდა, რომ საბერძნეთიდან ჩასული საეკლესიო ჩინოვნიკები იერუსალიმის საპატრიარქოსაც ძარცვავენ, რათა ბერძნულმა უმცირესობამ არაბი უმრავლესობის ხარჯზე იცხოვროს განცხრომით.

ელადის ეკლესიის სინოდში, რომლეშიც 102 წევრია, უკვე დაადასტურეს, რომ საჭიროა ძირეული რეფორმები, ეკლესიის მწყემსთმთავარმა, მთავარეპისკოპოსმა **ქრისტოდულოსმა** კი შენდობა სთხოვა ბერძენ ერს ამ ერთობ მძიმე კრიზისის გამო. საბერძნეთის პარლამენტში კი იმას ფიქრობენ, რომ ეკლესია უნდა გამოეყოს სახელმწიფოს და ქვეყანამ სრულყოს სასამართლო სისტემა, ცოდვის მტვრისაგან განწმინდოს სამღვდელოება და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას ცივილიზაციისკენ.

საბერძნეთის კანონმდებლები ქმნიან უზენაესი სასამართლოს, სახელმწიფო საბჭოსა და უმაღლესი სააუდიტო საბჭოს წევრებისაგან შემდგარ კომისიას ეკლესიის წიაღში არსებული დამნაშავეობის ფართომასშტაბიანი გამოძიებისათვის, ჩვენ კი იმით უნდა ვამაყობდეთ, რომ ხინკლით კარგად გამოკვებილი ჩვენი რეზერვისტი პარლამენტარები "თემურელობანას" თამაშობენ ქუთაისში და სიხარულით ცას ვეწიოთ, თუ ვინმე მოახერხებს გონზე მოგებას და **გოჩა ფიფიას** დაუსტვენს. საბერძნეთში მთელი პრესა წინ აღუდგა უსამართლობას და რამდენიმე დღეში ლამის ექვსი პროცენტით აიმაღლა ნდობის კრედიტი. ათენის ყოველდღიურ გაზეთში იბეჭდება ფოტო, სადაც გამოსახულია, 91 წლის სასულიერო პირი, რომელიც ახალგაზრდა ქალთან შიშველი ნებივრობს ლოგინში, ჩვენთან კი იმის "გაშუქებას" გადაჰყვნენ, როგორ ცდილობს იმერეთის ყოფილი გუბერნატორი ბოთლში ფანქრის ჩაყოფას. ბარაქალა ქართულ მედიას!

"24 საათმაც" გასულ კვირას საბერძნეთის მოვლენათა ანალიზის მაგიერ **იოანე პავლე მეორისადმი** მიძღვნილი **რალფ დარენდორფის** ულიმღამო წერილი გამოაქვეყნა. ასეთი ცხოვრების მქონე კაცი, როგორიც ახლანდელი პაპია, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ნიჭიერ ბიოგრაფს იმსახურებს. მოცულობას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ჭეშმარიტებამ ერთ წინადადებაშიც შეიძლება ხალვათად იგრძნოს თავი, ან ათასგვერდიან ფართობზე დაიხრჩოს.

ჭეშმარიტების დახრჩობაზე გამახსენდა... ვინც არ დაიზარა და **თეიმურაზ ჭანტურიშვილის** სტატია წაიკითხა, რომელიც გაზეთმა 26 თებერვალს გამოაქვეყნა, უნდა იცოდეს, რომ ტექსტმა მნიშვნელოვანი სარედაქციო ცვლილებები განიცადა, მაგალითად, სადაც ეწერა "პედერასტი ლადარია", უბრალოდ "ლადარია" წერია, ხოლო იქ, სადაც ავტორი "ეშმაკის ექსკრემენტს" მიწოდებს, ეს "ეშმაკის კერძად" შეუცვალეს. გარდა ამისა, ეთიკური და მორალური მოსაზრებებით ამოღებულია რამდენიმე ადგილი. მაინც ვფიქრობ, ტექსტი ისეთი სახით უნდა გასულიყო, როგორც რედაქციას თვით ავტორმა მიაწოდა. არა მარტო ამ უკანასკნელის უფლებების დასაცავად, არამედ იმიტომაც, რომ უხამსობის შელამაზება უხამსობასთან თანამშრომლობას ნიშნავს.

ახლა კი პასუხი იმ შეკითხვებზე, რომელსაც ბ-ნი ჭანტურიშვილი მისვამს თავის სტატიაში.

**1. ვის დავეხმარე როგორც ომბუდსმენი (ერთი მაგალითი მაინც)?**

სულ ახლახან დავიცავი თვით ბ-ნი ჭანტურიშვილის უფლებები.

**2. ჩემი გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები (ერთი მაინც)?**

სია ინახება თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის კადრების განყოფილებაში. ინფორმაცია საჯაროა და ყოველ მსურველს შეუძლია გაეცნოს. რედაქციისაგან განსხვავებით მე საგაზეთო ფართობს ვუფრთხილდები, ხოლო ბ-ნი რცხილაძისაგან განსხვავებით, უცხოენოვან სათაურებს არ ვახვევ თავზე მკითხველს.

დანარჩენი ორი შეკითხვა გაზეთის მიერ იქნა ცენზურირებული, მაგრამ მაინც გავცემ პასუხს.

**3. როგორია ჩემი სექსუალური ორიენტაცია?**

მონოგამური ჰეტეროსექსუალი.

**4. რომელ აღმსარებლობას ვეკუთვნი?**

ევქარისტიულ კავშირში ვიმყოფები იმ ბერძენ მართლმადიდებელ ჟურნალისტებთან და დეპუტატებთან, რომლებიც ასე თავგამოდებით იბრძვიან საკუთარი ეკლესიის სიწმინდისათვის.

**პატივისცემით, ნოდარ ლადარია.**

ნესტან კვინიკაძის სვეტი

## Guess Who?



ავსტრიის დედაქალაქის არქივში ქართველ მეფეთა რამდენიმე წერილია დაცული. მათ შორის, ერეკლე მეორის მიმართვა კეისარ იოსებ მეორისადმი.

"უერთგულესსა ყოვლად მოწყალესა კეისარსა", - ასე იწყება წერილი, რომელიც უფრო სევდიანია, ვიდრე დაშორებულ მიჯნურთა სასიყვარულო ბარათი და უფრო გამძლე, ვიდრე თიხა; სიტყვა, თუ ადამიანი. წერილი მოქმედებს, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი ძნელად იშიფრება.

ერეკლე მეორე დამორცხვებული თხოვს კეისარს ჯარის ჯამაგირი უბოძოს და იმ ჯამაგირით ჯარი ევროპის რიგზე გააწყოს, "რომ მტერი ამ ჯარის რიგს საბოლოოდ რომ სცნობს, ვერას დროს ჩვენს მტრობას ველარ გაბედავს.

მეფე ქართლისა კახეთისა და სხვათა ერეკლე.

ოკდომბრის 18 წელთა 1782.

...ღმერთმა ნუ ქნას თუ... ხელმწიფეებისაგან ჩვენი სათხოვარი არ შესრულდეს"...

კეისარს გული არ აჩუყებია. კეისარმა ერეკლე მეორეს სათხოვარი არ შეუსრულა. დღეს უკვე ევროპის რეგიონთა ასამბლეაში მიღებული კახეთი, იმ ხანად "თმადავარცხნილ" სახელმწიფოებს არ გახსენებიათ. სევდამისჯილი ქვეყნის მეფე მარტო დარჩა. ერთ წელიწადში კი გადარჩენის ერთადერთი შანსი გამოჩნდა: ზურგს უკან ვილაც დადგა, თვალზე ხელი აგვახვია და თქვა - Guess Who (აბა, რომელი ვარ?)?

ეს "გეორგიევსკის ტრაქტატი" იყო, ხომ გაგიგიათ?

ჩვენი მეფეების წერილები სხვადასხვა არქივებში დღემდე ინახება, ძირითადად შველას ვითხოვდით, მაგრამ არ იყო ხსნა. დრო რომ გავიდა, ჭრილობები რომ შეხორცდა, ყველამ ერთხმად აღიარა: არც ერთ დამპყობელს არ მოუყენებია ისეთი ტკივილი, როგორიც მეზობელმა რუსეთმა. ყველაფერი კი შურით დაიწყო: მათ საერთოდ არ ჰქონდათ ის, რაც ჩვენს მიწაზე ასე უხვად იყო. ჩამონათვალს სჯობს, ორ დეტალზე გავაკეთოთ აქცენტი - მზე და ეროტიკულობა. აი, რა იზიდავდა ალგზნებულ იმპერიას. ჩვენთან ისე, თავისთავად მოდიოდა მდინარეები; კონფლიქტის გარეშე, ერთი სოფელი მეორეს დაშორებული შეყვარებულივით მოწყვეტოდა და ამით იყო საინტერესო; წნორი ალაზნის ველს უწვებოდა ქალიშვილივით, და ისე, უბრალოდ, უბერავდა "ზოროასტრის სუნთქვა" აზერბაიჯანიდან. ხან ცეცხლის თაყვანისცემა, ხანაც ქალის...

რუსულ კულტურაში ქართული ტრადიცია ჩნდებოდა. ეს მათი დიდი მონდომების შედეგად ხდებოდა, ამ შემთხვევაში საკუთარ თავზე ეშლებოდათ ნერვები.

რა ზომებს მიმართეს, რამდენხანს გაგრძელდა ეს საშინელება... ამის შესახებ ახალს ვერაფერს ვიტყვი, ამიტომ არ ვთვლი საჭიროდ ბევრჯერთქმული გავიმეორო. ასეა თუ ისე, გავიდა დრო, დიდი დრო, და როგორც "იერალაშებში" ხდება, პირველ კლასელს მეხუთე კლასელი რომ ჩაგრავს და მოულოდნელად მეათე კლასელი წამოადგება და თავში წამოარტყამს. გახსოვთ ასეთ დროს მეხუთე კლასელის სახე? სწორედ ასე მოიბუზა დღეს იმპერია, "ლაფათკებითა" და აღზნებული ქალებით შემდგარი, რომელიც საუკუნეების მანძილზე მამაკაცივით გვექცევა, საქართველომ კი, როგორც იტყვიან: ვერც ერთხელ ვერ გააცურა ქალივით.

და უეცრად, ზურგს უკან ისევ დადგა ვილაცა, თვალზე ხელი აგვაფარა და Guess Who? რატომღაც ოკეანის მეორე მხრიდან ჩამოგვაკითხეს საშველად, უცნაურია არა? ასე ხომ მხოლოდ "მსახიობებსა და კახპებს უმართლებთ"? ჩვენ არც ერთნი ვართ, არც მეორენი, არც მეოთხენი და მაინც გაგვიმართლა?

ოთხი მართლაც ჯადოსნური ციფრია: ოთხი სტიქია; წელიწადის ოთხი დრო; ბუშმა ოთხჯერ ახსენა საქართველო; ორმოცდაოთხი მზის ჩასვლაა "პატარა პრინცის" ორიგინალურ ილუსტრაციებში; ეგზიუპერიც ორმოცდაოთხ წელს დაიღუპა...

აქეთ-იქით ვიყურები, დგას ფაქტიური მშვიდობა, ორგანიზებული გულგრილობა. ეჭვსაც ვერ აიღებ ამჯერად რა "შურთ" ჩვენი. ცხოვრება "იაგუარივით" მიქრის, მუხრუჭებიც რომ ვერ აჩერებს. ქართველ მეფეთა თანამედროვე წერილები იწერება და არქივებიც იცავენ ტექსტებს, რომ ორი საუკუნის შემდეგ, ვირტუალური გოგო-ბიჭები წარსულის შესახებ ფლობდნენ ინფორმაციას.

ნეტა, ვირტუალურ "გოგონა-გოლიათს" უკან რომ ვილაც მიადგება და ეტყვის Guess Who? რას მოიმოქმედებს? ესეც სულ სხვა დრო იქნება, შეიძლება, სულაც, დრო წარსულის გარეშე: ილუზიონიზმს და შეთითხნილ მითებს მოკლებული, ინსტინქტებზე და ლოგიკაზე დამყარებული, სავსე უახლესი გრძნობათა მასშტაბებით, და როგორც კარგ პიესებში ხდება ხოლმე: ყველა იქნება განწი-

შთაბეჭდილება

# უტოპია - ჭეშმარიტი და ყალბი

### ფიქრები გიორგი გვახარიას გადაცემისთვის ფედერიკო ფელინის "რვანახევრის" გამო

გია ნოდია

ამ ფილმში შეიძლება გამოვყოთ ორი პლასტი: ეს არის ფილმი **ხელოვანზე** და ფილმი **ხელოვნებაზე**. თუ პირველი კუთხით შევხედავთ, ეს არის ფილმი საშუალო ასაკის რეჟისორზე, კონკრეტულ სოციალურ და ფსიქოლოგიურ სუბიექტზე, რომელსაც თავის მხრივ ფილმი აქვს გადასაღები ("ფილმი ფილმში") და ამ პროცესში უნდა მოაგვაროს პრობლემები პროდიუსერთან, სცენარისტთან, ცოლთან, საყვარელთან, საკუთარ ჯანმრთელობასთან, კომპლექსებთან, ბავშვობის მოგონებებთან და ა. შ. გმირის ამ პრობლემებთან ჭიდილის ჩვენება იქცევა ერთგვარ ქრესტომათიად იმ დროს (ფილმი 1963 წელსაა გადაღებული) მეტ-ნაკლებად მოდური ინტელექტუალური თეორიებისა: მასზე მსჯელობა შეუძლებელია, თუ არ გავიხსენებთ ეგზისტენციალიზმს, ფსიქოანალიზს, იდეოლოგიური ბრძოლას სოციალიზმსა და კათოლიციზმს შორის და ა. შ. შესაბამისად - გააჩნია, რა ჭრილს ავირჩევთ, ფილმი მრავალგვარად შეგვიძლია წავიკითხოთ. მაგალითად:

ეს არის ფილმი თანამედროვე **ანტიგმირზე**, რომელიც შეპყრობილი ჰყავს **ეგზისტენციალურ** **Angst**-ს, რასაც ქართველი ფილოსოფოსები "ძრწოლად" თარგმნიდნენ. ლაპარაკია არა კონკრეტული რაღაცეების შიშზე (გველი გამოძვრება და გიკბენს, სამსახურს დაკარგავ და ფული აღარ გექნება, ცოლი საყვარელთან შეგისწრებს და ა. შ.) არამედ გაურკვეველ შფოთვაზე იმის გამო, რომ ამ სამყაროში ვერ ჩაეწერები, მასში კომფორტს ვერასოდეს ჰპოვებ, სამყარო შენი მყიფე, არამდგრადი მე-ს მიმართ რაღაც მოუხელთებელ, მაგრამ გარდაუვალ ხიფათს შეიცავს. შფოთვით და ძრწოლით შეპყრობილი გმირი სადღაც გარბის, უნდა ვიღაცეებს და რაღაცეებს დუძვრეს (მაგრამ ვერ უძვრება), კოშმარული სიზმრებში დახშული სივრციდან გაქცევას და ცაში აჭრას ცდილობს (მაგრამ ბოლოს ისევ ქვევით აბრუნებენ) და ა. შ.

სხვა სიტყვებით - ისევ ეგზისტენციალური ფილოსოფიის მოტივების გამოყენებით - ფილმი შეგვიძლია, გავიაზროთ როგორც იგავი იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობს **სოციალური რეალობა** (ჰაიდეგერის ფილოსოფიის ენაზე, Seiende), გასრისოს სათუთი და მოწყვლადი მე, როგორც **აუთენტური თვითობა** ან **ნამდვილი ყოფნა** (Sein). სოციალური სამყარო (წარმოდგენილი ცოლით, მისი დაქალით, მღვდლით, რაციონალური სათვალიანი კრიტიკოსით) სულ იმას ლამობს, გმირის "მე" სოციალურად მისაღებ ჩარჩოში ჩასვას, მას **სოციალური როლი** მიაკუთვნოს, გახადოს ის მორალური, რაციონალური, ერთგული, თანმიმდევრული და ა. შ. როცა გმირი ცდილობს ამ მარწუხებს დაუსხლტეს, მას მატყუარას, უპასუხისმგებლოს, არშემდგარს უწოდებენ (და იგი თავის თავსაც ასე ხედავს).

ეს აუთენტური მე, ეპოქის ინტელექტუალური მოდის შესაბამისად, ამავე დროს ფროიდისტულ ტერმინებშიცაა გამოსახული. ფილმი შეიძლება გავიგოთ როგორც იგავი იმაზე, თუ როგორ ებრძვის გმირის სულში **"სიამოვნების სამყარო" "აუცილებლობის სამყაროს"** (ანუ, ისევ, სოციალური ნორმებითა და როლებით განსაზღვრულ რეალობას). სიამოვნების სამყარო წარმოდგენილია, რა თქმა უნდა, ბავშვობით; მისი ძირითადი შინაარსია ეროტიკული სიამოვნების ძიება. ამ ბავშვური ეროტიზმის სიმბოლოებია, ერთი მხრივ, ბანაობა (წყალი და ეროტიკა რამ გაყო! ვენერა საიდან ამოვიდა, ხომ ყველას გვახსოვს?), მეორე მხრივ კი, შეუდარებელი სარაგინა, პირველქმნილი ეროტიზმის იქნებ ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი სახე მსოფლიო კინოში. "აუცილებლობის სამყარო" ცდილობს, ამ ბუნებრივ ეროტიკულ ლტოლვებს დანაშაულის გრძნობა დაუპირისპიროს. ცხადია, ამ საქმეში კათოლიკური ეკლესია მეტად აქტიურობს. ის წარმატებით ახერხებს ამ დანაშაულის გრძნობის გმირის სულში ჩანერგვას, ასე რომ ფილმი შეიძლება დავინახოთ ასევე როგორც გმირის წარუმატებელ მცდელობათა სერია, ამ გრძნობაგან განთავისუფლდეს.

აბა, **ოიდიპოსის კომპლექსის** გარეშე იმ დროის რომელი ინტელექტუალური ქრესტომათია იქნებოდა? ფილმში ვხედავთ ორ დედას: ერთია ასაკოვანი, დეეროტიზებული, ნორმატული დედა, რომელიც ზრუნვას, წუხილს, ზნეობრივ შეგონებას - "აუცილებლობის სამყაროზე" გადასვლას განასახიერებს, და ბანაობის სცენების ახალგაზრდა, ეროტიკული, ხალისიანი, შვილთან შეთამაშებული დედა,



მარჩელო მასტროიანი "8 1/2"



მარჩელო მასტროიანი "8 1/2"




ფილმის პლაკატი

ფილმი არის იგავი იმაზე, თუ როგორ ცდილობს გმირის მშფოთვარე სული (ამაოდ, რა თქმა უნდა) თავი დააღწიოს ორი დედის გაუსაძლის დუალიზმს. დაძლევის ამაოებას თვალნათლივ გვიჩვენებს საკმაოდ სწორხაზოვანი, ლამის პრიმიტიული ეპიზოდი, როდესაც ნორმატული დედის მზრუნველი ამბორი (რომელიც უშუალოდ მოსდევს მამის საფლავში ჩაყვანას) ვნებიან კოცნაში გადადის, დედის მაგივრად კი გმირს ხელში ცოლი შერჩება.

აუთენტური მე-სა და სოციალური ჩარჩოების, "სიამოვნებისა და აუცილებლობის სამყაროების" კონფლიქტს არ შეიძლებოდა არ მი-

დასამი წლის გმირი ცდილობს ინფანტილური ეროტიზმის რეკონსტრუქციას და ამ გზით **ემანსიპაციას**: ფილმის ერთ-ერთ ყველაზე ცობილ სცენაში დედა, ცოლი, საყვარლები (მათ შორის მეგობრის), სარაგინა, მომავალი სამოვნების ობიექტები ერთად აბანავებენ სრულად სოციალიზებულ, შლაპიან, მაგრამ ამავე დროს სოციალურ-ზნეობრივი ნორმებისაგან თითქოს განთავისუფლებულ გმირს. უტოპიის ლოგიკით, სოციალური ნორმებისა და დანაშაულის გრძნობისაგან განთავისუფლება გმირს **ძალაუფლებასაც** უბრუნებს: მას შეუძლია შოლტი დაიკავოს ხელში, საკუთარ კომპ-

სადღაც "ზედა სართულზე". მაგრამ, როგორც ყველა პატიოსანი უტოპია, ისიც მარცხით თავდება: დანაშაულის გრძნობა, ანუ გაშინაგნებული ზნეობრივი ნორმები, ბრუნდება და დღესასწაულს აშხამებს.

ეგზისტენციალურ-ფსიქოლოგიური მოტივები ფილმში სოციალურ-იდეოლოგიურ კორელატსაც პოულობს. რეპრესიული სოციალური ნორმების სამყაროს განასახიერებს კათოლიკური ეკლესია თავისი სიხისტით ("არ არის ხსნა ეკლესიის გარეთ"). ბუნებრივია, კათოლიკური ეკლესია ამავე დროს პოლიტიკური მემარჯვენეობაა, იტალიის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერობით გაბატონებული პოლიტიკური ისტებლიშმენტია. იდეოლოგიურად მომართულ მაყურებელს აქვს საშუალება, ისე გაიგოს ფილმი, რომ ემანსიპაციის იმედი მემარცხენე ძალების მეცადინეობით ამ ისტებლიშმენტის დამარცხებაშია. თუმცა, სკეპტიკური და ოდნავ ცინიკური ფელინი ამ იმედს მაინცდამაინც არ წაახალისებს (რის გამოც სერიოზული მემარცხენეების კრიტიკასაც იმსახურებს).

ფილმი შეგვიძლია გავიგოთ უფრო კონვენციური, ყოფითი ფსიქოლოგიის ტერმინებშიც: ეს არის იგავი "**საშუალო ასაკის კრიზისზე**". ფილმის გმირი შფოთავს იმის გამო, რომ ცხოვრება გადის, მან კი ბევრს ვერაფერს მიაღწია, ყველაფერი ამაოა, ყველაფერი მოჩვენება, პირობითობა და განმეორებაა. ცხოვრება გაბეზრებული აქვს, თითქოს უნდა, ცოლისა და საყვარლის მიმართ გრძნობებს პირველადი სიცინცხალე შესძინოს (საყვარელს სულელურ სექსუალურ რიტუალებს ატარებინებს, ცოლს მოულოდნელად თავისთან გამოიძახებს), მაგრამ არაფერი გამოსდის. კრიზისის დაძლევა მხოლოდ ცხოვრების ხელახლა დაწყება იქნებოდა. ამ ახალი დასაწყისის სიმბოლოა ნორჩი, თეთრკაბიანი და მაცდურღიმილიანი კლაუდია (ნორჩი ქალის ძიება საშუალო ასაკის კრიზის ტიპიური სიმპტომია). ფილმი ფილმში, რომელსაც გმირი იღებს და ვერ იღებს, თითქოს ამ ახალ დასაწყისზე, კლაუდიას მეშვეობით გმირის

ალი დასაწყისის სიმბოლო - მირაჟია, ფანტაზიაა, ხოლო ამ თემაზე ფილმის გადაღება არაფრით გამოდის, ფილმის გმირი შემოქმედებით კრახს განიცდის, უკვე შავმოსასხამიან კლაუდიასთან აღიარებს, რომ ფილმი არ შედგება, ხოლო მის გადასაღებად აშენებული აბსურდული რკინის კონსტუქცია დემონტაჟს დაექვემდებარება.

და ასე შემდეგ. ინტერპრეტაციების, ფილმის მეტაფორებთან ინტელექტუალური შეთამაშების და ამის საფუძველზე სხვადასხვა იდეოლოგიური კონსტუქციების აგება კიდევ დიდხანს შეიძლება. მე, მაგალითად, არც კი მიხსენებია იმ დროს მოდური ტერმინი "გაუცხოება", რომელმაც თავის დროზე ამ სტრიქონების ავტორი გაიტაცა და დისერტაცია დააწერინა: არადა, ის მშვენივრად მოერგებოდა გმირისა და საზოგადოების ურთიერთობის ანალიზს. აქედან რომელი ინტერპრეტაციაა უფრო სწორი? რომელი მათგანი გამოხატავს ფილმის "დედააზრს", "რეჟისორის ჩანაფიქრს"? არც ერთი და ყველა. მაყურებელს საშუალება აქვს, მისი საყვარელი ინტელექტუალური თეორია აირჩიოს და მასზე "იკაიფოს". მაგრამ თუ ის ამ გზას აირჩევს, ფილმი სხვა არაფერი გამოდის, თუ არა ეპოქის ინტელექტუალური ქრესტომათია: ძალიან საინტერესო, თავშესაქცევი, ინფორმატიული, მაგრამ ამავე დროს მკვდარი - როგორც ყოველი ქრესტომათიაა. ფილმის გადაღების შემდეგ ორმოცზე მეტი წელი გავიდა, იმ დროს მოდურ იდეებსა და თეორიებში თუ რამე იყო ცოცხალი, ინტელექტუალთა ურდოებმა დიდი ხანია ტერმიტებივით გადაჭამეს. შექმნილი უდაბნო უკვე ახალი მოდის თეორიებმა შეავსეს: სტრუქტურალიზმმა და პოსტსრუქტურალიზმმა, პოსტმოდერნმა, ფემინიზმმა, "განთავისუფლების თეოლოგიამ", ნეოპაგანიზმმა თუ ნეოკონსერვატიზმმა, ღმერთმა უწყის კიდევ რამ. თუნდაც ამ დაშვებით, ფილმი მაინც ნიჭიერი, მომხიბლავი, "საინტერესო" გამოჩნდება, მაგრამ ამავე დროს მოძველებული და ცოტა არ იყოს გაწელილი. ის შეიძლება ოდნავ წააგავდეს იმ ასაკოვან მოცეკვავეს თუ ყოფილ საყვარელს უტოპიური ბანაობის სცენიდან: კი, ჯერ კიდევ მკვრივი ტრაკი აქვს, ცეკვა შეუძლია, ოსტატობით ახალგაზრდებს არ ჩამოუვარდება, მაგრამ მაინც "ზედა სართულზე", არქივში უწევს გამწესება, სადღაც მიქელანჯელო ანტონიონის თუ ჟან კოკტოს კასეტების გვერდზე. მან ჰავაის კუნძულებიდან ჩამოსულ უფრო ეგზოტიკურ ლამაზმანებს უნდა დაუთმოს ადგილი.

მაგრამ საბედნიეროდ, ფილმს კიდევ სხვა პლასტიკა აქვს: ეს არის ფილმი **ხელოვნებაზე** როგორც ერთადერთ და მარადიულ უტოპიაზე. ფილმის სოციალურ-ფსიქოლოგიური სუბიექტი თავისი შფოთვებითა და კომპლექსებით, საზოგადოებას საბოლოოდ გაექცევა არქეტიპულ ინფანტილურ თავშესაფარში - მაგიდის ქვეშ - და აქ რიტუალურად თავს იკლავს. მხოლოდ ამის შემდეგ გადადის ის სხვა, თამაშის თუ კარნავალის სამყაროში და იქ მოიპოვებს ახალ მეს, მასთან ერთად კი, რეალურ ძალაუფლებას. როგორც მეგაფონმომარჯვებულ რეჟისორს, მას შეუძლია თავისი გმირები და ის შფოთვები, იმედები, ილუზიები, კომპლექსები, რომლებიც მათ უკან იმალება, დარაზმოს, სულელური იდეოლოგიური კონსტრუქციიდან ჩამოიყვანოს, მის საყვარელ მუსიკაზე მაგიურ ფერხულში ჩააბას. "რვანახევარი" ერთდროულად უტოპიაცააა და ანტიუტოპიაც და სწორედ ამაშია მისი გარდუვალი ძალა. ის წინასწარმეტყველებს დასავლური უტოპიზმის ახალი აპოგეის - 1968 წლის - დადგომას, და წინასწარ აჩვენებს მის ამაოებას. სოციალურ-ფსიქოლოგიური უტოპია ("ახალი დასაწყისი") მოკვდა, გაუმარჯოს ერთადერთ ნამდვილ უტოპიას - ხელოვნებას.

ესეც თავისთავად შეიძლება კიდევ ერთ ბანალურ ჭეშმარიტებად ჩავთვალოთ. ნებისმიერი ხელოვნება, რომელიც აბსტრაქტული იდეების ილუსტრაციას მოინდომებს, რაც გინდა ნიჭიერად და თავშესაქცევად გააკეთოს ეს, მეორადია და ამიტომ მკვდარია. სიცოცხლის შანსი ხელოვნებას მხოლოდ მაშინ აქვს, თუ მაგიასთან ზიარების და საკუთარი უპასუხისმგებლობის არ ეშინია. ფელინის ამ და სხვა ფილმებს იხსნის ის, რომ იგი არასოდეს ხდება მომაკვდინებლად სერიოზული. მის ეგზისტენციალისტურ და ფსიქოანალიტიკურ წიაღსვლებს სულ თან სდევს ბავშვურ-თამაშობრივი, კარნავალური სიცელქე, რომელიც "რვანახევრის" ბოლოს განხორციელებულ მეტაფორად იქცევა. ამიტომ მისი მაგია მარადიულია, ხოლო მასთან დროდადრო მიბრუნება იმ მაცოცხლებელი წყლის

# "ოსკარის" გარშემო


"მილიონდოლარიანი გოგონა" და კლინტ ისტვუდი.


ოდრი ტოტუ ფილმში "ძალიან ხანგრძლივი ნიშნობა".


ლეონარდო დი კაპრიო "ავიატორში".

ახლა ის დროა, როცა ფარდებს ხსნიან, დეკორაციებს ალაგებენ, გრიმს იშორებენ, შინაგან სიცარიელეს გრძნობენ და კარგად გამოძინებაზე ოცნებობენ. "ოსკარი" დამთავრდა. ჰოლივუდმა კიდევ ერთხელ გადაიხადა ქეიფი, რომლისთვისაც მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდა და საზოგადოებასაც ამზადებდა. "ოსკარები" ძირითად და მეორეხარისხოვან კატეგორიებში გაიცა და წლის ფალავნებიც გამოვლიდნა.

მანამდე კი იყო ცერემონიალი, რომელსაც შეიძლება თავადაც ადევნეთ თვალი. თუმცა, დარჩნენ ისეთებიც, რომელთაც "ოსკარის" გამო ღამისთევა არ ისურვეს და გადაწყვიტეს, ჩაწერილი შოუ ენახათ. მას განმეორებით შემოკლებული სახით გადასცემენ. და პომპეზური ჰოლივუდური აურის დაჭერა მაშინაც მშვენივრად იქნება შესაძლებელი.

ამ აურას ხომ ბოტოქსით დაჭიმული სხეულები, საღამოს კაბები, ჰოლივუდური ღიმილი და ჰოლივუდური იუმორი ქმნის. ცხადია, უდიდეს როლს თამაშობს ჩაციებული შამპანიური, პრიალა ლიმუზინები, ბრჭყვიალა სამკაულები, წითელი ხალიჩა და ცოტაოდენი ინტრიგაც.

ამ ატრიბუტიკის უსაფრთხოებაზე პოლიცია და გადაცმული აგენტები ზრუნავენ. 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ "ოსკარის" ცერემონიალს ისე გაძლიერებულად იცავენ, როგორც გაეროს სამიტებს. შოუ ხომ "ამერიკული კულტურის სიმბოლოა და შესაბამისად, ტერორისტების სამიზნედაც შეიძლება იოლად იქცეს" - აცხადებს ლოს ანჯელესის პოლიციის დეპარტამენტის ანტიტერორისტული ცენტრის დირექტორი ჯონ მილერი და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ "ოსკარის" ცერემონიალზე ვარსკვლავთა უსაფრთხოება მუდამ საჭირო დონეზე იყოს. 77-ე შოუსაც გუშინ შეიარაღებული პოლიციელები ესწრებოდნენ, დამონტაჟებული იყო ნერვული გაზის დეტექტირებისთვის საჭირო სისტემა და ბარიერები გზაზე.

დიდი ჯაფა ადგათ დერმატოლოგებს, კოსმეტოლოგებს და აბსოლუტურად ყველას, ვინც ვარსკვლავების გაახალგაზრდავებაზე ზრუნავდნენ. წითელ ხალიჩაზე ხომ უზარმაზარი დოზით იყო წარმოდგენილი ბოტოქსი - ძალიან პოპულარული არაქირურგიული საშუალება ნაოჭების გადაჭიმვისთვის, გაახალგაზრდავებისთვის.

ამასობაში, ჰოლივუდური შოუს მოახლოებამდე ერთი დღით ადრე, ამერიკულ ფილმებს პარიზში აჯილდოვებდნენ. საფრანგეთის დედაქალაქში ფრანგული კინოინდუსტრიის ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. თუმცა, "ცეზარის" ვარსკვლავები მაინც არაამერიკელები გამოდგნენ. წინასწარ ფავორიტებად შერაცხულმა ფილმმა "ძალიან ხანგრძლივი ნიშნობა" (ოდრი ტოტუს მონაწილეობით) მოლოდინი გაამართლა და ხუთი პრიზი მოიპოვა.

თუმცა, საუკეთესოთა შორის საუკეთესო მაინც L'Esquive - "გაქცევა" აღმოჩნდა. მან "ცეზარი" მიიღო როგორც წლის საუკეთესო ფილმმა, "ცეზარით" დაჯილდოვდა ფილმის რეჟისორიც და სცენარიც. პრიზი მიიღო სარა ფორესტიერმაც - საუკეთესო ახალბედა მსახიობმა ქალმა.

აბდელატიფ ქეშიშის ფილმში მოქმედება ერთ მიყრუებულ უბანში ხდება, პერსონაჟები ერთი მე-18 საუკუნის პიესას დგამენ და როლებს ამუშავებენ. ამ მხრივ სურათი მართლაც საინტერესოა - სახეზეა ფრანგულად გადაწყვეტილი კინო და თეატრალური მიქსი.

რაც შეეხება ოდრი ტოტუს სურათს, ის წესით უცხოენოვან "ოსკარზე" უნდა წარედგინათ, მაგრამ კინოაკადემიამ ფილმი არ მიიღო, რადგან დაფინანსება ძირითადად ამერიკული არხებიდან მოდიოდა. სამაგიეროდ "ძალიან ხანგრძლივი ნიშნობა" საფრანგეთში დააფასეს და ხუთი "ცეზარი" გადასცეს. მარიონ კოტიიარდი საუკეთესო მეორეხარისხოვანი მსახიობი ქალი გახდა. ფილმმა "ცეზარი" მიიღო კოსტიუმებისთვის, ფოტოგრაფიისთვის და დეკორისთვის.

იყო იმედგაცრუებაც. ფილმი Choristers, რომელიც გასული წლის ყველაზე შემოსავლიანი სურათი გახლავთ - 8.5 მილიონი მაყურებლით მხოლოდ ორ "ცეზარს" დასჯერდა - საუკეთესო ჟღერადობისა და საუკეთესო თანხმლები მუსიკალური ალბომისთვის.

არადა, პროდიუსერსა და ვარსკვლავს, ფრანგ მსახიობს ჟერარ ჟუნოს ფილმმა 2004 წელს 5.45 მილიონი ევრო მოუტანა, რის შემდეგაც ჟუნო საფრანგეთის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი გახდა და ჟან რენოსა და ჟერარ დეპარდიესაც გაასწრო.

"ოსკარამდე" ერთი დღით ადრე გაიცა ჯილდოები ყველაზე უარესი მსახიობებისა და რეჟისორებისთვის. "ოქროს ჟოლოს" პრიზი, როგორც წლის ყველაზე ცუდმა მსახიობმა, ჯორჯ ბუშმა მიიღო - მაიკლ მურის "ფარენჰეტ 9/11"-ში შესრულებული როლისთვის. მისი კოლეგა ქალებიდან კი ჰალი ბერი გახდა. ის ამ ჯილდოთი "ქალ-კატაში" შესრულებული როლისთვის დააჯილდოვეს. ბუშისგან განსხვავებით ბერი თავისი სამარცხვინო პრიზის მისაღებად ცერემონიალზე გამოცხადდა და არც უხერხულობისგან გაწითლებულა. "ამ ჯილდოს ვერავინ წამართმევს. მასზე ჩემი სახელია ამოტვიფრული" - განაცხადა მან ჯილდოს ჩაბარებისას და მადლობა გადაუხადა "ქალი-კატის" მთელ გადამღებ ჯგუფს. "დიდი მადლობა "უორნერ ბრაზერსს" ამ ნაგავში რომ გადამიღო. ამ ფილმმა ჩემი პროფესიული კარიერის ზენიტიდან მიწაზე დამანარცხაო" - დასძინა ბოლოს.

ბუშმა კი "ოქროს ჟოლოსთვის" ბრძოლაში კოლინ ფარელი და ვინ დიზელი დაამარცხა. ამერიკის პრეზიდენტთან ერთად კინოსამყარომ მისი თანაშემწეებიც დააფასა, მათ შორის იყო თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდიც - "ფარენჰეტი 9/11"-ში შესრულებული როლისთვის.

"ოქროს ჟოლოს" არამომგებიანი ფონდი იმავე სახელწოდებით ყოველწლიურად გასცემს. გამარჯვებულები გოლფის ბურთის ზომის ჟოლოს იღებენ, რომელიც "სუპერ 8" ფორმატის კინოფირის რულონზეა დამაგრებული და ოქროსფრად გადაღებილი. ასეთი სუვენირი ჰოლივუდში დაახლოებით 4.97 დოლარი ღირს, მაგრამ ყველა, ვინც მას საჩუქრად მიიღებს, მაინც სათუთად ინახავს და უფრთხილდება - ისევე როგორც ჰალი ბერი.

## "ოსკარები" - 2004



### საუკეთესო ფილმი
"ავიატორი"
"იპოვო ნევერლენდი"
"მილიონდოლარიანი გოგონა"
"რეი"
"პირისპირ"

### საუკეთესო მსახიობი მამაკაცი
დონ ჩედლი, "სასტუმრო რუანდა"
ჯონი დეპი, "იპოვო ნევერლენდი"
ლეონარდო დი კაპრიო, "ავიატორი"
კლინტ ისტვუდი, "მილიონდოლარიანი გოგონა"
ჯეიმი ფოქსი, "რეი"

### საუკეთესო მსახიობი ქალი
ანეტ ბენინგი, "იყო ჯულია"
კატალინა სანდინო მორენო, "მოწყალებით სავსე მარია"
იმელდა სტაუნტონი, "ვერა დრეიკი"
ჰილარი სუენქი, "მილიონდოლარიანი გოგონა"
კეიტ უინსლეტი, "უდარდელი გონების მუდმივი ნათება"

### საუკეთესო მეორეხარისხოვანი მსახიობი მამაკაცი
ალან ალდა, "ავიატორი"
თომას ჰადენ ჩერჩი, "პირისპირ"
ჯეიმი ფოქსი, "თანამგზავრი"
მორგან ფრიმენი, "მილიონდოლარიანი გოგონა"
ქლაივ ოუენი, "სიახლოვე"

### საუკეთესო მეორეხარისხოვანი მსახიობი ქალი
ქეით ბლანშეტი, "ავიატორი"
ლორა ლინი, "ქინსი"
ვირჯინია მედსენი, "პირისპირ"
სოფი ოკონედო, "სასტუმრო რუანდა"
ნატალი პორტმანი, "სიახლოვე"

### საუკეთესო რეჟისორი
მარტინ სკორსეზე, "ავიატორი"
ქლინტ ისტვუდი, "მილიონდოლარიანი გოგონა"
ტეილორ ჰექფორდი, "რეი"
ალექსანდერ პეინი, "პირისპირ"
მაიკ ლი, "ვერა დრეიკი"

### საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი
"როგორც ეს სამოთხეშია", შვედეთი
"გუნდი", საფრანგეთი
"დაცემა", გერმანია
"ზღვა შიგნით", ესპანეთი
"გუშინ", სამხრეთ აფრიკა

### საუკეთესო სპეც-ეფექტები
"ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე"
"მე, რობოტი"
"კაცი-ობობა 2"

### საუკეთესო ოპერატორული ნამუშევარი
"ავიატორი"
"მფრინავი სატევრების სახლი"
"ძალიან ხანგრძლივი დანიშვნა"
"ქრისტეს ვნებანი"
"მოჩვენება ოპერაში"

### საუკეთესო ორიგინალი სცენარი
"ავიატორი"
"უდარდელი გონების მუდმივი ნათება"
"სასტუმრო რუანდა"
The Incredibles
"ვერა დრეიკი"

### საუკეთესო მუსიკა (სრული პარტიტურა)
"იპოვო ნევერლენდი"
"ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე"
"ლემონი სნიკეტსის უიღბლო თავგადასავლების სერიალი"
"ქრისტეს ვნებანი"
"სოფელი"

### საუკეთესო დოკუმენტური ფილმი
"ბორდელებში დაბადებული"
"მტირალა აქლემის ამბავი"
"გამადიდე"
"თუფაქი: აღდგომა"
"დაკარგული რწმენა"


## ისაუბრეთ ლაი·ლაი & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მოცემული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

24 საათი 2
ლაი·ლაი

აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების მიღება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | ღუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |

ინფოთეკა

### ვენგერმა გარანტიები მიიღო

ლონდონის "არსენალის" ხელმძღვანელობამ გარანტია მისცა მთავარ მწვრთნელს არსენ ვენგერს, რომ გუნდის გასაძლიერებლად ახალი ფეხბურთელების შეძენისთვის საჭირო თანხას მისცემდა. მწვრთნელი შეშფოთებული იყო "არსენალის" ახალი სტადიონის მშენებლობის გამო, რაზეც 350 მილიონი გირვანქა სტერლინგი უნდა დაიხარჯოს. თუმცა, კლუბის აღმასრულებელი დირექტორის თქმით, ეს დანახარჯები ხელს არ შეუშლის "მეთოფეებს", საჭიროების შემთხვევაში, ახალი ფეხბურთელების შესაძენად.

"ნუ ღელავთ. ფული გვაქვს. იმედი მაქვს, მიზანმიმართულად დავხარჯავთ. არსენ ვენგერი ჩვენს ყველა შეკრებას ესწრება და იცის, რომ ჩვენი ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია," - განაცხადა "არსენალის" მმართველმა დირექტორმა ედელმანმა.

### "რეალის" ვარსკვლავები ჩივილს აპირებენ

მადრიდის "რეალის" პრესსამსახურის ცნობით, ხუთი ფეხბურთელი აპირებს, სასამართლოში უჩივლოს შვიდ ინტერნეტ-სააგენტოს, რომელიც მატჩებზე ფსონების გაკეთების ორგანიზებითაა დაკავებული და უკანონოდ იყენებს ამ ფეხბურთელთა სახელებსა და ფოტოებს. დევიდ ბექჰემმა, რაულმა, რონალდომ, ზინედინ ზიდანმა და ლუიშ ფიგუმ ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები მიიღეს ცნობილი იურისტის ჟან-ლუი დიუპონისგან, რომელმაც 1995 წელს ჟან-მარკ ბოსმანის საქმე მოიგო.

თავად "რეალის" ხელმღვანელობაც აპირებს სასამართლო პროცესის წამოწყებას, რადგან ეს კომპანიები უნებართვოდ იყენებდნენ კლუბის სახელს.

### კოული ექვსი კვირით დაისვენებს

ინგლისური კლუბის "ასტონ ვილას" თავდამსხმელმა კარლტონ კოულმა მუხლის ტრავმის გამო შეიძლება ექვსი კვირა ვერ ითამაშოს. ფეხბურთელმა ინგლისისა და ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მატჩის დროს მიიღო ტრავმა. მატჩი თებერვლის დასაწყისში გაიმართა. ლონდონის "ჩელსიმ", რომელმაც კოული იჯარით გადასცა ბირმინგემელებს, ოპერაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

### რობენი ჯერ ვერ ითამაშებს

ლონდონის "ჩელსის" აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კენიონმა "ბიბისისთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ ჰოლანდიელი ნახევარმცველი არიენ რობენი მოედანზე მას შემდეგ გამოჩნდება, რაც დადასტურდება, რომ იგი სრულიად ჯანმრთელია. "პარასკევს არიენმა ცოტა ხანს ირბინა, მაგრამ მოედანზე მხოლოდ გამოჯანმრთელების შემდეგ დაბრუნდება," - განაცხადა კანიონმა.

### "ვალენსია" და "აიაქსი" მწვრთნელობის კანდიდატურებს არჩევენ

ინგლისური პრესის ცნობით, გუშინწინ სამსახურიდან დათხოვნილი ჰოლანდიის "აიაქსის" მთავარი მწვრთნელი რონალდ კუმანი შეიძლება სათავეში ჩაუდგეს ესპანურ "ვალენსიას", რომელიც მწვრთნელს კლაუდიო რანიერის გამოემშვიდობა. პრეტენდენტებს შორის არიან ასევე "მონაკოს" თავკაცი დიდე დეშამი და ესპანური "ჰეტაფეს" მწვრთნელი კიკი ფლორესი.

თავის მხრივ, სამსახურიდან რვა თვის შემდეგ გაშვებული რანიერი პასუხისმგებლობას გუნდის წარუმატებლობაზე მთლიანად საკუთარ თავზე იღებს.

"ყოველთვის მინდოდა შემექმნა ისეთი შემოქმედებითი გუნდი, რომლის ფეხბურთელები მოედანზე ერთმანეთს ხელს კი არ შეუშლიდნენ, პირიქით, ერთმანეთთან იმუშავებდნენ, თუმცა, ამჯერად ეს ვერ მოვახერხე. პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ, რადგან გუნდი ყოველთვის მწვრთნელის ხასიათის ანარეკლია. "ვალენსიასთან" მიზანს ვერ მივაღწიე," - სინანული გამოთქვა რანიერიმ.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ "ვალენსიამ" შეიძინა 18 წლის პორტუგალიელი ფორვარდი ჟოაო მორეირა, რომლითაც მადრიდის "რეალიც" იყო დაინტერესებული. ახლა ფეხბურთელი "ვალენსიას" სათადარიგო შემადგენლობაში ითამაშებს, ზაფხულში კი ძირითად გუნდში გადავა.

"მეამაყება, რომ ამ გუნდში მოვხვდი. იმედი მაქვს, აქ დიდხანს დავრჩები," - განაცხადა კმაყოფილმა მორეირამ.

რაც შეეხება მწვრთნელის გარეშე დარჩენილ "აიაქსს", ხელმ-

ფეხბურთი

# მაიკლ ოუენი: "მადრიდში კარიერა კარგად ამეწყო"

დღეს ჩვენი საფეხბურთო გალერეის სტუმარია მადრიდის "რეალის" ფორვარდი მაიკლ ოუენი, რომელიც ჟურნალისტებს ლას-როსასის ბაზაზე მორიგი ვარჯიშის შემდეგ გაესაუბრა. ოუენი საუბრობს გუნდის მდგომარეობაზე ესპანეთის ჩემპიონატში, ჩემპიონთა ლიგაში მის მონაწილეობაზე, სატრანსფერო ჭორებზე და მის მომავალზე გუნდის ძირითად შემადგენლობაში...

როგორც ყოველთვის, ოუენი ამჯერადაც უაღრესად გულწრფელი იყო, კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ არ წუწუნებს გუნდში თავის მდგომარეობაზე, მაგრამ სურს, უფრო დიდხანს ითამაშოს და იმედოვნებს, რომ ვარჯიშებზე თავგამოდებული შრომით მთავარი მწვრთნელის ნდობას დაიმსახურებს.

**- ამბობენ, რომ შენით "ნიუკასლია" დაინტერესებული...**

- ვერაფერს გეტყვით. მადრიდში თავს კარგად ვგრძნობ. დიდ მადლობას მოვახსენებ სუნესს ჩემით დაინტერესების გამო. თუმცა, მაინც მადრიდის "რეალში" მირჩევნია კარიერის გაგრძელება.

**- ტურინის "იუვენტუსთან" მატჩი შენთვის პირველი გამოსვლა იყო ჩემპიონთა ლიგაზე მადრიდის "რეალის" შემადგენლობაში. რაიმემ გაგაოცათ?**

- თამაში ფანტასტიკური იყო, ატმოსფერო - გენიალური. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, ძალიან კარგად ვითამაშეთ ძლიერ მეტოქესთან. 1:0 საკმაოდ საჩოთირო ანგარიშია. არადა, ჩვენ ბევრს ვუტევდით და ორჯერ ბურთი ძელსაც გავარტყით. თუმცა, მაინც ძალიან კმაყოფილნი ვართ, რადგან მეტოქემ გოლი ვერ გაგვიტანა. თუ ტურინში ერთ გოლს მაინც გავიტანთ, მეტოქე იძულებული გახდება, სამი გაგვიტანოს.

**- შენი "ლივერპული" კი, სხვათა შორის, საკმაოდ მტკიცე ნაბიჯებით მიიწევს ნახევარფინალისკენ.**

- მათი შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ კარგი იქნებოდა, "ლივერპულს" საკუთარი კარი მშრალად შეენარჩუნებინა. მათთვის მიმდინარე სეზონი რაღაც უჩვეულოდ ვითარდება. ყველაფერი დღითიდღე იცვლება. როგორც ჩანს, ისინი წარმატებულ სერიას იწყებენ და მათი მიზანი წელს ინგლისის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გასვლა იქნება, რაც გუნდს სამომავლოდ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალებას მისცემს.

**- შენი შედეგები ნათლად გვიჩვენებს, რომ უფრო "რენტაბელური" ხარ მაშინ, როცა შეცვლაზე გამოდიხარ და არა მაშინ,**



მაიკლ ოუენი: "მადრიდში საფეხბურთო კარიერა საკმაოდ კარგად დავიწყე და წასვლა არ მინდა".

**როცა ძირითად შემადგენლობაში გიწევს თამაში.**

- ვიცოდი, რომ ამის თაობაზე ოდესმე მკითხავდნენ, თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ასე არ არის. ბოლოს, როცა ძირითად შემადგენლობაში გამოვედი, ეს იყო "ატლეტიკოსთან" მატჩში. მე კარგად ვითამაშე, მაგრამ მთელი გუნდი როგორღაც ცუდად გამოიყურებოდა. ეს, რა თქმა უნდა, ვერ მიშველიდა. ხოლო მას შემდეგ, რაც შემცვალეს, ვიფიქრე, რომ ამის შესახებ აუცილებლად მკითხავდნენ.

**- ამ სეზონში შენ რაულთან და გუტისთან წყვილში გითამაშია. დარჩა მხოლოდ რონალდოსთან ტანდემი.**

- თქვენ ხომ იცით ამ კითხვაზე ჩემი პასუხი. არ მიყვარს იმაზე ლაპარაკი, თუ ვის გვერდით მირჩევნია თამაში. ასეთი რამ არ მახასიათებს და არავითარ შემთხვევაში არ ვწუწუნებ.

**- შენი აზრით, გუნდს აქვს ორივე ტურნირის მოგების შანსი?**

- დიახ. ჩვენ გვაქვს შანსი მოვიგოთ ლა ლიგა და ჩემპიონთა ლიგა. სეზონის ამ პერიოდში მნიშვნელოვანია არა პირველობა, არამედ სატურნირო ცხრილში კარგ პოზიციაზე ყოფნა. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში ტიტულისთვის საბრძოლველად მზად იყო.

**- გინდა სეზონი დასრულდეს?**

- არა. მე გუნდზე და თამაშზე კონცენტრირებული ვარ. როცა ძირითად შემადგენლობაში თამაშზე მეკითხებიან, ყოველთვის ერთნაირად ვპასუხობ: მინდა ბევრი ვითამაშო, მაგრამ ეს ხომ ბუნებრივია. თამაშები მთავრდება და სიტუაცია იცვლება. მე თითქმის იმდენივე მატჩი ვითამაშე, რამდენიც ნებისმიერმა სხვა ფეხბურთელმა, მაგრამ მაინც მსურს, პირველი წუთებიდანვე უფრო ბევრი ვითამაშო. მადრიდში საფეხბურთო კარიერა საკმაოდ კარგად დავიწყე და წასვლა არ მინდა.

**- როგორ ფიქრობ, ლუშემბურგო გაღიზიანდება პრესის საშუალებით შენს თხოვნაზე, ძირითად შემადგენლობაში უფრო მეტი გათამაშოს?**

- მე არასოდეს მიწუწუნია და არავისზე ცუდი არაფერი მითქვამს. არასოდეს მითქვამს, თუ ძირითად შემადგენლობაში არ მათამაშებენ, გუნდიდან წავალ-მეთქი. ინგლისელ ჟურნალისტებს მხოლოდ ის ვუთხარი, რომ უფრო მეტი თამაში მსურს. მეორე დღეს გაზეთებმა რაღაც ულტიმატუმზე დაიწყეს საუბარი... ასეთია ინგლისური პრესა ჩემს მიმართ. მწვრთნელი გულგატეხილი იქნებოდა, მე რომ მეთქვა, თითქოს თამაში აღარ მსურს. ვფიქრობ, პრობლემები იქიდან ჩნდება, რომ ზოგიერთი ჩემი ფრაზა არასწორად ითარგმნება და იქ შეიძლება აზრი დამახინჯებული იყოს. მე არ მიწუწუნია არც მწვრთნელზე, არც კლუბზე და არც გუნდში ჩემს მდგომარეობაზე.

**- როცა "ლივერპულის" ღირსებას იცავდი, თქვი, რომ არც ერთ სხვა ინგლისურ კლუბში არ გადახვიდოდი. აზრი ხომ არ შეგიცვლია? და კიდევ ერთი კითხვა: გავრცელდა ჭორი, რომ "რეალს" სტივენ ჯერარდის შესყიდვა სურს. შენ მას ამ თემაზე ესაუბრე?**

- მე ვთქვი, "ლივერპულიდან" სხვა ინგლისურ კლუბში არ გადავალ-მეთქი, რადგან ამ შემთხვევაში პროგრესს ვერ მივაღწევ. მე რადიკალური ცვლილება მინდოდა და ეს წასვლის ერთადერთი შანსი იყო. რაც შეეხება მეორე კითხვას, ხშირად ვსაუბრობ ჩემს ყოფილ პარტნიორებთან, მაგრამ სტივენთან მადრიდის "რეალის" თაობაზე არ მისაუბრია. ის თავისი გუნდის კაპიტანია და მე არ მაქვს უფლება, ცხოვრება გავურთულო არც მას და არც "ლივერპულს". თუ ის შემეკითხება, მაშინ ვეტყვი იმას, რასაც ვფიქრობ.

**- რონალდო, როცა შეცვლაზე გადიოდა, სტვენით გააცილეს. გულგატეხილია?**

- ის ისეთია, როგორც ყოველთვის. თუმცა, დღეს ახლოს არ შევხვედრივართ, რადგან ძირითადებს ჩვენთან არ უვარჯიშიათ. რონალდო უაღრესად მხიარული ადამიანია. ის "რეალისთვის" უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. ამ თემაზე უფრო მეტის თქმა არ შემიძლია.

**- მომდევნო სეზონში შენს თავს ძირითად შემადგენლობაში ხედავ?**

- არასოდეს იცი, რას გიმზადებს მომავალი. იდეალში უფრო მეტი თამაში მსურს, მაგრამ მე ახლაც კმაყოფილი ვარ კლუბის, პარტნიორებისა და გულშემატკივრების ჩემდამი დამოკიდებულებით. შეუძლებელია ერთი წლით ადრე დაგეგმო ცხოვრება. მე შემიძლია მუშაობა განვაგრძო. რაულისა და რონალდოს კარგი თამაშის მიუხედავად, გარსია რემონის დროს უფრო ხშირად ვთამაშობდი.

**- შენი აზრით, გუნდში ყველაზე უფრო სტაბილურად ვინ თამაშობს? როგორ შეაფასებ შენს სამუშაოს?**

- უმჯობესია, ჩემი სამუშაო სხვებმა შეაფასონ. ვფიქრობ, გუნდში არიან უაღრესად მნიშვნელოვანი ფეხბურთელები, როგორებიც, მაგალითად, კასილასი და ელგერაა... თუმცა, ეს წარმატებული და წარუმატებული სერიის საკითხია. ხოლო თუ ვინ არის ყველაზე უფრო სტაბილური, ვფიქრობ, რომ იკერი.

# 31 წლის კაპიტანი

1995 წელს ხავიერ ძანეტი არგენტინის "ბენფილდიდან" მილანის "ინტერის" შემადგენლობაში გადავიდა. მას შემდეგ თითქმის 10 წელი გავიდა და ძანეტი შეუცვლელია "ნერაძურის" დაცვის ან ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე.

ამჟამად ძნელია "ინტერი" ძანეტის გარეშე წარმოიდგინო. 31 წლის კაპიტანი, მეტსახელად "ტრაქტორი", მინდორზე შეუვალია და თავის საყვარელ ფრთაზე ნებისმიერ მეტოქეს გაუმკლავდება. პირველად ძანეტიმ 1997-1998 წლების სეზონში გაიბრწყინა. მაშინ მილანის "ინტერმა" უეფას თასი მოიგო. გასულ კვირაში კი მილანელებმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველი მატჩი ფრედ დაასრულეს პორტუგალიაში "პორტუსთან" და კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდნენ სანუკვარ ოცნებას - მოიგონ უეფას ჩემპიონთა ლიგა.

**- უკვე 10 წელია "ინტერში" თამაშობთ. არ გაგიჩნდათ სხვა გუნდში გადასვლის სურვილი?**

- წინადადებები არ მაკლდა, მაგრამ "ინტერის" ერთგული დავრჩი. აქ ყოველთვის კარგად მეპყრობოდნენ. პირველივე დღიდან თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ სახლში. იმასაც კი მეუბნებიან, თითქოს კლუბის სიმბოლოს მსგავს რაღაცად ვიქეცი. არ მინდა, თავშეუკავებელი ადამიანის შთაბეჭდილება დავტოვო, მაგრამ მეამაყება, რომ ამ გუნდის კაპიტანი გავხდი. გუნდის, რომელსაც დიდი ტრადიციები აქვს.

**- რა შეგიძლიათ თქვათ ახალი მწვრთნელის რობერტო მანჩინის შესახებ?**

- მას ხარისხიანი ფეხბურთი



არგენტინელი ხავიერ ძანეტი "ინტერის" სიმბოლოდ გადაიქცა.

და ცდილობს, თავისი გამოცდილება გაუზიაროს ჩვენს მშრომელ გუნდს, რომელსაც სურს, "ინტე-

ფეხბურთელების გვერდით თამაშობდა, მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს. როცა გადაწყ-

**რი" არ აგებს. გასულ წელთან შედარებით გუნდში რა შეიცვალა?**

ზიაროთ, რომელიც მანჩინის სურს, დაინახოს. ახლა ჩვენ მუშაობისთვის ძლიერი ბაზა გვაქვს. ეს დაგვეხმარება იმაში, რომ მთავარ მიზანს მივაღწიოთ - ჩავწეროთ ახალი ფურცელი "ინტერის" დიდებულ ისტორიაში.

**- თქვენი პარტნიორია არგენტინელი ხუან სებასტიან ვერონი. როგორ შეეწყო ის გუნდს?**

- ის ჩვენი გუნდისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და შესანიშნავად წარმოაჩინა თავი. ღირს თუნდაც იმის ხილვა, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევენ მეტოქეები მინდორზე ვერონის მოქმედებებს. ის ჩვენი გამთამაშებელია, მუდმივად ბურთისთვის იბრძვის და შეტევების ორგანიზებას ახორციელებს.

**- "ინტერს" 1989 წლის შემდეგ იტალიის ჩემპიონატი არ მოუგია, ხოლო ევროპული თასი - 1998 წლის შემდეგ. ზეწოლას გრძნობთ?**

- ნებისმიერი ფეხბურთელი, ვინც "ინტერში" მოდის, ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი ჯილდო მოიგოს. ჩვენ დიდი ხანია არაფერი მოგვიგია, ამიტომ გადამწყვეტ მომენტებში დიდ ზეწოლას ვგრძნობთ. გვსურს ამ გრძნობისგან გავთავისუფლდეთ და, ბოლოს და ბოლოს, წარმატება მოვიპოვოთ.

**- მართალია, წელს თამაშებს არ აგებთ, მაგრამ ჩემპიონატის ლიდერს 11 ქულით ჩამორჩებით. როგორც ჩანს, წარმატების შანსი ჩემპიონთა ლიგაში უფრო მეტი გაქვთ.**

- მხოლოდ 16 საუკეთესო გუნდია დარჩენილი და ჩვენ მათ შორის პირველი ადგილი უნდა დავი-

ინფოთეკა

### სალგადოს 20 წლის ფეხბურთელი შეცვლის

მადრიდის "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგუმ განაცხადა, რომ ტრავმირებული მიგელ სალგადოს შემცვლელად მზადაა სათადარიგო გუნდის მცველი მიგელ პალენსია გამოიძახოს.

### "ევერტონი" რუნის გამო სპონსორს დაემშვიდობა

გასულ კვირას ინგლისის თასის "მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ მატჩამდე მომხდარი ინციდენტის გამო ინგლისური კლუბის "ევერტონის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, უარი თქვას ერთ-ერთი თავისი სპონსორის ინვესტიციებზე. ვარჯიშის შემდეგ გასახდელისკენ მიმავალ "ევერტონის" ყოფილსა და "მანჩესტერ იუნაიტედის" ამჟამინდელ ფეხბურთელს უეინ რუნის შეურაცხყოფა მიაყენეს კომპანია "Ellesmere Port Motor Auctions"-ის ორმა წარმომადგენელმა.

"ეს კომპანია ჩვენი სპონსორი აღარ იქნება. მისმა ორი წარმომადგენელმა გაუგონარი საქციელი ჩაიდინა. რუნის მიმართ წარმოთქმული სიტყვები პროვოკაციული და აგრესიული იყო. საუბედუროდ, ინციდენტი ტელევიზიით მილიონობით ადამიანმა ნახა. ამ ინციდენტმა "ევერტონს" რეპუტაცია შეულახა," - განაცხადა კლუბის დირექტორმა.

### "მანჩესტერ იუნაიტედმა" 16 წლის მეკარე შეიძინა

ინგლისურმა კლუბმა "მანჩესტერ იუნაიტედმა" კონტრაქტი გააფორმა 16 წლის გერმანელ მეკარესთან რონ-რობერტ ცილერთან. შეთანხმება, რომელზეც ჯერ კიდევ სამი წლის წინათ იყო საუბარი, სამ წელს ითვალისწინებს. ინგლისელი სკაუტების თქმით, პერსპექტივით, ტალანტითა და პროფესიონალიზმით ცილერი თავისი ასაკის მეკარეებს შორის საუკეთესოა მთელ ევროპაში.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV-სპორტი

### ორშაბათი. 28 თებერვალი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" - "სიენა"
14:10 გერმანიის ჩემპიონატი. "შალკე" - "ჰანოვერი"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 ინგლისის ჩემპიონატი. "ნიუკასლი" - "ბოლტონი"
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. "ვალენსია" - "ბეტისი"
19:45 საფეხბურთო უიკ-ენდი
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
20:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:40 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:40 პორტუგალიის ჩემპიონატი. "პორტუ" - "ბენფიკა". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 16:00, 19:00, 21:15 პრესცენტრი
10:20, 21:30 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
11:15 "სპორტული გლობუსი" - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
11:45 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
13:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპები ჩინეთსა და იაპონიაში
14:00 მოტოტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი სანკტ პეტერბურგში
16:15 "რკინის ფაქტორი" - ტელეჟურნალი
16:45 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2000 წელი. ნახევარფინალი. "PHILADELPHIA FLYERS" - "NEW JERSEY DEVILS"
19:15 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. მიგელ კოტო - დემარკუს კორლი
21:35 სახვალიო ტელეპროგრამა
21:40 ჩოგბურთი. "დევისის თასი ახალი სეზონის წინ". 2002 წლის ფინალი. საფრანგეთი - რუსეთი. პოლ-ანრი მატიე - მარატ საფინი. შესვენებებისას (23:00) - ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში (00:15) - ახალი ამბები

**EUROSPORT**
10:30 მულტისპორტი - იტალია-2006
10:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. 50კმ. ვაჟები
11:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
13:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
14:30 მძლეონობა. საერთაშორისო ასპარეზობა დონეცკში, უკრაინა
15:00 მძლეოსნობა. საფრანგეთის დიდი პრიზი
16:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
19:30 ფეხბურთი - ევროგოლები
20:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
21:00 სუმო. ასპარეზობა იაპონიიდან
22:00 მებრძოლთა კლუბი
00:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
01:30 ფეხბურთი - ევროგოლები

რაგბი

# გაკვეთილი

საქართველო - უკრაინა 65:0

პაატა თოთაძე

**ევროპის ერთა თასი**

**საქართველო:** სუჯაშვილი (ჯაველიძე), გიორგაძე, ზერაქაშვილი (კოპალიანი), გორგოძე, ზედგინიძე (დათუნაშვილი), კაცაძე (მაისურაძე), ურუშაძე, უდესიანი, აბუსერიძე (კაჭარავა), ბარკალაია, მაჩხანელი, ფირფილაშვილი, ზიბზიბაძე, გუგავა (ხაჩირაშვილი), ხამაშურიძე (კიკნაძე)

**11 ლელო** - გუგავა, ზერაქაშვილი, ურუშაძე (2), გიორგაძე, კაცაძე, მაისურაძე, გორგოძე, ზიბზიბაძე (2), კიკნაძე

**5 გარდასახვა** - ბარკალაია (2), კიკნაძე (3)

**უკრაინა:** პოლიანსკი (ციბალო), კრასნოშჩოკი (ლევიჩევი), ბუზელა, მელნიკოვი, კოშელა (ტიტოვი), კურეზა (ფედიშინი), მარტიროსიანი, ზადვირნი, კრავჩენკო (მაკსიუკი), ბილმოვიჩი (კოლიშკინი), მონასტიროვი, პერეგუდა (ჩერედნიჩენკო), პოლოსენკო, კვასნიცა, ტიშჩენკო



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

"ბორჯღალოსნებმა" უკრაინას აჩვენეს რას ნიშნავს მაღალ დონეზე თამაში.

მარტო უკრაინელთათვის როდი იყო ეს გაკვეთილი. ჩვენთვისაც იყო რუმინელებთან მატჩის წინ. ასე თუ ისე, გამოჩნდა, რა ვიცით და რა - არა. ძნელია ილაპარაკო ხარვეზებზე, როცა მეტოქეს ასეთი სხვაობით ამარცხებ. არადა, ისინი უხვად იყო ქართველთა თამაშში. ეს ის ხარვეზებია, რომელმაც შეიძლება რუმინეთთან წაგვაგებინოს. ორ კვირაში მეტად მნიშვნელოვანი მატჩი გველის. მშვენიერია, როცა ასეთი სხვაობით ამარცხებ მეტოქეს. ტურნირის ბოლოს ქულების დათვლას რომ დაიწყებენ, ერთ-ერთი საუკეთესონი ვიქნებით. მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ კარგად ვერ ვბურთაობთ? ეს გუშინწინდელმა მატჩმაც ნათლად დაგვანახა. ჰოდა, თუ ამას არ გამოვასწორებთ რა მნიშვნელობა აქვს, უკრაინას 65 ქულით დავამარცხებთ თუ 165-ით.

სისწრაფეშიც არ გვაქვს საქმე კარგად. უკრაინელებთან შედარებით თითქოს არა გვიშავს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. პირველ ტაიმში მეტოქემ, ასე თუ ისე, გაგვიწია წინააღმდეგობა - მხოლოდ ოთხი ლელო გაუშვა, თანაც, თავადაც მიეცა შესაძლებლობა, ორი ლელო გაეტანა. ჯერ პოლოსენკომ ჩაგვიჭრა ბურთი და, ზიბზიბაძე რომ არა, ანგარიშს სტუმრები გახსნიდნენ, მერე კი ბილმოვიჩი გაექცა რამდენიმე ქართველს, ხამაშურიძესაც თავზე გადაუგო ბურთი, მაგრამ სტუმარი წესების დარღვევით გააჩერეს. ჯარიმის გატანის თავი კი არავის ჰქონდა. პოლოსენკომ ჯარიმა ააცილა და ზედ ორი არეკნიც მიაყოლა. მერე დამრტყმელის ფუნქცია ბილმოვიჩმა იკისრა, თუმცა, ტყუილად.

საქმეები არც ჩვენს დამრტყმელს წაუვიდა კარგად - 7 შესაძლებლობიდან ბარკალაიამ მხოლოდ 2 გარდასახვა გაიტანა. ეს მოვალეობა შედარებით უკეთ შეასრულა კიკნაძემ (მხოლოდ ერთხელ შეცდა).

მარცხის მიუხედავად უკრაინელები მთლად უკმაყოფილონი არ იყვნენ. "დღეს ჩვენმა გუნდმა დიდი გაკვეთილი მიიღო. საქართველოს ნაკრები მაღალი კლასის ძლიერი გუნდია, რომელთან თამაშისას გამოცდილებას იღებ. დღეს ჩემმა ბიჭებმა გაიგეს, რას ნიშნავს დაუდგე "კატოკს". ყველაფერთან ერთად, დღეს ექვსმა მორაგბემ პირველად ჩაიცვა ნაკრების მაისურა. ვერც შეკრება მოვახერხეთ, რამდენიმე მოთამაშეს მხოლოდ თვითმფრინავში შევხვდი. პირველი წუთების მიხედვით ვერ ვიტყოდი, რომ ასეთი სხვაობით დავმარცხდებოდით, მაგრამ მატჩის ბოლოს არაქათი გამოგველია და ლელოებიც ბლომად გავუშვით. დიდი მადლობა საქართველოს ნაკრებს, რომ არ გაჩერდა და გაკვეთილი ბოლომდე ჩაგვიტარა", - მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა უკრაინელთა თავკაცმა ვლადიმირ მუხამ.

ჩვენს მწვრთნელების თქმით, გუნდის თამაშით უკმაყოფილონი არიან და რუმინეთთან მატჩისთვის უკეთ უნდა მოემზადონ. სხვათა შორის, როგორც ცნობილია, რუმინეთთან მატჩისთვის ეროვნულ გუნდს შესაძლოა რამდენიმე წამყვანი მორაგბე დაუბრუნდეს.

შაბათსვე გაიმართა დარჩენილი ორი მატჩიც - რუმინეთმა, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთი დაამარცხა (33:10), პორტუგალიამ კი ჩეხეთს სძლია (19:13).

**სატურნირო მდგომარეობა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 3 | 0 | 0 | 73-33 | 9 |
| რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 71-24 | 6 |
| საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | 106-33 | 6 |
| რუსეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 25-60 | 0 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 27-57 | 0 |
| უკრაინა | 2 | 0 | 0 | 2 | 6-101 | 0 |

ქველმოქმედება

# მისიით ბავშვებთან

ბიბა ბურასაშვილი

*მათე, ბიჭო, ნახე რა "გრუშა" მოგვიტანა გიორგი ასანიძემ. "გრუშაც", ხელთათმანებიც, წინდები, ბურთები - ფეხბურთისაც და კალათბურთისაც, ჭადრაკის დაფები; ორცხობილა, "კოკა-კოლა", კამფეტები, საღეჭი რეზინებიც კი... ვოქმენებზე მხოლოდ გოგონებმა განაცხადეს პრეტენზია. ბიჭები არც შესცილებიან.*

შაბათს თბილისის ნომერ პირველ საბავშვო სახლს მერიის სპორტის სამსახურის თაოსნობით ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები გიორგი ასანიძე, ზურაბ ზვიადაური და ვერცხლის პრიზიორი ნესტორ ხერგიანი ეწვივნენ. მათთან ერთად იყო ვეტერანი ძალოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი რაფაელ ჩიმიშკიანი.

პირველი ემოციური წუთების შემდეგ ბიბლიოთეკაში შეგვიპატიჟეს და დაიწყო საჩუქრების დარიგება. ხერგიანი "კოკა-კოლას" არიგებდა, ასანიძე და ზვიადაური ბურთებს ბერავდნენ, ჩიმიშკიანთან წინდების მსურველთა რიგი დადგა. მერე მერიის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი უდესიანმა გამოაცხადა, ვისაც მინირადიო და ვოქმენი გინდათ, აქეთ მოდითო და უმალ გოგონების გარემოცვაში მოექცა.

სპორტის საქალაქო სამსახურის შაბათის აქცია პირველი როდი გახლდათ. ამავე მისიით ისინი ადრე სხვა საბავშო სახლებსაც ეწვივნენ. როგორც თქვეს, ასეთი აქციები კიდევ გაგრძელდება.

და კიდევ: გუშინ ოლიმპიურ ჩემპიონს ზურაბ ზვიადაურს ქორწილი ჰქონდა.

სათხილამურო სპორტი

# ალპური კაპრიზი

ბიბა ბურასაშვილი

*სამი დღის განმავლობაში იტალიასა და სლოვენიაში სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის ხუთი ეტაპი გათამაშდა. ქალებმა ოლიმპიური თამაშების ტრასა საქმეში ნახეს. მაგრამ, როგორც ჩანს, მაინცდამაინც მოხიბლულნი არ დარჩნენ. მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ სან სიკარიოს "ფრაიტევე ოლიმპიკის" ტრასა ძალზე მარტივია სპორტსმენის რეალური შესაძლებლობების წარმოსაჩენადო. მათგან განსხვავებით, ვაჟებს საწუწუნო არაფერი აქვთ. სლოვენიის კრანსკა გორაში ორი ეტაპი დაასრულეს და ნორვეგიის კვიტფიელის ტრასების ვირტუალურად დამუშავებას შეუდგნენ, სადაც 5-6 მარტს გაიმართება შეჯიბრება.*



კოსტელიჩმა მოსაგებად გუშინ მოიცალა.

ქალთა ასპარეზობა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მსოფლიო თასის გათამაშებათა საერთო ჩათვლის ლიდერებმა შვედმა ანია პერსონმა და ხორვატმა იანიცა კოსტელიჩმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართეს. მათ ჩემპიონობა არავის დაანებეს და გათამაშებული ხუთი ინდივიდუალური "ოქრო" ერთმანეთს შორის გაიყვეს: სამს კოსტელიჩი დაეუფლა, ორს - პერსონი. მათ შორის დუელი სან სიკარიოს ფერდობებზეც გაგრძელდა. სკანდინავიელმა ხორვატზე ერთგვარი რევანში აიღო. მართალია, მსოფლიო თასი რანგით მსოფლიო ჩემპიონატი არაა, მაგრამ ბევრითაც არ ჩამორჩება. უბრალოდ, სხვაგვარად იწოდება, თორემ ზეპური

ანია პერსონი პირველობის მოსაპოვებლად პარასკევს, სუპერგიგანტში შეუდგა საქმეს. ისევე როგორც მსოფლიო ჩემპიონატზე, აქაც საუკეთესო შედეგი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ სანქტა კატერინაში ჩემპიონი გახდა, ამ დისციპლინაში პირველობა მისთვის სამსოფლიოთასო კარიერის პირველი წარმატება იყო!

რაც შეეხება მეორე-მესამე ადგილებს, აქ ერთბაშად სამი პრიზიორი გამოვლინდა. მესამე ადგილის დასაკავებლად ერთნაირი შედეგები აღმოაჩნდათ სლოვენიელ ტინა მაზესა და ტრასით უკმაყოფილო ავსტრიელ მიხაელა დორფმაისტერს. კერძოდ, დორფმაისტერს ტურინის ოლიმპიური თამაშებისთვის განკუთვნილი სუპერგიგანტის ტრასა იოლად მახლობლად გადაიტანთ, სადაც ბევრად უფრო მკაცრი ტრასააო. მოგვიანებით დორფმაისტერს სხვებმაც აუბეს მხარი.

რა თქმა უნდა, მათი უკმაყოფილება მასპინძლებს არ გამორჩენიათ და მალევე ტრასის - "ფრაიტევე ოლიმპიკის" დირექტორის ჯანი პონკეტის კომენტარიც მოყვა. ჯერ ის, რომ დორფმაისტერის კრიტიკა უსაფუძვლოა და ტრასის ავკარგიანობაზე შედეგები მეტყველებსო. მეორეც ის, რომ...

"მსოფლიოს მოწინავე მოთხილამურეთაგან რვა ათეულში მოხვდა. ესაა კარგი, ტექნიკურად მომთხოვნი მარშრუტი და, იმავდროულად, მსოფლიო თასის ეტაპებს შორის უგრძესი (2358 მეტრი).

თუ გინდოდათ, რომ ტრასა ტექნიკურად უფრო მომთხოვნი ყოფი-

სხვათა შორის, მოთხილამურეებმა ამგვარი მოთხოვნით ლილეჰამერის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებიც აიძულეს, დაშვებისა და სუპერგიგანტისთვის წინასწარ დათქმული ასპარეზი სხვაგან გადაეტანათ.

მეორეზე ადგილზე გავიდა იტალიის ნაკრების ყველაზე გამოცდილი მოთხილამურე იზოლდა კოსტნერი, რომლისთვისაც სუპერგიგანტური მეორე ადგილი 2002 წლის მარტის შემდეგ საუკეთესო შედეგი ყოფილა. იანიცა კოსტელიჩმა კი მეხუთე შედეგით დაამთავრა ასპარეზობა, თუმცა, თავისი სიტყვა მოგვიანებით - გუშინ მაინც თქვა. მანამდე შვედმა და ხორვატმა კიდევ ერთი დუელი გამართეს, მაგრამ პერსონის დამმარცხებელი არც შაბათის

ვარი და დისციპლინაში მსოფლიო ჩემპიონია, რბოლა მეორემ დაამთავრა. მესამეზე ადგილზე გერმანელი ჰილდე გერგი გავიდა.

ასპარეზობის დაწყებამდე კოსტელიჩი სწორედ შვედთან ორთაბრძოლას წინასწარმეტყველებდა.

მათი დუელი გუშინაც გაგრძელდა. შვედმა და ხორვატმა ამჯერად კომბინაციაში გაითამაშეს როქი.

სლალომში, დაშვებასა და კომბინაციაში მსოფლიო ტიტულების მფლობელმა კოსტელიჩმა გუშინ დაშვებაში მოიპოვა უპირატესობა (კომბინაცია ორი დაშვებისა და ერთი სლალომისგან შედგება.- რედ.) და წარმატებული სვლა სლალომშიც გააგრძელა.

ერთი სიტყვით, გუშინდელი დღე კოსტელიჩის იყო, რომელმაც მეორე ადგილზე გამწესებულ სკანდინავიელთან საერთო ჩათვლაში 63 ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა. ბევრისთვის მოულოდნელად, მესამე ადგილი კანადელ ემილი ბრიდონს დარჩა. მოულოდნელად იმიტომ, რომ სლალომში ჩრდილოამერიკელი მოიკოჭლებს - ყველაზე ტექნიკურ დისციპლინაში სამსოფლიოთასო კარიერაში ერთადერთხელ შეძლო რბოლის დასრულება და ისიც 24-ე ადგილზე. მესამე ადგილი კი იმის წყალობაა, რომ ჩქაროსნული დისციპლინები უკეთ გამოსდის. დაწინაურებაზე გავლენა იქონია საწყის დისციპლინაში დაკავებულმა მეხუთე ადგილმა.

ვაჟებზე ბევრი არაფერია სათქმელი. ამიტომ მხოლოდ ტექნიკური შედეგებით დავკმაყოფილდეთ.

**გიგანტური სლალომი**

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია)
2. ჰერმან მაიერი (ავსტრია)
3. კალე პალანდერი (ფინეთი)

**სლალომი**



ნინო ტიკარაძე

## ექიმებიც იხდიან

გამარჯვებით გახარებული ფეხბურთელები მრავალ არაადეკვატურ საქციელთან ერთად, მოედანზე გახდასაც რომ იწყებენ, ამაზე ადრე გესაუბრეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სტრიპტიზი არც ფეხბურთელთა ექიმებისთვის ყოფილა უცხო.

ამჯერად მინდა ერთი-ორი სიტყვა გითხრათ იტალიური კლუბის "მილანის" ექიმის არმანდო გოძინის საქციელზე, რომელიც მას დაპატიმრების ფასად დაუჯდა.

ინციდენტი ჩრდილოეთ ინგლისის სასტუმრო "სოლფორდში" მოხდა. სასტუმროს დაცვის თქმით, "მილანელთა" ექიმს მაშინ "ჩაავლეს", როდესაც დამლაგებლის წინაშე იხდიდა. სტრიპტიზში ხელი შეუშალეს, გამოიძახეს პოლიცია, რომელმაც "მოძალადე" (თუმცა, ძალადობა იქ არავის დაუნახავს) განყოფილებაში მიაბრძანეს.

მას ელოდება სასამართლო პროცესი, სადაც უღირსი საქციელის გამო თავის მართლება მოუწევს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ექიმი ადვილად ვერ დაიძვრენს თავს.

აქვე ქომაგებიც გამოჩნდნენ. "მილანის" ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: "ექიმი გოძინი მაღალი პროფესიული და მორალური ღირსებების მქონე ადამიანია. "მილანს" წარმოუდგენლად მიაჩნია, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა ის, რასაც აბრალებენ. კლუბს იმედი აქვს, რომ სიმართლე მალე გაირკვევა".

მოგეხსენებათ, მილანელები ლონდონს გასართობად კი არა, არამედ საქმიანი ვიზიტით ესტუმრნენ. ოთხშაბათს "ოლდ ტრაფორდზე" გამართულ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩში მანჩესტერელები დაამარცხეს (0:1). ამიტომაც გაუჩნდა გამარჯვებულ გუნდს ეჭვი, რომ ექიმთან დაკავშირებული ინციდენტი გამწარებული ინგლისელების მიერ დაგებული მახე უნდა იყოს.

თუმცა, შეიძლება არც იყოს. იქნებ ადამიანი ტანსაცმელმა შეაწუხა და გახდა დაიწყო, ბოროტი ზრახვა კი გულშიც არ გაევლო. ამისთვის უნდა დასაჯონ?

## საიდუმლო გამჟღავნდა

როგორც იქნა, "რომას" თავდამსხმელმა ფრანჩესკო ტოტიმ და მისმა საცოლემ ილარი ბლასიმ ქორწინების დღე ამცნეს საზოგადოებას და მანაც შვებით ამოისუნთქა.

ბოლო წუთამდე წყვილი საგულდაგულოდ მალავდა თარიღს, რომელიც თურმე 25 ივნისი ყოფილა.

თარიღი გაამხილეს. ახლა ქორწილის დეტალების გასაიდუმლოებაზე მიდგა ჯერი, მაგრამ რაღაც-რაღაცები მაინც გახდა ცნობილი. მაგალითად, ის, რომ ტოტი ორი წვეულების მოწყობას აპირებს: ერთი ნათესავებისა და ახლო მეგობრებისთვის, მეორე კი ყველა ნაცნობისა და სტუმრისთვის. ცერემონია სანტა მარიას ეკლესიაში გაიმართება. ქორწილის დღე ტოტიმ დანიშნა, ილარიმ კი ეკლესია შეარჩია.

გაგრძელება იქნება...

## რუნიმ მხეცი გააღვიძა

ფეხბურთის გულშემატკივრების მხრიდან აურზაურის ატეხვა არავისთვის არ უნდა იყოს ახალი ამბავი. ალბათ არც ის გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ამ მხრივ ინგლისელებს ბადალი არ ჰყავთ. არ მოეწონებათ ანგარიში და დაერევიან მოწინააღმდეგეებს, ხანდახან ერთმანეთსაც, ხან კი პოლიციელებსაც.

"ევერტონისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" მატჩის (0:2) შემდეგ ლივერპულის პოლიციასა და გულშემატკივრებს შორის დიდი შეხლა-შემოხლა გაიმართა. საბოლოოდ ხუთი ოფიცერი დაშავდა. აქედან ერთი, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი, საავადმყოფოში მოათავსეს, 33 გულშემატკივარი კი პირდაპირ განყოფილების გზას გაუყენეს.

არეულობა მატჩის მსვლელობისას დაიწყო - "ევერტონის" გულშემატკივრები ჯერ კიდევ ტრიბუნებზე გაავდნენ. მოედანზე სხვადასხვა საგანს ისროდნენ. გაურკვეველი წარმოშობის ნივთმა, ზოგიერთი ვერსიით, მობილურმა ტელეფონმა, თავი გაუტეხა "მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარეს როი კეროლს.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია დღემდე დაეძებს წარმატებულ მტყორცნელს. თუმცა, არა მგონია, ეს ასეთი ადვილი იყოს.

როგორც ამბობენ, ევერტონელების აგრესია გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ გასულ ზაფხულს "ევერტონიდან" "წითელი ეშმაკების" რიგებში გადასული უეინ რუნი "გუდისონ პარკის" სტადიონზე პირველ მატჩს ატარებდა არა მასპინძლის, არამედ სტუმრის რანგში. რუნის მეტოქედ ხილვამ მისი აწ უკვე ყოფილი გულშემატკივრების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ფეხბურთელზე გაბრაზებულებმა, მთელ გუნდსა და მის გულშემატკივრებზე მიიტანეს იერიში.

დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობა საგონებელში ჩააგდო მნიშვნელოვანი მატჩების დროს ხულიგნების გამოხდომებმა. ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის, როცა ინგლისელები საკუთარ ემოციებს ველარ აკონტროლებენ. ხანდახან სიტუაცია იმდენად უმართავი ხდება, რომ პოლიცის მთელი რაზმიც კი უძლურია გააფთრებული ბრბოს წინააღმდეგ.

სპორტის მინისტრმა რიჩარდ კაბორნმა გადაწყვიტა, რომ გამოსავალი შეხვედრების გაცილებით უფრო ადრე დაწყება იქნება.

"უნდა გადავხედოთ ასეთი მატჩების დაწყების დროს. ალბათ, ისინი 17:30 არ უნდა ჩავატაროთ", - აღნიშნა მინისტრმა.

დროის აწევ-დაწევა უშველის სისხლაჩქროლებულ გულშემატკივრებს?

## SOS: "ფულჰემის" სტადიონი მოჯადოებული ყოფილა, არ მიეკაროთ!

წარმატების მოტანა მხოლოდ ფიზიკურ მზადყოფნას არ შესძლებია. რიტუალებსაც დიდი ძალა ჰქონია. ჩაატარებ რიტუალს ყველა წესის დაცვით და გადაიდე ფეხი ფეხზე, წარმატება თავისით მოვა. ბურთი დარტყმის გარეშეც შეიძლება შეგორდეს მეტოქის კარში.

ასე დაემართა ინგლისურ კლუბს "ფულჰემს". არა, ბურთი თავისით არ შეგორებულა, თუმცა, პრემიერ-ლიგაში მისი მდგომარეობა ნამდვილად წინ წაიწია. და ვისი დამსახურებაა ეს? კლუბის სენეგალელი ფეხბურთელის დიუპის, რომელმაც "ფულჰემს" სტადიონზე ვუდუს რიტუალი "ჯუჯუ" ჩაატარა. ის დღე იყო და ის დღე, გუნდს, როგორც იტყვიან, "ბედი გაეხნა" (ეს ჩემი კი არა, კლუბის წევრების აზრია).

"ჩემს ქვეყანაში მაგია ჩვეულებრივი ამბავია. მას მიჩვეული ვარ. "ფულჰემისთვის" რიტუალი ჩავატარე. წაგებას დავიწყებთ და პროცედურას გავიმეორებ," - განაცხადა ფეხბურთელმა.

სხვათა შორის, ეს რიტუალი სენეგალის ეროვნულ ნაკრებსაც ჩაუტარდა. ფრანგები "შეაჩვენეს". შედეგად 2002 წლის ევროპის ჩემპიონატის გახსნისას სენეგალმა მოწინააღმდეგეს მინიმალური ანგარიშით (1:0) სძლია.

ახლაც არ გჯერათ?

## რონალდო კუდამდე გაატყავეს

რიო-დე-ჟანეიროს პრესტიჟულ რაიონში ქურდობა მოხდა. ვინ გაქურდეს და დიდი ბრაზილიელი ფეხბურთელის მამა ნელიო ნაზარიო. უფრო სწორად, მამამისის ბინიდან რონალდოს ნივთები წაიღეს: ფეხბურთელის მაისურების კოლექცია (100 ცალი), ოქროულობა, ასევე ჯილდოები, მათ შორის, "ოქროს ბუცი", ასევე რონალდოს ფოტოები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

რაღა დატოვეს?! წასაღები კიდევ იქნებოდა რამე. ალბათ, ვეღარ მოერივნენ.

ახლა არ იკითხავთ, რა დღეშია რონალდოს მამა? მისთვის ამ ნივთებს არა მხოლოდ მატერიალური, არამედ დიდი მორალური ღირებულებაც ჰქონდა: "ეს საშინელებაა. სახლში მოსულს კარი ღია დამხვდა. ყველაფერი თავდაყირა იდგა", - ყვება ნელიო ნაზარიო. მისივე თქმით, მაისურებს შორის რონალდოს პირველი მაისურაც იყო, რომელიც მას ეროვნულ ნაკრებში თამაშის დროს ეცვა.

თავად ფეხბურთელი ინციდენტის დროს საფრანგეთში იყო, სადაც ერთი კვირის წინ დაქორწინდა ბრაზილიელ მოდელ დანიელა ჩიკარელიზე.

მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, მათ ქორწინებას არანაირი ძალა არა აქვს, რადგან ისინი ექსმეუღლეებთან ოფიციალურად განქორწინებულნი არ არიან.

საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
CIVIL SOCIETY INSTITUTE

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

რუბრიკა შეიქმნა "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" პროექტის "სამოქალაქო საზოგადოება კანონშემოქმედებით პროცესში" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან და გაზეთ "24 საათთან" თანამშრომლობით.

"სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი" აგრძელებს საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზაზე მუშაობას. დღეს გთავაზობთ დამოუკიდებელი ექსპერტის მოსაზრებებს ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში საქართველოს პარლამენტში განსახილველ ზოგიერთ კანონპროექტზე. სტატიის ავტორია იურისტი ზურაბ ეზუგბაია.

**დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ მოგვმართოთ: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი; ტელ: 94 16 05; 33 04 17; ელ-ფოსტა: law@civilin.org**

# სიახლეები ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების სფეროში

ზურაბ ეზუგბაია

დღევანდელი სტატიის განხილვის საგანს წარმოადგენს საქართველოს კანონების პროექტები "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" და "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე", რომელთა ავტორი და ინიციატორი საქართველოს პარლამენტის წევრი გ. ბოკერიაა.

საერთოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა უკანასკნელ ათწლედში არაერთგზის გამხდარა გადასინჯვისა და რეფორმის ობიექტი. ეს სავსებით გასაგებიცაა, ვინაიდან საბჭოური წარსული მქონე "ახალგაზრდა დემოკარტიის" სახელმწიფოში, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ტრადიცია და პრაქტიკა საერთოდ არ არსებულა XX საუკუნის უდიდესი ნაწილის განმავლობაში, საჯარო ხელისუფლებისა და დემოკრატიული წყობილების ხსენებული უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის დამკვიდრება თავისთავად განაპირობებს მისი ინტენსიური განვითარებისა და სწრაფადცვალებად პირობებში ადაპტაციის აუცილებლობას. ამასთან, უკვე განხორციელებული რეფორმების არადამაკმაყოფილებელი შედეგები და რეფორმების მიმართულებების დიამეტრალური ცვალებადობა ცხადყოფს შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებასაც.

წარმოდგენილი კანონპროექტი **"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე"** მიზნად ისახავს შემდეგი არსებითი ამოცანების გადაწყვეტას:

- ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის - გამგებელი/მერის პირდაპირი წესით მოსახლეობის მიერ არჩევითობის შეცვლა საკრებულოს მიერ მისი არჩევის ინსტიტუტით. ასეთი ცვლილება გამოიწვევს თვითმმართველ ერთეულებში ერთმმართველობის საწყისების შესუსტებასა და საკრებულოს პასუხისმგებლობის ამაღლება აღმასრულებელი ორგანოების მიერ წარმოებულ საქმიანობაზე, მის ეფექტიანობაზე. ასევე დაზოგილი იქნება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სახსრები, რომლებიც გამგებლებისა და მერების პირდაპირი საარჩევნო პროცესის უზრუნველსაყოფად იხარჯებოდა;

- გამგებელი/მერისთვის საკრებულოს მხრიდან უნდობლობის გამოცხადების პროცესში სამოტივაციო საფუძვლებით შეზღუდვის (უნდობლობის გამოცხადების საფუძვლები) გაუქმება. საქმე ისაა, რომ მოქმედი კანონმდებლობით უნდობლობის გამოსაცხადებლად აუცილებელია დაფიქსირდეს აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის მხრიდან ისეთი ქმედების ჩადენა, როგორიცაა, მაგალითად, კონსტიტუციის დარღვევა ან სახელმწიფოს ღალატი. შედეგად, ერთი მხრივ, უნდობლობის გამოცხადების მოტივირება ხშირად უაღრესად რთული და სადაო ხდებოდა, მეორე მხრივ კი, საკრებულო აბსოლუტურად მოკლებული იყო საკუთარი აღმასრულებელი შტოს მუშაობის თავისუფალი შეფასების შესაძლებლობას. ამრიგად, შემოთავაზებული ცვლილებების მიღების შემთხვევაში თვითმმართველ ერთეულებში მოსალოდნელი იქნება წარმომადგენლობითი კონტროლის (საკრებულოების მხრიდან აღმასრულებელ შტოზე კონტროლის) საგრძნობი ზრდა;

- გამგებლის/მერის თანამდებობიდან უპირობო გადაყენება ბიუჯეტის ორჯერ ზედიზედ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში. ეს ცვლილება ერთდროულად ორი ამოცანის გადაწყვეტის [...] გენილი წესით მოამზადოს ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რაც ხელს უწყობს თვითმმართველ ერთეულში საბიუჯეტო პროცესის კანონიერებისა და მნიშვნელობის ამაღლებას; ამასთან ერთად, აუცილებელი იქნება ბიუჯეტის პროექტში საკრებულოს შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინება, რაც საზოგადოებრივ ღირებულებას მატებს ადგილობრივ ბიუჯეტს, ამყარებს ბიუჯეტის მიმართ ადგილობრივი საზოგადოების ნდობას, წარმოქმნის დამატებით შესაძლებლობებს საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალებისთვის და საკრებულოს ორგანოებში ბიუჯეტის პროექტის საჯარო (მოსახლეობის წარმომადგენელთა თანდასწრებით) ქმედითი განხილვისთვის;

- საკრებულოს "ქმედუუნარობის" და მისი გადარჩევის აუცილებლობის კიდევ ერთი შემთხვევის რეგლამენტაცია - საუბარია გამგებლის/მერის 1 თვის ვადაში საკრებულოს მიერ აურჩევლობის შემთხვევაზე. ეს საკრებულოს მაორგანიზებელი ნორმა იქნება, რომელიც გამორიცხავს თვითმმართველ ერთეულში აღმასრულებელი ორგანოების ნორმალური ფუნქციონირების ხანგრძლივ შეფერხებას. ცვლილება ასევე განაპირობებს საკრებულოში გაერთიანებული სხვადასხვა პოლიტიკური თუ ინტერესთა ჯგუფების შეთანხმების მიღწევას გამგებლის/მერის კანდიდატურასთან დაკავშირებით;

- რაიონის დონეზე მართვის ქვედა დონის თითქმის იდენტური ადგილობრივი თვითმმართველობის მოდელის ფორმირება. მოქმედი კანონმდებლობა რაიონის დონეზე ითვალისწინებს მხოლოდ ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტის გამოყენებას, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს ე.წ. ასოცირებული საკრებულო ანუ საკრებულო, რომელიც არ არის პირდაპირ არჩეული მოსახლეობის მიერ, არამედ რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების (სოფლების, დაბების, ქალაქის) საკრებულოთა თავმჯდომარეებისგან შედგება. ასეთი ასოცირებული საკრებულო, ფაქტობრივად, მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციებით არის აღჭურვილი და არაპროპორციულად წარმოადგენს რაიონში მცხოვრები მოქალაქეების ინტერესებს (მაგალითად, ქალაქი, რომელშიც რაიონის მოსახლეობის 1/3 ცხოვრობს, რაიონის საკრებულოში იმდენივე წევრით შეიძლება იყოს წარმოდგენილი, როგორც 100 ამომრჩევლიანი სოფელი).

რაც შეეხება სპეციფიკურ შენიშვნას - კანონპროექტის თანახმად, ქალაქის მერი/გამგებელი უნდობლობის გამოცხადების გარეშე ჩაითვლება გადაყენებულად, თუ ქალაქის საკრებულომ ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცა ადგილობრივი ბიუჯეტი. ვფიქრობ, ამ ნორმის გამოყენებისთვის კანონში ზუსტად უნდა დადგინდეს გამგებლის/მერის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში პირველად და მეორედ წარდგენის ზღვრული ვადები, ასევე ამ ვადების დაუცველობის შედეგები, ვინაიდან დამატებითი რეგლამენტაციის გარეშე, არ არის გამორიცხული, ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში ნაცვლად გამგებლის/მერის გადაყენებისა (ან ამასთან ერთად) მივიღოთ ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვითარება - საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან 2 თვეში ადგილობრივი ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის გამო.

საერთო ჯამში, კანონპროექტში წარმოჩენილია ორი რეფორმაციული მიმართულება:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში სახელისუფლებო სასწორის წარმომადგენლობითი ორგანოების - საკრებულოების სასარგებლოდ გადახრა;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველ- [...] დეს როგორც დემოკრატიული და პროგრესული ხასიათის მქონე. თუმცა, შესაძლებელია დამატებით მსჯელობად ღირდეს შემდეგი, სავარაუდო, ნეგატიური შედეგებიც:

- არ არის გამორიცხული, რომ საკრებულოს ინსტიტუტი, გარკვეულწილად, მოუმზადებელი აღმოჩნდეს აღმასრულებელი შტოს ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე ასაღებად. ზოგიერთ თვითმმართველ ერთეულში ამას შეიძლება მოყვეს მერისა თუ გამგებლის უაპელაციო და ხშირი გადარჩევა, რითაც ზიანი მიადგება არამარტო აღმასრულებელი ორგანოების მუშაობის სტაბილურობასა და ეფექტიანობას, არამედ საკუთრივ წარმომადგენლობითი ორგანოებისადმი საზოგადოებრივ ნდობასაც;

- რაიონულ დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობის სრულფასოვანი განხორციელება თავისთავად პოზიტიური მოვლენაა, მაგრამ თუ რაიონის თვითმმართველობა მიმართავს ქვედა დონის თვითმმართველობათა ტოტალური კოორდინაციის მეთოდიკას, ასეთი იერარქიული პირამიდა წინააღმდეგობაში მოვა ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნდამენტურ პრინციპთან - ყოველი თვითმმართველი ერთეულის დამოუკიდებლობასთან;

- დაფიქრება ღირს იმაზეც, თუ რამდენად მომზადებულია სახელმწიფო მექანიზმი დღესდღეობით იმისათვის, რომ უარი თქვას სახელმწიფო მმართველობის ბერკეტებით სარგებლობაზე რაიონულ დონეზე. მით უფრო, რომ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულისა და მისი აპარატის სტატუსი და კომპეტენცია, ფაქტობრივად, უცვლელი რჩება.

რაც შეეხება მეორე კანონპროექტს - **"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე"**, მასში წარმოდგენილი ნოვაციების კლასიფიცირება შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

- დედაქალაქის მართვაში სახელმწიფო მმართველობის სისტემის შეცვლა ადგილობრივი თვითმმართველობით. მოქმედი კანონის თანახმად, ქალაქ თბილისის საკრებულო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდ, ხოლო დედაქალაქის მერია - სახელმწიფო მმართველობის დაწესებულებად მიიჩნევა. სახელმწიფო მმართველობასთან ერთად მერიას ევალება ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციების "დამატებით" განხორციელებაც. ასეთი საკანონმდებლო ბაზა ერთგვარ გაორებას იწვევს როგორც ქალაქის მმართველობითი ორგანოების სტატუსში, ისე მათი უფლებამოსილების არეალშიც;

- ქალაქ თბილისის მთავრობის პრემიერის ინსტიტუტის გაუქმება. დღესდღეობით, დედაქალაქის მმართველობითო ორგანოების სისტემა საკმაოდ გართულებულია და მრავალი საფეხურისგან შედგება. ამის ნათელი მაგალითია თბილისის მერის - ქალაქის უმაღლესი თანადებობის პირისა და პრემიერის - ქალაქის მთავრობის ხელმძღვანელის ინსტიტუტების თანაარსებობა. ამავე კონტექსტში კანონპროექტით გათვალისწინებულია დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის იერარქიისა და ფორმირების გამარტივება;

- დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებზე საკრებულოს კონტროლისა და გავლენის საგრძნობი გაძლიერება. აღნიშნულის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება თბილისში საქალაქო თვითმმართველობის სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობის დონის ამაღლების ფონზე;

- ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მერიის აპარატის გაყოფა ორ შესაბამის აპარატად, რაც ცალსახად ხელს შეუწყობს საკრებულოსა და მთავრობის მუშაობის უზრუნველმყოფი სამსახურების ფუნქციონირების გაუმ- [...] "ქმედუუნარობის" და მისი გადარჩევის აუცილებლობის კიდევ ერთი შემთხვევის რეგლამენტაცია - საუბარია დედაქალაქის მერის 1 თვის ვადაში საკრებულოს მიერ აურჩევლობის შემთხვევაზე.

- დედაქალაქის მერის თანამდებობიდან უპირობო გადაყენება ქალაქის ბიუჯეტის ორჯერ ზედიზედ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში.

ამ კანონპროექტის მიმართ შესაძლებელია გამოითქვას შემდეგი სპეციფიკური შენიშვნები და წინადადებები:

1. კანონპროექტით შემოთავაზებულია ცვლილება, რომლის თანახმადაც მერი ანგარიშვალდებული ხდება საკრებულოს წინაშე საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის 1/3-ის მოთხოვნის საფუძველზე. აქ დაზუსტებას საჭიროებს, თუ კონკრეტულად რაში მდგომარეობს ანგარიშვალდებულება, როგორი სახის და რა შინაარსის ანგარიში უნდა იქნეს წარდგენილი, საჭიროა თუ არა ამ ანგარიშის უშუალოდ მერის მიერ წარდგენა, რა პერიოდულობით არის შესაძლებელი ანგარიშგება და როგორი რეგლამენტით იქნება მოსმენილი მერის ანგარიში. ამ კითხვებს კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ასეთ ანგარიშვალდებულებასა და საკრებულოს წევრის შეკითხვის (რომელიც შეიძლება მერსაც დაესვას და რომელზეც პასუხის გაცემა სავალდებულოა მოქმედი კანონის თანახმად) ინსტიტუტს შორის კავშირის თუ განსხვავების დაუფიქსირებლობა კანონპროექტში.

2. კანონპროექტით შემოთავაზებულია ქალაქ თბილისის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდის არსებობასთან დაკავშირებული საკითხების რეგლამენტაცია. მიზანშეწონილად გვეჩვენება პროეტშივე განსაზღვრული ყოფილიყო ასეთი სარეზერვო ფონდის მოცულობის გარკვეული პროცენტული ლიმიტი დედაქალაქის ბიუჯეტის საერთო მოცულობასთან მიმართებით.

კანონპროექტში წარმოჩენილია რეფორმების სამი მთავარი ვექტორი:

ა) დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში სახელისუფლებო სასწორის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს სასარგებლოდ გადახრა;

ბ) ქალაქ თბილისის მართვის სისტემაში სახელმწიფო მმართველობის ჩანაცვლება სრული ადგილობრივი თვითმმართველობით;

გ) ქალაქ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის გამარტივება-რაციონალიზაცია.

სამივე ეს ასპექტი დემოკრატიულ ხასიათს ატარებს და ძალზე რთულია უარყოფითად შეფასდეს.

ამასთან, უკანასკნელ პერიოდში აქტიური პოლიტიკური პოლემიკის საგანი გახდა საკითხი იმის თაობაზე უნდა იყოს ქალაქ თბილისის მერი არჩეული დედაქალაქის მოსახლეობისა თუ საკრებულოს მიერ. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში დედაქალაქში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება, სხვა თვითმმართველი ერთეულებისგან განსხვავებით, რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ხშირად, ადგილობრივი თვითმმართველობის თავისუფლება დედაქალაქში ქვედა დონის ჩვეულებრივ თვითმმართველ ერთეულებთან შედარებით უფრო შეზღუდულ და კონტროლირებად ხასიათს ატარებს. ეს ყოველივე იმით აიხსნება, რომ დედაქალაქი, როგორც წესი, ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების ცენტრია, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან საკუთარი კომპეტენციის ფარგლებს გარეთ გასვლას ან დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობას სავალალო შედეგები შესაძლოა მოჰყვეს მთელი სახელმწიფოსთვის. დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგა- [...] ურ-ეკონომიკურ განვითარებას, მისი ურთულესი ინფრასტრუქტურის მართვას და სახელმწიფო ხელისუფლებასთან არაჯანსაღ კონკურენციას (მათ შორის, საკანონმდებლო კონკურენციას) იწვევდეს.

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიაც კი, რომელიც ამ სფეროში საქართველოს მიერ აღიარებულ ძირითად საერთაშორისო კონვენციას წარმოადგენს, არ მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელების არჩევითობას, მით უფრო, პირდაპირ მოსახლეობის მიერ.

თბილისის შემთხვევაში ვითარებას კიდევ უფრო ართულებს დედაქალაქის მაცხოვრებელთა უაღრესად დიდი ხვედრითი წილი ქვეყნის მოსახლეობაში. თბილისის მერის პირდაპირი წესით მოსახლეობის მიერ არჩევის შემთხვევაში, მისი ლეგიტიმაციის მაჩვენებელი საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად მინიმალურად საჭირო ხმების რაოდენობის 50 პროცენტს შეიძლება აღემატებოდეს, რაც, თავისთავად, განაპირობებს დედაქალაქის მერის არამარტო სახელმწიფო დაწესებულებებთან, არამედ საკუთრივ საკრებულოსთან ურთიერთობებში გარკვეული სუბიექტური პრობლემების წარმოქმნის მაღალ ალბათობას. ასეთი მერის მიმართ საკრებულოსა და სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან კანონიერი ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება, სავარაუდოა, რომ გართულებული იყოს.

ჩემი აზრით, საკითხი - უნდა იყოს ქალაქ თბილისის მერი არჩეული დედაქალაქის მოსახლეობისა თუ საკრებულოს მიერ? - ამგვარად საერთოდ არ უნდა ისმებოდეს. მუნიციპალური მართვისთვის საინტერესო იქნებოდა კითხვები - რამდენად დამოუკიდებელი უნდა იყოს მერი საკრებულოსგან?, რამდენად ფართო უნდა იყოს მერის უფლებამოსილებები? როგორი სამართლებრივი მიმართება უნდა ჰქონდეს მერს სახელმწიფო ხელისუფლებასთან? საკითხების ამდაგვარად დასმის შემთხვევაში ნათელი ხდება, რომ თანამედროვე საქართველოში პირველ ყოვლის უნდა გაძლიერდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი რგოლის - საკრებულოების როლი ადგილობრივ მართვაში, ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელია წარმომადგენლობითი დემოკრატიის უმთავრესი ინსტიტუტი. ცხადია ისიც, რომ საკრებულოს უნდა ჰქონდეს საკუთარ აღმასრულებელ ორგანოებზე კონტროლისა და ზედამხედველობის ქმედითი მექანიზმები, მათ შორის აღმასრულებელი დაწესებულებების ფორმირების პროცესში. ვფიქრობ, განხილული კანონპროექტები სწორედ ამ მიზანმიმართებით გამოირჩევიან.

ორივე კანონპროექტის მიმართ შეიძლება დაფიქსირდეს შემდეგი **საერთო ხასიათის შენიშვნები**:

1. მეტი სიცხადე სჭირდება კანონპროექტებში ადგილობრივი მმართველობის, როგორც ინსტიტუტის და არსებული კანონების ერთ-ერთი კომპონენტის სამომავლო ბედს, შემოთავაზებული ცვლილებების ამოქმედების შემდეგ. ეს პრობლემა იმიტომ არის აქტუალური, რომ რაიონულ დონეზე ადგილობრივი მმართველობის ნაცვლად, ხოლო დედაქალაქში ადგილობრივი მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შეხამების სისტემის ნაცვლად გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება. უფრო კონკრეტულად, დასადგენია, იქნება თუ არა ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტი გაუქმებული, თუ იქნება როგორ გადანაწილდება ადგილობრივი მმართველობის კომპეტენცია.

2. კანონპროექტებით იცვლება გამგებლის არჩევის წესი ქალაქებში და დედაქალაქის მერის დანიშვნითობის სისტემა. ცვლილებებში ასახულია სა- [...] პასუხი სხვა დანარჩენ პროცედურულ საკითხებზე, რომელთაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეთ საკრებულოს მიერ გამგებლის/მერის არჩევის პროცესში. მაგალითად, დასაშვებია თუ არა საკრებულოს ერთი და იგივე წევრი მონაწილეობდეს გამგებლის/მერის სხვადასხვა კანდიდატურების დასახელების პროცესში (ანუ მონაწილეობდეს კანდიდატურის ინიციატორ სხვადასხვა 1/3-ში), გამგებლის/მერის რამდენიმე კანდიდატურის დასახელების შემთხვევაში, კენჭი ეყრება ყველა კანდიდატურას, თუ ერთ-ერთი კანდიდატურის მიერ ხმათა საჭირო რაოდენობის მიღების შემდეგ კენჭისყრა აღარ გრძელდება, თუ ორმა ან მეტმა გამგებლის/მერობის კანდიდატმა მიიღო საკრებულოს წევრთა ხმების მინიმალურად საჭირო რაოდენობა, რომელი მათგანი ჩაითვლება არჩეულად.

გამოსავალი აქ შეიძლება რამოდენიმე იყოს - ან კანონში საერთოდ არ უნდა აისახოს გამგებლის/მერის არჩევის პროცედურული საკითხები, ან გამგებლის/მერის არჩევის სრული პროცედურა უნდა იყოს ასახული კანონში, ან უნდა არსებობდეს მკვეთრი მითითება საკრებულოს რეგლამენტში კანონით მოუწესრიგებელი პროცედურული საკითხების რეგლამენტაციის შესაძლებლობაზე.

3. "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" კანონპროექტით შემოთავაზებულია ცვლილება, რომლის შედეგადაც საკრებულოს თავმჯდომარისთვის (გამგებლისთვის) და ქალაქის მერისთვის/გამგებლისთვის უნდობლობის გამოცხადების განსაკუთრებული უფლებამოსილება აღარ იქნება შეზღუდული მოქმედი კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით. უნდობლობის გამოცხადების დღესდღეობით მოქმედი საფუძვლები აბსოლუტურად დაუხვეწავია და ხშირ შემთხვევაში არ აძლევს საკრებულოს საკმარის შესაძლებლობას აღმასრულებელ ორგანოებზე ზეგავლენის მოსახდენად ან მათი საქმიანობის შესაფასებლად. ამასთან, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა დახვეწილი, ზუსტი, სამართლებრივად გამართული ფორმულირებების სახით ჩამოყალიბებულიყო ის შემთხვევები ან/და საფუძვლები, რა დროსაც საკრებულოში დასაშვებია უნდობლობის საკითხის აღძვრა.

თუ მოყვანილი შენიშვნა არ იქნება გაზიარებული, მიზანშეწონილი იქნებოდა კანონპროექტში ასახულიყო ვალდებულება საკრებულოს წევრთა 1/3-ის მიერ უნდობლობის საკითხის აღძვრის თაობაზე წერილობითი მოთხოვნის შედგენისა და ამ მოთხოვნაში უნდობლობის მოტივაციის ფორმულირებისა. ეს ხელს შეუწყობს უნდობლობის გამოცხადების ობიექტურობას და საკრებულოს მთელ შემადენლობას ნათელ წარმოდგენას მისცემს კენჭისყრის (უნდობლობის თაობაზე კენჭისყრის) მოტივაციაზე. ეს უკანასკნელი წინადადება შესაძლებელია აგრეთვე "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" კანონპროექტშიც იქნეს გამოყენებული.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის მოსახლეობასთან დაახლოებისა და ამ ინსტიტუტის საზოგადოებრივი საფუძვლების განმტკიცების მიზნით, კანონპროექტებზე მუშაობის პროცესში შესაძლებელია მსჯელობის საგანი გამხდარიყო საკრებულოს წევრთა არანაკლებ 1/3-თან ერთად, გამგებლის/მერის კანდიდატურის დასახელების უფლების შესაბამის თვითმმართველ ერთეულში მცხოვრები ამომრჩევლების ჯგუფებისთვისაც (მაგალითად, არანაკლებ 10.000 ამომრჩევლის ჯგუფისთვის თბილისში და არანაკლებ 500 ამომრჩევლის ჯგუფისთვის სხვა თვითმმართველ ერთეულებში) მინიჭება.

სახელი ____________

გვარი ____________

ასაკი ____________

სიმაღლე ____________

მისამართი ____________

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____________

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



# გადაცემა სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**გთხოვთ შეავსოთ გარკვევით**
**ბლანკი უფასოა**

[illegible]

**ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გამოსაყენებელი უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## TV პროგრამა

28 თებერვალი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელელიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.15** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.05** პერეკრესტოკი **17.25** ტელელიპუცები **18.30** პატრული **19.00** ქართული ფეხბურთი **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** დოკ. ფილმი "მეორე მსოფლიო ომის საიდუმლო ოპერაციები" **00.00** მხ. ფილმი "მთამსვლელი" (18) (სილვესტერ სტალონე) **02.25** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** აკუსტიკა. 07.00. სტალინის მიერ დაგებული ხაფანგი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** გადაცემა საოჯახო ფოტოები. **12.15** სამხრეთის ანარეკლი. ბურკინა ფასო. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** გარუჯულები. კომედია. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: თალასა. **23.00** გადაცემა. თვალსაზრისი. **02.55** სპორტული აფრიკა. **04.20** მაშველები. ტელესერიალი.

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და დანაშაული" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" -ჩერჩილი **16.30** დოკ. ფილმი "რა ცირკია" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" **19.00** "მედიატორი" **19.30** "გზაჯვარედინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "მთვარის შვილები" **23.00** მრწამსი - ლიტურგია, საგალობელი **23.30** მხ. ფილმი "მე ვარ პელეს ნათლია" (გ) **01.45** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00** ტუწ-ემ **11.30** ვარსკვლავები გვამცნობენ **12.00** საბავ. გადაცემა "ინკოგნიტო" **13.30** ინდ. მხ. ფილმი "სიყვარულის აზარტი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.00** ტუწ-ემ **22.30** საქმე და ეკონომიკა **00.45** მხ. ფილმი "ალბატროსის ფრენა" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** "ავტოგრაფი". ზვიად ზვიადაური. **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** დოკ. ფილმი "პალესტინის სიძველეთა საიდუმლოება" **00.00** მხ. ფილმი "სიყვარულის მსხვერპლი" (18) (ჯოზეფ ვილიამსი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "ზეციური სპილოს დაცემა" **21.45** კონცერტი **22.30** კინოსეანსი "მოლანდება"

### იმედი

**06.55** "იმედის დილა" **07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **11.25, 02.20** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.50** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.40** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.10** "ბი-პი"-ჩვენი პარტნიორი" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯანრი კაშიასთან ერთად

### აჭარა

**08.00** დილის გადაცემა **09.00** კომედია "სპაის უორლდ: ფილმი" **11.30, 14.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.40** მხ. ფილმი "მე იქ ვიქნები" **13.25** მუსიკა **14.50** ბოევიკი "მაგარი ბიჭები" **16.20** მულტფილმი **17.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **17.55** მხ. ფილმი "უკანასკნელი დონი" 1-ლი ნაწ. **19.30** სერიალი "სამი და" **21.05** მხ. ფილმი "სიყვარულის სიმწარე" **23.00** "მოგზაური" **23.30** "სტარტი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** ბოევიკი "მეტრო" **02.30** მუსიკა 2 მარტი

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". Церемония “Оскар-2005”. Прямой эфир. **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Олег Басилашвили в фильме **“ВОКЗАЛ ДЛЯ ДВОИХ”**. **12.20** Джек Леммон в комедии **“В ОТКРЫТОМ МОРЕ”**. Чарли, жиголо пенсионного возраста, по природе заядлый игрок, живет легко и беспечно. Спустив большую сумму на ипподроме и наделав долгов, он приходит к выводу: единственный способ поправить положение - найти очередную богатую и одинокую леди. Чтобы не пускаться в авантюру одному, он уговаривает своего сводного брата Херба отправиться с ним в океанский круиз, уверяя, что самые лучшие путевки достались ему почти бесплатно. В итоге, они оказываются на корабле в маленькой каморке в трюме в должности партнеров по танцам для пожилых дам... **14.20** Док. фильм “Романы Матильды Кшесинской”. **15.20** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2"**. **16.20** "Пять вечеров". Понедельник. **17.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ"**. **18.10** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ"**. Продолжение. **18.40** Сериал **"КЛОН"**. **19.40** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Сериал **“ПОТЕРЯВШИЕ СОЛНЦЕ”**. **23.30** Ночное “Время”. **23.50** Искатели. “Взрыв под Псковом”. **00.20** Док. фильм “Диагноз - маньяк”. **00.50** “Русский экстрим”. **01.20** Ава Гарднер в фильме **“ЗЕМЛЕТРЯСЕНИЕ”**. Инженер-строитель Стюарт Грэфф некоторое время назад разъехался со своей женой Реми: у него роман с очаровательной Дэниз Маршалл, вдовой своего коллеги. Реми умоляет отца Сэма Ройса - начальника Стюарта - употребить все свое влияние, чтобы пресечь эту связь. Но все эти личные драмы меркнут перед лицом страшной катастрофы - землетрясения, которое сотрясает Лос-Анджелес, грозя стереть город с лица земли... **03.30** Что? Где? Когда?. **04.40** “Место действия - Россия”. “Кузнецы своего счастья”.

### НТВ

**06.00** “Сегодня утром”. **09.05** Сериал **“ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: ПОРОЧНАЯ ЖЕНЩИНА”**. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** “Сегодня” **10.20** “Чрезвычайное происшествие”. Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.30** Сериал **“МАНГУСТ”**. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу “Принцип домино”. **17.30** Сериал **“АДВОКАТ: БОЙ БЕЗ ПРАВИЛ”**. Часть 2-я. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **“МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ”**. **20.45** Михаил Пореченков в сериале **“АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5: ТИХИЙ БЕРЕГ”**. Часть 1-я. **22.40** Андрей Кузнецов в сериале **“ЛЮБОВНЫЕ АВАНТЮРЫ”**. **23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **“МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ”**. **01.15** Журнал Лиги чемпионов. **01.45** Дженнифер Билс в фильме **“ТАНЕЦ-ВСПЫШКА”**. Восемнадцатилетняя Александра мечтает стать балериной, но не хватает смелости пройти конкурс в театральную труппу. Ей пытается помочь друг, но Алекс считает, что всего должна добиваться сама. Толчком для нее послужила кончина наставницы - бывшей балерины. Алекс не может обмануть ее веры и должна победить! **03.15** Сериал **“ЗАПАДНОЕ**

## სკანვორდი









1. ცირკის რუსი, საბჭოთა მსახიობი, კლოუნი; 2. არქიპელაგი კაროლინის კუნძულების ჯგუფში; 3. ფილოსოფიური მიმართულება; 4. რაიმე საქმეში ჩადებული წილი; 5. იტალიელი საესტრადო მომღერალი ქალი; 6. ფრთოსანი ცხენი ბერძნულ მითოლოგიაში; 7. მოსკოვის გარეუბანი; 8. სიქხთა რელიგიური საზოგადოების მეთაური ინდოეთში; 9. ჟ. სანდის რომანი; 10. გამდიდრებული გლეხთა ფენა რუსეთში, მე-20 საუკუნის დასაწყისში; 11. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 12. ტანსაცმლის სადემონსტრაციო, ადამიანის ფორმის ფიგურა; 13. ბალეტ "დონ კიხოტის" ავტორი; 14. მუშაობისა და ენერგიის საზომი ერთეული; 15. ფილიპინების დედაქალაქი; 16. საზეიმო მილოცვა იუბილარისადმი; 17. სატანვარჯიშო იარაღი; 18. გამაჯანსაღებელი ვარჯიში მუსიკის თანხლებით; 19. ქართული საბავშვო ჟურნალი; 20. დანიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 21. ძველი ხალხური თქმულება ლეგენდარულ გმირებზე და ღმერთებზე; 22. სახოტბო ლექსი, ოდა; 23. დასარტყამ კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 24. სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება; 25. ხრიკი, ფანდი; 26. სპარსული ენა; 27. ცხოველის ბამბით ან ნახერხით გატენილი ტყავი; 28. ძველებური კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 29. ნავსადგურის ფარგლებში მოქცეული წყლის სივრცე; 30. შორეული წინაპრის თვისებების გამოვლენა ადამიანში; 31. ათკაპიკიანი ვერცხლის მონეტა; 32. რომის პაპის გვირგვინი; 33. მედიცინის განხრა; 34. ინგლისის საფეხბურთო კლუბი; 35.

**წინა სკანვორდის პასუხები:**
ნიჰილისტი; მანია; კატმანდუ; [illegible]; კანკანი; ტომი; სერპანტინი; კოსმოსი; ნანსენი; ომონია; დეტერმინიზმი; [illegible]; ტაბუ; კაბირია; [illegible]; [illegible]; რეკინა; [illegible]

# ხელები შორს სალიერისგან!

## იტალიელი კომპოზიტორის რეაბილიტაციის ტალღა

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში


სალიერი


მოცარტი

არ შემიძლია ცდუნებას გავუძლო და არ გავაკეთო ვისოცკის პერიფრაზა: "რატომ საცოდავი ანტონიო, ის ხომ არაა დამნაშავე!"

დღეს ეს ფრაზა, თუ ფორმით არა, შინაარსით მაინც, სულ უფრო ხმამაღლა ისმის იტალიაში.

იტალიელი კომპოზიტორის ანტონიო სალიერის (რომელსაც ისტორიამ მოცარტის მკვლელის სახელი მიანიჭა) რეაბილიტაციის ტალღა განსაკუთრებული სიძლიერით აგორდა კაპიტალურად რესტავრირებული მილანის ოპერის თეატრის ლა სკალას საზეიმო გახსნასთან დაკავშირებით. მსოფლიოში ყველაზე ცნობილი საოპერო თეატრის გახსნის აღსანიშნავად წარმოდგენილი იყო სალიერის ოპერა Europa Riconsciuta. სალიერის ამ დავიწყებული, ზევსის მიერ ევროპის მოტაცების მითოლოგიური სიუჟეტის მქონე ოპერის დადგმა თეატრმა სანტიმენტალური და სიმბოლური მიზეზების გამო გადაწყვიტა: ამ ოპერით შედგა ლა სკალას ინაუგურაცია 1778 წელს. მაშინ ყველა მთავარ როლს ასრულებდნენ კასტრატები. ორას წელზე მეტია, Europa Riconsciuta არ დადგმულა. და აი...

და აი, გაიხსენეს ცილისწამების მსხვერპლი, Europa Riconsciuta-ს ავტორიც. ვენის მუსიკის მეგობრების საზოგადოების (რომელიც, სხვათა შორის, სალიერის დაარსებულია) არქივის დირექტორი, ოტო ბიბა ამბობს: "ხალხს ჰგონია, რომ სალიერი ცუდი კომპოზიტორი და ბოროტი ადამიანი იყო. დიდი ხნის განმავლობაში ის აინტერესებდათ არა როგორც კომპოზიტორი, არამედ როგორც ბოროტმოქმედი". საზოგადოების არქივში ინახება სალიერის ხელნაწერების უმრავლესობა.

2004 წლის დეკემბერში ლა სკალას გახსნის შემდეგ, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად, თეატრს დაარქვეს "სალიერის რეაბილიტაციის ცენტრი", რა თქმა უნდა, როგორც კომპოზიტორის. ყველაზე ცნობილმა საოპერო მომღერლებმა მოულოდნელად "აღმოაჩინეს" იგი და დაიწყეს მისი არიების ინტენსიურად შესრულება. კრიტიკოსებმა შეუთხზეს ოდები. იტალია სიამაყით სკდება. მოკლედ, დადგა სალიერის "დაგვიანებული რეაბილიტაციის" ხანა.

მოთხოვნას - "სალიერის მუსიკის უფრო მეტი ჩანაწერი!" - მოჰყვა მისი, უკვე არა მხოლოდ როგორც მუსიკოსის, არამედ როგორც პიროვნების რეაბილიტაციის მოთხოვნა. მუსიკის მოყვარულთა მრავალი თაობისა და მათ, ვისაც სპილომ ყურზე ფეხი დააბიჯა, წარმოდგენაში სალიერი თამაშობდა იაგოს როლს ოტელო-მოცარტთან და დაღუპა საკუთარი თავიც და მოცარტიც, მისი გენიის შურის საფუძველზე.

ლა სკალას მუზეუმში კიდია სალიერის პორტრეტი, რომელზეც კომპოზიტორი არცთუ საუკეთესო სახითაა წარმოდგენილი. ლამბროზოს თეორიის ნებისმიერი მიმდევარი მასში დამნაშავეს დაინახავს. დიდი, თვალშისაცემი ცხვირი, მჭიდროდ მოკუმული თხელი ტუჩები, ჭკვიანი, მაგრამ მუქარის შემცველი თვალები. პორტრეტი გარკვეულად მოგვაგონებს მსახიობ მერი აბრაჰამს, რომელმაც სალიერის როლი შეასრულა მილოშ ფორმანის ფილმში "ამადეუსი" (1984 წელი). სალიერიმ, როგორც ბოროტმოქმედმა, უნებლიეთ და თავის საზიანოდ მსოფლიო კულტურა გაამდიდრა. მილოშ ფორმანის ფირის გარდა, შეიძლება გავიხსენოთ პიტერ შეფერის პიესა "ამადეუსი" და, რა თქმა უნდა, პუშკინის ტრაგედია "მოცარტი და სალიერი", მისი გენიალური, მაგრამ, სამწუხაროდ, მცდარი რეპლიკით: "გენია და ცბიერება შეუთავსებელლია". მსოფლიო კულტურა ანტონიოს უმადურად მოექცა და მას ღვთაებრივი მოცარტის შემაცდენელის იარლიყი მიაწება. ეს ბრალდებები კი მოცარტის სიკვდილიდან კარგა ხნის შემდეგ მომწიფდა - სალიერის ცხოვრების ბოლო წლებში (დაიბადა 1750 წელს იტალიაში, გარდაიცვალა 1825 წელს ვენაში). არქივარიუს ბიბას ვერსიის თანახმად, სალიერი ორი მუსიკალური სკოლის - იტალიურისა და გერმანულის მეტოქეობის მსხვერპლი იყო. სწორედ გერმანული სკოლის წარმომადგენლები იყვნენ პირველები, ვინც გაავრცელეს ჭორები იმის შესახებ, რომ იტალიელმა სალიერიმ მოწამლა ავსტრიელი მოცარტი. ამის მერე წავიდა და წავიდა... რამდენიმე წლის შემდეგ ეს ჭორი გაამაგრა "ბობოქარმა აფრიკელმა" ალექსანდრ სერგეევიჩმა. ფორმანმა კი თავისი ფილმი მიუღებელი ტიტრით შემოსა: "ყველაფერი, რაც თქვენ მოისმინეთ, სინამდვილეა".

მაგრამ ზევსის მიერ ევროპის მოტაცება სალიერის, ერთდროულად როგორც კომპოზიტორის და განსაკუთრებით ადამიანის, კეთილი სახელის აღნიშვნა იყო. "დაიწყო სალიერის რენესანსი" - საზეიმოდ გამოაცხადა ბიბამ. მაგრამ ზოგიერთი მუსიკისმცოდნე ამტკიცებს, რომ ეს ჯერ კიდევ არაა რენესანსი, არამედ მსოფლიო დივების კაპრიზია, პირველ რიგში კი სესილია ბარტოლის, რომელსაც "უცბად მოუნდა სალიერის ოპერებიდან არიების შესრულება". მართლაც ღვთაებრივმა სესილიამ "ამ დავიწყებული და ნიჭიერი კომპოზიტორის ხსოვნისთვის" (ბარტოლის სიტყვები -მ.ს.) სალიერის მრავალი არია ჩაწერა. გამოჩენილი სოპრანოს ჩანაწერებს მოყვა პალაცო რეალში სალიერის ნოტების და წერილების ორიგინალური მანუსკრიპტების გამოფენა, ლონდონში, "სოთბის" აუქციონზე კი 1774 წლით დათარიღებული კომპოზიტორის ნაწარმოებები - ორიგინალები მოულოდნელად ძალიან ძვირად გაიყიდა. საერთაშორისო მარკეტინგის "დეკა რექორდსის" დირექტორის ნიკ ვილიამსის აზრით კი, რომელმაც ბარტოლის არიების დისკი გამოუშვა სალიერის ოპერებიდან, - "ცოტაც და 2004 წელი სალიერის წელი იქნება". ვილიამსი არ ხსნის ამ ფენომენს და ადარებს დისპუტს კვერცხისა და ქათმის გაჩენის შესახებ. "მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: სალიერის პროფილი სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება", - ამბობს ვილიამსი.

სერიოზული და არა სენსაციის მაძიებელი ისტორიკოსი-მუსიკისმცოდნეები უკვე დიდი ხანია მიიჩნევენ, რომ სალიერის შემოქმედება ყურადღების ღირსია, თუნდაც იმის გამო, რომ ის გაამდიდრებს ვენის მუსიკალური სამყაროს შესახებ ჩვენ ცოდნას, რომელიც, ჯეისონ გოროვიცის სიტყვებით, "მოცარტის კაშკაშა ვარსკვლავის გარშემო ტრიალებდა". მოცარტიც და სალიერიც მოღვაწეობდნენ ჰაბსბურგების კარზე. სალიერი ავსტრიის მონარქებს ემსახურებოდა მთელი ორმოცდაათი წელი - აქედან 36 წელი სასახლის მთავარი კაპელმეისტერის თანამდებობაზე. ლა სკალას მუსიკალური დირექტორი რიკარდო მუტი იტალიურ გაზეთ "კორიერე დელა სერასთვის" ახლახან მიცემულ ინტერვიუში ამბობს: "სალიერის ქვაკუთხედის (მუსიკალური - მ.ს.) გარეშე ბევრად უფრო ძნელია გაიგო მოცარტი და მისი შედევრები". მუტიმ საქებარი სიტყვებით შეამკო "ევროპაც", რომელიც მან სიძველით ძალიან დაზიანებული, წასაკითხად თითქმის შეუძლებელი ორიგინალიდან აღადგინა. "ოპერაში არის ბრწყინვალე ადგილები; ზოგიერთ მათგანს თავისუფლად შეუძლია კონკურენცია გაუწიოს მოცარტის "ჯადოსნურ ფლეიტას" - ამბობს მუტი.

მუტის აზრს ყველა არ იზიარებს. ზოგიერთი კრიტიკოსი სალიერის თვლის "მუსიკალურ სპრინტერად", რომელმაც შეძლო შეეთხზა ბრწყინვალე არიები, მაგრამ არ ჰქონდა წარმოსახვა უფრო ფართო მუსიკალური ტილოების შესაქმნელად. ეს კრიტიკოსები საკმაოდ უარყოფითად შეხვდნენ "ევროპის" რეანიმაციასაც. კლასიკური მუსიკალური ჟურნალის "ამადეუსის" რედაქტორი, დუილიო კოურირი წინასწარმეტყველებს, რომ "ეს ოპერა სხვა თეატრების რეპერტუარში არ შევა. რესტავრირებული ლა სკალას გახსნა იყო მისი დადგმის ერთადერთი მიზეზი. შესაძლოა, "ევროპა" იმის ღირსია, რომ ყოველ ორას წელიწადში ერთხელ დაიდგას. ასე რომ, კიდევ ორას წელიწადს შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, სანამ ის ისევ გამოჩნდება თეატრალურ სცენებზე".

ასეთი "პერსპექტივა" აშკარად აღელვებს "ევროპაში" დაკავებულ მომღერლებს. მათ წელიწადნახევარზე მეტი დახარჯეს ურთულესი როლების შესასწავლად, მათ შორის კოლორატურულ აკრობატიკაზე. "ეს ყველაზე რთული პარტიაა, რაც კი ოდესმე მიმღერია, - ამბობს ერთ-ერთი ევროპა, სოპრანო დიანა დანრუ, - თუ ეს როლი პირველი და უკანასკნელია, მაშინ იგი ჩემთვის უფრო ძვირფასი გახდება. მაგრამ, იმედი მაქვს კონცერტებზე ვიმღერებ". მომღერალი, როგორც სალიერის სხვა თაყვანისმცემლები, თვლის, რომ "იგი არ უნდა დაივიწყონ". მის კალამს ეკუთვნის ორმოცი ოპერა. მან ბევრ დიდ კომპოზიტორზე მოახდინა გავლენა. ყველა ჩვენგანმა "იცის", რომ სალიერიმ მოცარტი "მოწამლა". მაგრამ, სპეციალისტების გარდა ვის ახსოვს, რომ სალიერის მოწაფეები იყვნენ ბეთჰოვენი და შუბერტი, რომ ზოგიერთ ნაწარმოებში იგი მოცარტის თანაავტორია, და რომ: ყურადღება! ყურადღება! - 1791 წელს, მოცარტის სიკვდილის შემდეგ, მისმა ქვრივმა სწორედ სალიერის, და არა სხვას, დაავალა გარდაცვლილის შვილზე ზრუნვა? ეს ბოლო დეტალი განსაკუთრებით ცუდად ებმება სალიერის, როგორც მოცარტის მკვლელის სახეს.

მოედნის მეორე მხარეს, სადაც დგას ლა სკალა, არის მუსიკალური მაღაზია "რიკორდი". ახლა იქ ცხელი ფუნთუშებით და სალიერის ნაწარმოებების ნოტებით ვაჭრობენ. "დეკა" ვერ ასწრებს ბარტოლის დისკების იტალიაში ტრანსპორტირებას. ლა სკალას სტუმრები ახლა მის მუსიკას უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე მის "ბოროტმოქმედებას". ერთ-ერთმა მელომანმა რობერტო გილარდიმ ბრძნულად აღნიშნა:

- დიდი დრო გავიდა, სანამ იგი ისევ მიუშვეს სცენაზე. შეიძლება მან მართლა მოწამლა მოცარტი, მაგრამ მისი მუსიკა მაინც მშვენიერია...

Europa Riconsciuta-ს სიუჟეტი მოკლედ ასეთია: ანტიკური ვნებების - სიყვარულის, ძალადობის, პოლიტიკური პაექრობების, აბობოქრების შედეგად, ოდესღაც ზევსის საყვარელი ევროპა ააშკარავებს თავის ინკოგნიტოს, ყველა წინააღმდეგობას აგვარებს. სწორედ აქედანაა ოპერის სახელწოდება - Europa Riconsciuta, ანუ "ევროპა იხსნება" (ან "ევროპას ამხელენ"). აკვირდები რა ანტონიო სალიერის, როგორც კომპოზიტორის და ადამიანის ნამდვილ სახეს, რომელმაც ასევე გამოსცადა ფეოდალური ვნებები - სიყვარული, ინტრიგა, შური, გიჩნდება აზრი, რომ პუშკინი მაინც სწორი იყო - გენია და ცბიერება შეუთავსებელია. სალიერის შემთხვევაში მაინც.




## სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

MBA
MSc

მარკეტინგი / ფინანსები / IT

საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი £4550

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
E-mail: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ყველა ტერიტორიულ ორგანოში გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებულ ტესტირების განრიგს

ყველა კონკურსანტი, რომლებიც გადიან ტესტირებას უნდა გამოცხადდნენ ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში (მის: ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. N3) მათთვის მინიჭებული სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით შემდეგ დღეებში:

**13 მარტი**

9:00-სთ - N1-დან - N600 -ის ჩათვლით;
14:00-სთ - N601-დან - N1200-ის ჩათვლით;

**19 მარტი**

9:00-სთ - N1201-დან - N 1844-ის ჩათვლით;

**20 მარტი**

9:00-სთ - N 2501-დან - N3216-ის ჩათვლით;
14:00-სთ - N3501-დან - N4680-ის ჩათვლით;

**საგამოცდო კომისია გაფრთხილებთ!**

■ კონკურსანტებმა თან უნდა იქონიონ პირადობის მოწმობა და სარეგისტრაციო ბარათი;

■ მობილური ტელეფონებით გამოცხადებული კონკურსანტები გამოცდაზე არ დაიშვებიან;

■ დაგვიანებული კონკუსანტები ტესტირებაზე არ დაიშვებიან.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ იუსტიციის სამინისტროს ვებ გვერდზე
**www.justice.gov.ge**

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.